პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—30.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 54, ტელეფონი № 8—81.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 18 სექტემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 217 (2260)

დღიური

- — ამერიკა მონაწილეობას არ იღებს მოლაპარაკებაში რეინის ოლქის დაცლის შესახებ.
- — ბუენოს-აირესში (არგენტინა) გაიხსნა საბჭოთა მრეწველობის პროდუქციის გამოფენა.
- — ლიტვაში დააპატიმრეს პოლონეთის ჯაშუშთა ორგანიზაცია.
- — შანხაის პროფკავშირების პროტესტი ნანკინის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.
- — გრიგალი ამერიკაში. — მსხვერპლი და ზარალი დიდია.
- — აეროპლან „სოვეტსკი სევერ“-ის პოვნა.
- — კიევის მანევრები დასრულდა.
- — ნიჟეგოროდის ბაზრობა დაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად
ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოთა
ცაკის მე-III სესია მოწვეული იქნება
თბილისში,
სასახლის წითელ დარბაზში, 1928 წლის
28 სექტემბერს დილის 10 საათზე
ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ა. შავერდოვი.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4-ე
მორიგი პლენუმი
მაზრკომების და ოლქკომების მდივნებთან ერთად
გაიხსნება 25 სექტემბერს
საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში
საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.

ავანტიურისტები

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ გაუგონარი განცხადება ვოლინის ვოევოდის იუზეფსკისა, რომელმაც ნება მისცა თავს გამოსულიყო მოწოდებით საბჭოთა კავშირიდან უკრაინის გამოყოფის შესახებ. ჩვენ ავღნიშნეთ, რომ პოლონეთის ადმინისტრაციის ერთ ერთმა უმაღლესმა წარმომადგენელმა ტლანქად დაარღვია პოლონეთის საერთაშორისო ვალდებულებანი. მოსალოდნელი იყო, რომ პოლონეთის მთავრობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურებოდა თავისი წარმომადგენლის თავგასულობას და გადასდგამდა ისეთს ნაბიჯს, რომელიც ცხადყოფდა იუზეფსკის მოქმედებისადმი მის დამოკიდებულებას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ვოლინის ვოევოდამ თავისი სიტყვა 2 სექტემბერს წარმოსთქვა, პოლონეთის მთავრობა განაგრძობს საეჭვო დუმილს. მარტო ეს ერთი ფაქტიც დამახასიათებელია და აქედან უკვე შეგვიძლია გამოვიყვანოთ დასკვნა იმის შესახებ, არის თუ არა იუზეფსკის მოქმედება მისი პირადი პოლიტიკა თუ იგი პოლონეთის მმართველი წრეების ხაზს გამოხატავს.

მაგრამ ეს მმართველი წრეები მრავლის მეტყველი დუმილით არ კმაყოფილდებიან. იმ კამპანიას, რომელიც, იუზეფსკის სიტყვასთან დაკავშირებით, გააჩაღა პოლონეთის პრესის ზოგიერთმა ორგანომ, გამოეხმაურა პოლონეთის მმართველი წრეების ყველაზე უფრო გავლენიანი ორგანო „გლოს პრავდი“-ც. ეს გაზეთი, რომელსაც სრული სიმართლით შეიძლება პოლონეთის მთავრობის ოფიციოზი ეწოდოს, აშკარად უჭერს მხარს იუზეფსკის და ცინიკურად აცხადებს, რომ პოლონეთი ამჟამად და მომავალშიც წარმოადგენს ბაზას საბჭოთა კავშირის ტერიტორიალური მთლიანობის წინააღმდეგ მუშაობისთვის.

ჩვენ არა ერთხელ შეგვიმჩნევია ელემენტარული ლოიალობის დარღვევა პოლონეთის მხრივ, მაგრამ ამ უკანასკნელმა საქციელმა გადააჭარბა ყველაფერს, რასაც ადგილი ჰქონია პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე.

მიუხედავად რიგის ხელშეკრულების მეხუთე მუხლით მიღებულ ვალდებულებათა, პოლონეთს არასოდეს მჭიდრო კავშირი არ გაუწყვეტია იმ ავანტიურისტების ჯგუფთან, რომლების დაყენებას უკრაინის მმართველებად იგი 1920 წელს შეეცადა. უკრაინის მშრომელი მასების მიერ პოლონეთის არმიასთან ერთად გაძევებულმა ამ უბადრუკმა „მმართველებმა“ პოლონეთში ჰპოვეს მეგობრული თავშესაფარი და სრული დახმარება თავიანთ დანაშაულებრივ მუშაობაში. საბჭოთა უკრაინის მშრომელი მასები კარგად იცნობენ ამ მუშაობას ტიუტიუნიკის ავანტიურისა და მრავალრიცხოვანი ბანდების შემოსევის მიხედვით.

მაგრამ ყველა ეს ბნელი საქმეები ჩუმად კეთდებოდა და პოლონეთის ხელისუფლება უარჰყოფდა თავის კავშირს პეტლიურას ბანდებთან. ამჟამად კი პოლონეთის ხელმძღვანელ წრეებში იმდენად გაძლიერდა აგრესიული ტენდენცია, რომ მუშაობა 1920 წლის ავანტიურის გასამეორებლად სრულიად აშკარად სწარმოებს. რამდენიმე თვის წინეთ პოლონეთის თვალსაჩინო დიპლომატი, რომელიც „სპექტატორ“-ის ფსევდონიმს ამოეფარა, იმავე „გლოს პრავდი“-ს ფურცლებზე აცხადებდა, რომ საჭიროა დავუბრუნდეთ იმ „ბრძნულ პოლიტიკას“, რომელმაც პოლონეთის არმია კიევის კედლებამდე მიიყვანაო. აღარაფერს არ ვამბობთ იმის შესახებ, რომ პოლონეთის ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავს თავის კავშირს პეტლიურას დამქაშებთან და რომ ამ დამქაშების ყველა ყრილობასა და კრებაზე მონაწილეობას იღებენ პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლები. პეტლიურას დამქაშები პოლონეთის მთავრობის პირდაპირი აგენტების როლს თამაშობენ, მათ უჭირავთ ადმინისტრატიული თანამდებობანი დასავლეთ უკრაინასა და ვოლინში და, ეხმარებიან მთავრობას ამ ოლქების უკრაინული მოსახლეობის დაჩაგვრის საქმეში.

პოლონეთის მთავრობა ანხორციელებს უკრაინული მოსახლეობის დაჩაგვრის გაუგონარს პოლიტიკას, ართმევს მას ნაციონალურ განვითარების ელემენტარულ საშუალებას და აწარმოებს აშკარა მუშაობას საბჭოთა უკრაინაში მემამულეების და პოლონეთის აგენტების ხელისუფლების დასამყარებლად. ამასთან, როგორც იმავე იუზეფსკიმ განაცხადა, პოლონეთის გამგებლობაში მყოფი უკრაინელთა მიწა-წყალი „ერთხელ და სამუდამოდ“ პოლონეთს უნდა დარჩეს. რას ნიშნავს ასეთი პოლიტიკა, რომელსაც ასე აშკარად ატარებენ პოლონეთის მთავრობის მეტად ავტორიტეტული წარმომადგენლები? ეს პირდაპირი მზადებაა ომისათვის, რადგანაც მხოლოდ ძალის საშუალებით, უკრაინის მშრომელ მასებზე მხოლოდ აშკარა ძალდატანების საშუალებით, შეიძლება ნაბიჯების გადადგმა პოლონეთის იმპერიალისტების იმ გეგმის განსახორციელებლად, რომელიც წინდაწინვე განწირულია.

რა ფასი აქვს ამის შემდეგ პოლონეთის მთავრობის სამშვიდობო განცხადებებს და ომის, „როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღის“ უარყოფას?

პოლონეთის სამშვიდობო დეკლარაციები ისეთსავე როლს თამაშობენ, როგორსაც ანალოგიური დეკლარაციები თამაშობდნენ 1919 წელს, როდესაც პოლონეთი ამზადებდა თავის ცნობილ გალაშქრებას კიევზე. თავის წიგნში იტალიის ყოფილი ელჩი პოლონეთში ტომანი წერს: „პილსუდსკის შემდეგი გეგმა ჰქონდა: უნდა გაეჭიანურებია ბოლშევიკებთან მოლაპარაკება, შემდეგ კი გადასულიყო წითელი ჯარების წინააღმდეგ შეტევაზე და გაენადგურებია ისინი. მერე ზავი უნდა შეეკრა და შექმნა ჩრდილოეთით ბელორუსიისა, ხოლო სამხრეთით უკრაინის სახელმწიფო“.

ამ დიდი გეგმების საქარცხვინო დამარცხებამ არაფერი არ ასწავლა პოლონეთის მილიტარისტებს. ისინი ისევ მზად არიან გაიმეორონ ავანტიურა, რომელსაც შეიძლება მათთვის მძიმე შედეგები მოჰყვეს.

ჩვენ არა გვაქვს საბუთი წონასწორობა დავკარგოთ ბატონ იუზეფსკების საქციელის გამო.

ყველას, ვინც მოისურვებს ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის დარღვევას, გადაეღობება ჩვენი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის, და არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელების, სასტიკი წინააღმდეგობა. მაგრამ ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ პოლონეთთან ჩვენი ხელშეკრულების აღმაშფოთებელ დარღვევას პოლონეთის ხელისუფლების პასუხისმგებელ წარმომადგენლების მხრივ. მშვიდობიანობისა და მყუდროების დასაცავად ვოლინის ვოევოდას და მის თანამოაზრეებს თავიანთი ადგილი უნდა უჩვენონ. პოლონეთის მთავრობამ უნდა გადასწყვიტოს, რამდენად შეიძლება მოსაზღვრე ოლქში პოლონეთის ადმინისტრაციის სათავეში იდგეს ისეთი პირი, რომელსაც თავისი მოვალეობა ისე ესმის, და რომელსაც ისეთი პროგრამა აქვს, როგორც იუზეფსკის.

პოლონეთის იმპერიალისტებს მოკლე მეხსიერება აქვთ და დაავიწყდათ საკუთარი საზღვრების დაწესების ისტორია. სამშვიდობო ხელშეკრულებათა დარღვევა და დაწესებული საზღვრების საკითხის საალაპარაკოდ დაყენება საშიშია ყოველი სახელმწიფოსათვის, განსაკუთრებით კი პოლონეთისათვის.

„იზვესტია“, 16 სექტემბერი.

„შეთანხმება“ გერმანიასა და ყოფილ მოკავშირეთა შორის

შეერთებულ შტატებში გაცხოველებული მსჯელობაა საბჭ. კავშირის ცნობის შესახებ

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება

საფრანგეთის მთავრობამ მოიწონა ბრიანის პოზიცია

პარიჟი, 16 სექტემბერი. „ეკო დე პარი“ ვადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს ჟენევის მოლაპარაკების განხილვის შესახებ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოში. მინისტრთა საბჭო, გაზეთის სიტყვით, „ერთსულოვნად მიესალმა“ იმ პოზიციას, რომელსაც ჟენევაში ბრიანი დაადგა გერმანიის მიმართ. შემდეგ მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ ხუთ სახელმწიფოს შორის (საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის და იტალიის, ერთის მხრივ, ხოლო გერმანია—მეორეს მხრივ), რომელიც დაინტერესებულნი არიან რეინის ოლქის ოკუპაციის შეწყვეტაში, მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება იმ საკითხში, რომ „შეუძლებელია ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ ისეთი მოლაპარაკების წარმოება, რომელიც არ იქნება დაკავშირებული გერმანიის რეპარაციებისა და მოკავშირეთა შორისო ვალების საკითხებთან“. შემდეგ მინისტრთა საბჭომ მოიწონა სარეპარაციო საკითხების შესასწავლად ფინანსიური და იურიდიული ექსპერტების კომისიის დაარსების პროექტი. დასასრულ, საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა, „მისცეს გერმანიას ინიციატივა წამოაყენოს კონკრეტული წინადადებები იმ კომპესაციების შესახებ, რომელიც გერმანიამ უნდა წარადგინოს ოკუპაციის ვადამდე შეწყვეტისათვის“.

გერმანია ბრიანის ანკესზე წამოეგო

ბერლინი, 16 სექტემბერი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებს გერმანიის დელეგაციის მდგომარეობა ჟენევაში ხელსაყრელად არ მიაჩნიათ. ამ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბრიანის მოხერხებული ტაქტიკის წყალობით და საკუთარი მერყეობის გამო გერმანიის დელეგაციამ დაუშვა, რომ მოლაპარაკება წარმოებულიყო საფრანგეთის მოთხოვნების გზით. ამჟამად გერმანიის დელეგაციას არ შეუძლია შესწყვიტოს მოლაპარაკება, რადგან მოლაპარაკების შეწყვეტის მორალური პასუხისმგებლობა მას დაეკისრება (ადს).

ამერიკა „ყოველთვის, თვალყურს ადევნებს“

ვაშინგტონი, 16 სექტემბერი. კელოგმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ოფიციალურად მონაწილეობას არ მიიღებენ იმ კომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხი. მაგრამ შეერთებული შტატების რესპუბლიკა წინააღმდეგი არ იქნება, რომ ამ კომისიაში არაოფიციალურად დაინიშნოს ამერიკელი მეთვალყურე, თუ ამას ერთა ლიგა მოისურვებს.

საფრანგეთის პროექტი მიუღებელია

ჟენევა, 16 სექტემბერი. ბერლინისა და პარიჟის კაბინეტების მიერ ჟენევის მოლაპარაკების შედეგების განხილვის შესახებ ჟენევის პოლიტიკურ წრეებში პირველად გამოთქმული აზრი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს მხარეთა პოზიციები დაახლოვების ნაცვლად უფრო დაშორდნენ ერთმანეთს. გერმანიის დელეგაციის წრეებში იუწყებიან, რომ მიულერს გადაწყვეტილი აქვს დასტოვოს ჟენევა, ვინაიდან კონკრეტული მოლაპარაკება არავითარ შედეგებს არ იძლევა. გერმანიის მთავრობის სხდომის შემდეგ აშკარად გამაგრდა გერმანიის იმ წრეების პოზიცია, რომელნიც ხაზგასმით აღნიშნავენ საფრანგეთის პროექტის მიუღებლობას. რაც შეეხება საფრანგეთის დელეგაციას, პარიჟიდან დაბრუნებულმა ბრიანმა უარი უთხრა ჟურნალისტებს ცნობის მიცემაზე იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო. პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ფრანგები არა თუ არ თანხმდებიან ევაკუაციისა და იმ სამხედრო კონტროლის ვადების ფიქსაციაზე, რომელსაც ერთად ანხორციელებენ ლოკარნოს სახელმწიფოები, არამედ თავიანთი პირვანდელი პროექტი შესცვალეს უარესისაკენ.

ფრანგებს ეშინიათ, გერმანია ელზას-ლოთარინგიის შინაურ საქმეებში არ ჩაერიოს, ამიტომ მათ აღარ უნდათ დაუშვან გერმანიის თანასწორუფლებიანი მონაწილეობა იმ ოლქების კონტროლში, რომლებიც დემილიტარიზაციაქმნილ ოლქებს აკრავენ. გერმანიის დელეგაციის წარმომადგენლები კვლავ გადაჭრით აცხადებენ, რომ 1935 წლის შემდეგ არავითარ „ზელოკარნოს“ კონტროლზე ამ რაიმე დამატებით გარანტიებზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებაო (ადს).

გერმანიის კაბინეტი ჟენევის მოლაპარაკების შესახებ

ბერლინი, 16 სექტემბერი. კაბინეტის სხდომაზე განიხილეს რეიხსკანცლერის მიულერის ორი წერილობითი მოხსენება ჟენევის მოლაპარაკების შესახებ.

კაბინეტმა მოიწონა გერმანიის დელეგაციის მოქმედება.

ოფიციოზური ცნობით, კაბინეტი იმ თვალსაზრისზე იდგა, რომ გერმანია თანახმაა შემთანხმებელი კომისიის დაარსებისა. კაბინეტის აზრით, თავის თავად იგულისხმება, რომ კომისიის მუშაობა გაგრძელდება მხოლოდ 1935 წლამდე.

კაბინეტმა მოიწონა სპეციალური სარეპარაციო კომისიის დაარსება „იმის გამო, რომ რეპარაციების საკითხი განხილულ უნდა იქნეს ცალკე რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხისაგან“.

ჟენევიდან მიღებული ცნობებით, 15 სექტემბერს ღამით შესდგა გერმანიის დელეგაციის სხდომა, რომელზედაც მოისმინეს ცნობა გერმანიის კაბინეტის სხდომის შესახებ.

„ფოსიშე ცეიტუნგ“-ის მთავარი რედაქტორი, რომელიც ჟენევაში იმყოფება, თავის კორესპონდენციაში იუწყება, რომ ჟენევაში გამეფებულია პანიკური მდგომარეობა და „მოსალოდნელია გადამწყვეტი ამბები“. ამავე დროს ჟენევის დელეგაციას სურს თავიდან აიცდინოს მოლაპარაკების საბოლოოდ შეწყვეტა.

ბერლინის პრესა თავშეკავებულად აფასებს სახელმწიფოთა კონფერენციის პერსპექტივებს, ეს კონფერენცია ჟენევაში უნდა შესდგეს.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის ცნობით, მიულერს განზრახული აქვს დაუყოვნებლივ დასტოვოს ჟენევა, როგორც კი დამთავრდება სახელმწიფოთა კონფერენცია. (ადს).

ამერიკის პრესა საბჭ. კავშირის შესახებ

„სუარ“-ის ცნობა

პარიჟი, 16 სექტემბერი. ვაშინგტონიდან მიღებულ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ კელოგსა და სენატის გარეშე საქმეთა კავშირის თავმჯდომარეს ბორას შორის გაიმართა თათბირი კელოგის ხელშეკრულების რატიფიკაციის წესის შესახებ. სოციალისტური გაზეთი „სუარი“ ამის გამო სწერს:

„მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი შეუერთდა კელოგის ხელშეკრულებას, ლოღიკურად წარმოიშვა საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი დე-იურედ იქნას ცნობილი შეერთებული შტატების და იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებსაც ჯერ კიდევ არ უცვნიათ იგი. მიღებული ცნობების მიხედვით, საბჭ. კავშ. ცნობის საკითხი ჩრდ. ამერიკ. შეერთ. შტატების სენატში აღიძრება მაშინვე, როცა გაიმართება დებატები კელოგის ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს, თუ ეს საკითხი, ახალ მდგომარეობასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო ადრე არ წამოიჭრა საზოგადოებრივი აზრის წინაშე“ (ადს).

კელოგის პაქტი და საბჭ. კავშირი

ვაშინგტონი, 16 სექტემბერი. მთავრობის სტამბა მალე დაამთავრებს კელოგის ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტის ეკზემპლიარების დაბეჭდვას. ერთი ეკზემპლიარი მომავალ კვირას გაიგზავნება მოსკოვში საფრანგეთის მთავრობის საშუალებით. კელოგმა განაცხადა, რომ მისი ცნობებით, საბჭოთა მთავრობის აქტი, რომელშიაც იგი კელოგის ხელშეკრულებას უერთდება, საფრანგეთიდან ამერიკაში გაიგზავნა დიპლომატიური ფოსტით და მას მალე მიიღებს საფრანგეთის საელჩო ვაშინგტონში. ვაშინგტონში მიღების შემდეგ ეს აქტი შენახული იქნება ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში, ხოლო საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო ორგანოების სათანადო რატიფიკაციის შემდეგ, საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, ეს აქტი ძალაში შევა და ამით საბჭოთა კავშირი საბოლოოდ შეუერთდება კოლეგის ხელშეკრულებას (ადს).

დიპლომატიის საიდუმლოებანი

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. ხერსტის პრესა აქვეყნებს მოწინავე წერილს შემდეგი სათაურით: „დიპლომატიის საიდუმლოებანი“. მოწინავე წერილში ნათქვამია:

„ჩვენ ძალიან მალე ვიცანით ალბანეთის მეფე ზოგუ, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვიცნია ოფიციალურად საბჭოთა კავშირი, მაშინ, როდესაც ჩვენი ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან უკანასკნელი ცხრა თვის განმავლობაში შეადგენს 100 მილიონ დოლარზე მეტს“ (ადს).

ინგლისის იმპერიალისტები ინდოეთს „იცავენ“ კომუნიზმისაგან

ლონდონი, 16 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო სიმლიდან იუწყება:

„ინდოეთის საკანონმდებლო კრებამ, რომელმაც განიხილა კანონპროექტი კომუნისტური აგენტების გაძევების შესახებ, 62 ხმის უმეტესობით 52 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია კანონპროექტის გადაცემის შესახებ. ამ რეზოლიუციის მიღებამდე კრებამ ასეთივე უმრავლესობით უარჰყო სვარაჯისტების საობსტრუქციო ხასიათის რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა, რომ კანონპროექტი გადაცემოდა მთავრობას ახალი განმარტებისათვის (ადს).

პოლონეთის პრესა იუზეფსკის სიტყვის შესახებ

ვარშავა, 16 სექტემბერი. ოფიციოზი „გლოს პრავდი“ გამოეხმაურა გაზეთ „გაზეტა ვარშავსკა“-ს წერილს, რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა ვოლინის ვოევოდის იუზეფსკის მისი უკანასკნელი სიტყვის გამო, რომელშიაც იუზეფსკი თავისი მოქმედების პროგრამის უმთავრეს პუნქტად ვილნოში სთვლის „დამოუკიდებელი უკრაინის“ შექმნას. ოფიციოზი იცავს იუზეფსკის და სწერს:

„ნაციონალ-დემოკრატები შეაშინა აზრმა დამოუკიდებელი უკრაინის შესახებ. ნაც.-დემოკრატებს მიუღებლად მიაჩნიათ ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია უკრაინის დამოუკიდებლობის შესაძლებლობასთან პოლონეთის საზღვრების იქითა მხარეს“. „გლოს პრავდა“ არ ეთანხმება „გაზეტა ვარშავსკა“-ს მოთხოვნას ვოევოდ იუზეფსკის გადაყენების შესახებ, რომლის პოლიტიკურ გეგმებს „გაზეტა ვარშავსკა“-მ უკანასკნელ თავის წერილში პოლიტიკური უგუნურება უწოდა. (ადს).

რუმინეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა პროცესი

ვენა, 16 სექტემბერი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, პირველი დღე რუმინეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა პროცესისა კლაუზენბურგის სამხედრო სასამართლოში მოუნდა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვას. (ადს).

შვეციის რიკსდაგის არჩევნების შედეგები

სტოკჰოლმი, 16 სექტემბერი შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„წინასწარი ცნობების მიხედვით, 16 სექტემბერს არჩევნებმა რიკსტაგის ქვედა პალატაში სოფლის საარჩევნო ოლქებში მოგვცა შემდეგი შედეგები: კონსერვატორებმა მიიღეს 15 მანდატი (მოიგეს 2), აგრარიების კავშირმა—9 მანდატი (მოიგეს 2). ლიბერალებმა—9 მანდატი (როგორც წინანდელი არჩევნების დროს), სოციალ-დემოკრატებმა—23 მანდატი (დაჰკარგეს 7 მანდატი), კომუნისტებმა —3 მანდატი (მოიგეს 2 ახალი მანდატი)“ (ადს).

სტოკჰოლმი, 16 სექ. წინასწარი ცნობების მიხედვით საპარლამენტო არჩევნებში 27 საარჩევნო ოლქში ამოირჩიეს 67 კონსერვატორი, 26 აგრარი, 8 ლიბერალი, 27 სახალხო პარტიის დეპუტატი, 88 სოციალ-დემოკრატი და 6 კომუნისტი.

ქვედა პალატაში სულ 230 დეპუტატია. (ადს).

ბულგარეთის პოლიციის ცნობა

ვენა, 16 სექტემბერი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, მასიურ დაპატიმრებებთან დაკავშირებით პოლიციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამა წლის ივნისში თითქოს მოსკოვიდან სოფიაში ჩამოვიდა „ბოლშევიკების ოთხი აგენტი“ ბულგარეთის კომპარტიის რეორგანიზაციის მიზნით. ერთი ამ აგენტთაგანი, სტოიანოვი. გაიქცა, ერთ-ერთი დაპატიმრებულის თვითმოქმედების შესახებ გავრცელებული ხმების გამო პოლიციის ცნობაში ნათქვამია, რომ დაპატიმრებული პანდო, ტიტოვი, რომელიც, პოლიციის ცნობით, სოფიის ადგილობრივი კომიტეტის წევრი იყო, პოლიციის შენობის მესამე სართულიდან გადახტა დაკითხვის დროსო (ადს).

კელოგის პაქტი და თურქეთი

ანგორა, 16 სექტემბერი. თურქეთის ოფიციოზი „ხარიკიეტ მილიე“ ეხება პაქტისადმი თურქეთის შეერთებას და კითხულობს—უნდა შეერთებოდა თუ არა თურქეთი კელოგის პაქტს, რადგან ეს პაქტი ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების ინტერესებს ემსახურება და რეალურად არაფერს იძლევა? გაზეთი სწერს:

„პაქტში არ არის არც ერთი დებულება, რომელიც ავალებდეს სახელმწიფოებს დაიცვან პაქტი. ამიტომ საჭირო არ იყო უარი გვეთქვა ხელის მოწერაზე. საგარეო საქმეთა არც ერთი კეთილგონიერი მინისტრი არ იტყვის უარს ხელის მოწერაზე და ამით საბაბს არ მისცემს სხვებს იფიქრონ, რომ მის ქვეყანას განზრახვა აქვს შეტევითი ომი გამოაცხადოს“ (ადს).

ექვსთა შეთანხმება

ოფიციალური ცნობა 6 სახელმწიფოს კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმების შესახებ

ჟენევა, 16 სექტემბერი. 16 სექტემბერს, ექვსი სახელმწიფოს მესამე, ხუთსაათიანი თათბირის შემდეგ გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომელიც აღნიშნავს, რომ კონფერენციაზე მიღწეულია შეთანხმება შემდეგს სამ საკითხში; ეს საკითხებია: ოფიციალური მოლაპარაკების დაწყება რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ ვადის გასვლამდე, სარეპარაციო პრობლემის საბოლოო მოწესრიგების საჭიროება, საამისოდ ექვსი სახელმწიფოს ექსპერტების კომისიის შექმნა და შეთანხმების კომისიის მოწყობა.

კომისიის შემადგენლობა, კომპეტენცია და მოქმედების ვადა განსაზღვრული იქნება მთავრობათა შორის, გამართული მოლაპარაკების წესით. ამ კომისიის შექმნის შესახებ მოლაპარაკების დაწყების ვადა ჯერ დანიშნული არ არის.

გერმანიის დელეგაციის წრეებში ირწმუნებიან, რომ ეს შედეგი არ გულისხმობს ევაკუაციის საკითხის დამოკიდებულებას რეპარაციასა და კონტროლზე; მათი აზრით, სახელმწიფოებმა ამით სერიოზულად და იურიდიულად აღიარეს, რომ გერმანიას უფლება აქვს ეცადოს მიიღოს ზომები რეინის ოლქის ევაკუაციისათვის ვადის გასვლამდე.

მაგრამ პოლიტიკურ წრეებში აღიარებენ, რომ საფრანგეთმა მოახერხა ამ სამი პრობლემის ურთიერთთან კავშირის განმტკიცება; მათი ხანგრძლივი განხილვა გადასდებს მეორე ზონის ევაკუაციას და საშუალებას მისცემს საფრანგეთს დაამთავროს საფორტიფიკაციო მუშაობა.

დასტურდება, რომ მე-2 ინტერნაციონალის ზოგიერთი მოღვაწის შუამდგომლობით, მიულერი ცდილობდა, მომხდარიყო მეორე ზონის ევაკუაცია უკომპენსაციოდ, როგორც მინიმუმი. მაგრამ ის იძულებული იყო უარი ეთქვა ამ მოთხოვნილებაზე, ვინაიდან საფრანგეთის დელეგაციამ წამოაყენა პროექტი, რეინის ოლქის კონტროლისა, რომელიც უნდა განხორციელებინათ ლოკარნოს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს. (ადს).

პოლონეთი და ლიტვა

ლიტვა თავის მდგომარეობას გაუმჯობესებულად სთვლის

კოვნო, 16 სექტემბერი. ლიტვის ოფიციოზი „ლეტუვეს აიდას“ სწერს: ის შედეგი, რომელიც მოგვცა პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის განხილვამ ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიაზე, არ წარმოადგენს ლიტვისათვის არც გამარჯვებას, არც დამარცხებასო. „ყოველ შემთხვევაში,—სწერს გაზეთი—საბჭოს ივნისის სესიასთან შედარებით ლიტვის მდგომარეობა ერთა ლიგაში გაუმჯობესდა“. (ადს).

პოლონეთის ჯაშუშები.

კოვნო, 16 სექტემბერი. ლიტვის გაზეთების ცნობით, კონდეშარის რაიონში დაატუსაღეს 7 კაცისაგან შემდგარი პოლონეთის ჯაშუშთა ორგანიზაცია. (ადს).

სოციალისტები, რადიკალები და პაციფიზმი

საფრანგეთის სოციალისტებსა და რადიკალებს შორის, ბურჟუაზიის ერთი და იმავე ხელის ამ ორ თითს შორის, ეს რამდენიმე ხანია მუდმივ ოჯახურ სცენებს აქვს ადგილი. იმათ ურთმანეთოდ სრულებით არ შეუძლიათ ცხოვრება, ისინი ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებიან, ეს საქმეა კაპიტალისტური რეჟიმის გადარჩენა დაღუპვისაგან. მაგრამ ერთმანეთისაგან განირჩევიან საქმიანობის ხერხით. რადიკალების მხარეზეა ის უპირატესობა, რომ პარლამენტში ისინი ბევრნი არიან, სოციალისტებს კი მუშათა მასების მხრივ მხარის დაჭერით მოაქვთ თავი. რადგანაც როგორც ერთის, ისე მეორეთა საქმიანობის ასპარეზი მხოლ. და მხოლ. პარლამენტი და პოლიტიკური ინტრიგებია, ამიტომ სოციალისტებსა და რადიკალებს მაშინვე ეკარგებათ ფეხქვეშ ნიადაგი, რა წამს იგრძნობენ, რომ უმრავლესობა მათს მხარეზე არაა. სოციალისტების ბელადმა ბ-ნმა ბლიუმმა, როცა მისი კანდიდატურა პარლამენტში არ გავიდა, თავის პარტიის ცენტრალურ ორგანოში ხელი მოკიდა პოლიტიკური გაკვეთილების მიცემას იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხონ საერთო ძალღონით სოციალისტებმა და რადიკალებმა პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება.

ბლიუმს, აშკარაა, ეშინია, რომ ძალა-უფლებას მოწყურებული რადიკალები, რაკი სოციალისტებთან თანამშრომლობა არ მოუხდებათ, ნაციონალისტების ბანაკში გადაბარგდებიან. და ის მთელის თავის მჭერმეტყველებისა და ლოღიკის სიმძლავრით ცდილობს, რომ რადიკალებმა ეს საბედისწერო ნაბიჯი არ გადადგან. ამაზე რადიკალები აცხადებენ, რომ ისინი სავსებით მზად არიან ითანამშრომლონ სოციალისტებთან, მხოლოდ მათგან მოითხოვენ გარანტიებს, რომ ბურჟუაზიულ ხელისუფლებაში მონაწილეობის დროშის ერთგული იქნებიან. სოციალისტები კი ამ ნაბიჯს ჯერჯერობით თავისთვის ნაადრევად და სახიფათოდ სთვლიან.

პრინციპიალურად ბლიუმის ტიპის სოციალისტებს არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, რომ ბურჟუაზიულ მთავრობებში მონაწილეობა მიიღონ, რაკი ბრძოლის რევოლუციონური მეთოდები ერთხელ უარჰყვეს, სოციალისტ-რეფორმისტებს სხვა გამოსავალი არ დარჩენიათ. მაგრამ ოპორტუნისტული სოციალიზმის ამ ტკბილი ოცნების განხორციელებას აბრკოლებს კომუნისტების გავლენა მუშათა მასებზე, ძალა მათი კრიტიკისა, მთავრობის სოციალიზმის მარცხთა პერსპექტივა და ამასთან ერთად გედისტების ოპოზიცია რეფორმისტების ბანაკში, ამნაირად რადიკალებსა და სოციალისტებს შორის მეგობრული დავა ჯერ არ დამთავრებულა.

რადიკალების უმრავლესობას კი უფრო მოსწონს რეაქციონერების წინადადება, რომელიც უფრო მიმზიდველია, რადგან ის მათ ხელისუფლების უპირატესობას ჰპირდება. ნაციონალისტურ რეაქციასთან რომ თავისი დროებითი კავშირი გაამართლონ, რადიკალები არ მოერიდებიან სოციალისტების შესახებ ჭორების შეთხზვას, და მათ ინტერნაციონალიზმს აბრალებენ. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელებმა, დემაგოგიური მოსაზრებებით, სოციალისტ-რეფორმისტთა უკანასკნელ საერთაშორისო ბრიუსელის კონგრესზე საფრანგეთის ჯარებისაგან რეინის პროვინციის „უსასყიდლო“ ევაკუაცია მოითხოვეს. ამნაირად, თავისთვის სრულიად მოულოდნელად, სოციალისტები სამშობლოს მოღალატეთა როლში გამოვიდნენ.

თავისიანთ შორის დავა დაუყოვნებლივ სწყდება, როდესაც საქმე რაიმე კონკრეტულ საკითხს ეხება. ააფრიალა თუ არა ბურჟუაზიულმა პაციფიზმა, კელოგის სახით პაციფისტური ფრაზის დროშა, რადიკალებმა და სოციალისტებმა ერთი საერთო ჰიმნი უძღვნეს ამერიკული კაპიტალიზმის ბელადს, რომელმაც საარჩევნო რეკლამისა და ევროპაზე გერმანიის ინტერესებისათვის გადასწყვიტა ომის დახამარხვა სიტყვით. „რხებითად სრულიად არავინ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს სიტყვით წყევა-კრულვას, რომელსაც ომს უთვლიან, ფორმალურის თვალსაზრისითაც კი, რაკი ინგლის-საფრანგეთის შენიშვნები კელოგის პაქტზე კარებს უღებს ომს, რომელიც კელოგმა ფანჯარაში გადაისროლა, მუდმივი მშვიდობიანობის პაქტს ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება. კელოგის წინადადებამ თავიდან დიდი მღელვარება გამოიწვია რეაქციონურ ბანაკში. რეაქცია ომს უცქერის ისე, როგორც უებარ საშუალებას თავისი რეჟიმის სამუდამოდ გასაგრძელებლად. ომის მუდმივობა მისთვის ნიშნავს ძალადობის მთელის აპარატის მუდმივობას, რომელიც ეკონომიური ექსპლოატაციის აუცილებელი დასაყრდენია. ამიტომაც რეაქცია ომის კულტსა და „ლვთიურობას“ ქადაგებს.

პაციფისტურ ბურჟუაზიას კი სხვა მეთოდები აქვს. მას ეშინიან, რომ ომს შეიძლება რევოლიუცია მოჰყვეს, და მას გულწრფელად ეშინიან ომისა ისე, როგორც გულწრფელადვე ეშინია რევოლიუციისა. ამიტომ ის თვით საზრდოობს და სხვებსაც კვებავს პაციფისტურ ილიუზიებით. ბურჟუაზიული დემოკრატია არ ერიდება ძალადობას, და თავის ბატონობას მოტყუებასა და რეფორმისტულ ილიუზიებზე ამყარებს. ის პირდაპირ მიესალმა კელოგის პაქტს. მხოლოდ ზოგიერთ დემოკრატს ეშინოდა, რომ კელოგს თავისი პაქტით ზიანი არ მოეტანა მეორე ილიუზიისათვის, სახელდობრ, არ გაექარწყლებია რწმენა ჟენევის ერთა ლიგისადმი. მაგრამ მოქნილმა ბრიანმა შესძლო დამშვიდება როგორც რეაქციის, ისე ყველა დემოკრატების, ბოლოს, რეაქცია მიხვდა, რომ კელოგის პაქტისგან ომს არავითარი საფრთხე არ მოელის და რომ მას სრულიად დამშვიდებით შეუძლია ეს პაქტი მიიღოს. დემოკრატებიც ადვილად მიხვდნენ, რომ ამერიკული ილიუზია ხელს არ უშლის ჟენევის ილიუზიას და რომ ორმაგი ტყუილი ერთმაგზე უფრო ძლიერია. მაგრამ ამ ილიუზიასაც ისევე მოელის ბოლო, როგორც ეს დაემართა ბევრ მის მსგავს ილიუზიებს, და ტყუილიც დაბოლოს გამოაშკარავებული იქნება.

ხ. რაპოპორტი.

პარიჟი, 8 სექტემბერი.

ამერიკა არჩევნების წინ

ფაშისტები ეწინააღმდეგებიან უორკერს პარტის კანდიდატურას

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. როგორც უორკერს პარტის ოფიციალურ რეგისტრაპრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე წამოყენებულია 21 შტატში. წარსულ არჩევნებში უორკერს პარტი საარჩევნო კამპანიას 14 შტატში აწარმოებდა. ამერიკული ლეგიონი და ფაშისტური ტიპის სხვა ორგანიზაციები შეეცადნენ ხელი შეეშალათ უორკერს პარტის ოფიციალურ რეგისტრაციისათვის ზოგიერთ შტატში (ადს).

ამერიკის მემარცხენე მემაღაროეთა დევნა

ჩხრეკა

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. პოლიციამ გაჩხრიკა მემაღაროეთა მოძრაობის მარცხენა ფრთის მიერ მოწყობილი მემაღაროეთა დამხმარე კომიტეტის“ სადგომი პიტსბურგში, ამასთან მოითხოვა კომიტეტის ყველა საბუთი. „დეილი უორკერი“ იუწყება, რომ ჩხრეკა მოხდა მემაღაროეთა ამერიკული კავშირის რეაქციონური თავმჯდომარის ლუისის თხოვნით.

გრიგალი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების დასავლეთ ნაწილში გამანადგურებელი გრიგალი მძვინვარებს. ილინოისის შტატში გრიგალმა დაანგრია ერთი ფაბრიკა, 30 მუშა მკვდარი აღმოჩნდა. 125 დაშავებულა, ხოლო 50 კაცი უკვალოდ დაიკარგა.

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. პატორიკომ შეერთებულ შტატებს მიმართა თხოვნით —გაუწიოს დახმარება, რადგან გრიგალმა სრულიად გაანადგურა ხილის, თამბაქოს და ყავის მოსავალი. გზები პორტორიკოში გაფუჭებული, ტელეფონი არ მოქმედებს. პორტორიკოს ნავთსადგურებში რამდენიმე გემი დაიღუპა (ადს).

ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესი

კომკავშირის მუშაობა და მუშა ახალგაზრდობის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში

ამხ. მილჩაკოვის მოხსენება

მოსკოვი, 17 სექტემბერი. ახალგ. კომინტერნის კონგრესზე ამხ. მილჩაკოვმა გააკეთა მოხსენება საკავშირო ახალ. ლენ. კომკავშირის მუშაობისა და მუშა ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში. მომხსენებელი შეეხო საბჭოთა კავშირის კომკავშირის განვითარების უმთავრეს ეტაპებს. 1918 წლის ოქტომბერში გაიმართა სოციალისტური ახალგაზრდობის პირველი ყრილობა, ამ ათი წლის განმავლობაში კომკავშირი პარტიის ერთგული თანაშემწე იყო სამოქალაქო ომის ყველა ფრონტებზე ბრძოლაში, საკავშირო ახალგ. ლენინური კომკავშირი მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაშია გმირულ წითელ არმიასთან და წითელი საზღვაო ფლოტის შეფად ითვლება. უკრაინის კომკავშირი ყაზახთა ცხენოსანი რაზმის შეფია, ხოლო (გამოტოვებულია) კომკავშირი—საზ. პოლ. სამმართველოს სანაპირო რაზმის შეფი. მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ტროცკისტული ოპოზიცია ცდილობდა კომკავშირის რიგებში შეეტანა უიმედობა, რწმენის დაკარგვა სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი. მაგრამ ოპოზიციის ცდა, გამოეწვია გათიშვა პარტიასა და კომკავშირს შორის, მარცხით დამთავრდა. ფართო დისკუსიის შემდეგ კომკავშირის 99 პროც. მიემხრო პარტიის მთლიანობას, ცეკას ლენინურ ხაზს.

საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირი, რომელიც 2.100,000 წევრს აერთიანებს, მძლავრ, მასიურ ორგანიზაციას წარმოადგენს. სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე ბრძოლისათვის საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირს ჰყავს კომკავშირელთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელთაგან 100.000 კაცი არის საბჭ. და აღმასკომების წევრი, 50.000 კაცი მუშაობს ხელმძღვანელ პროფკავშირთა პოსტებზე, 128.000 კაცი მუშაობს საფაბრიკო-საქარხნო და სხვა ადგილობრივ კომიტეტებში. 30.000 კომკავშირელი იმყოფება საარჩევნო კოოპერატიულ სამუშაოზე და 25.000 კაცი მუშაობს გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტებში. კომკავშირთა 87 გაზეთის ყოველდღიური ტირაჟი უდრის 800,000 ცალს. გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია“ ყოველწლიურად სცემს 8 მილიონ ეკზემპლიარ წიგნს. ამჟამად მთელი ძალ-ღონით სწარმოებს ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და კულტურული რევოლიუციის გასაძლიერებლად. „ზოგიერთი ობივატელები და ჩვენი მტრები,—სთქვა შემდეგ ამხ. მილჩაკოვმა —სიხარულს ეძლევიან, როცა ხედავენ, რომ ჩვენ ვააშკარავებთ ჩვენს დეფექტებს. ჩვენ ეს არ გვაშინებს და დარწმუნებული ვართ, რომ პროლეტარული თვითკრიტიკის გამომაფხიზლებელი ნიავი მოგვცემს საშუალებას ადვილად განვკურნოთ ჩვენი ავადმყოფობანი და აღმოვფხვრათ დეფექტები. კომკავშირი თვითკრიტიკის განვითარების საქმეში ხშირად უსწრებს წინ მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ ფრონტზე საგრძნობ წარმატებებს მივაღწიეთ. ჩვენ ვაწარმოებთ მთელი წარმოებებისა და ხშირად ქალაქების შემოწმებას? იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულ იქნას წარმოება ყველა ეტაპზე—დაწყებული ნედლეულის ამოღებით და გათავებული მზა პროდუქციის გამოშვებით.

კომკავშირი თვალსაჩინო როლს თამაშობს იდეოლოგიურ ფრონტზე წარმოებულ კლასობრივ ბრძოლაში. ჩვენ ეხლა გვიხდება სათანადო პასუხის გაცემა სამღვდელოებისა და სექტანტების შემოტევისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გააძლიერეს თავიანთი მუშაობა სოფლად. სამღვდელოება და სექტანტები ცდილობენ შეეგუონ ახალ პირობებს. ამ ნიადაგზე ხშირია გლეხკორთა და საზოგადოებრივ ასპარეზზე მომუშავე კომკავშირელთა მკვლელობა. აღმოსავლეთში იყო შემთხვევები, როცა მოჰკლეს ქალები, რომლებმაც ჩადრი აიხადეს.

1926 წელს საბჭოთა კავშირის წარმოებებში ჩაბმული იყო 207.000 მოზარდი, ეხლა კი ჩაბმულია 817.000. დაქირავებულ ახალგაზრდა მუშათა და მოჯამაგირეთა რიცხვი 1.857,000 შეადგენს. ახალგაზრდათა „ჯავშანი“ შეადგენს 120.000 კაცს. საფაბრიკო-საქარხნო სკოლების რიცხვი მხოლოდ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში უდრის 456-ს. ამ სკოლებში სწავლობს 51.143 ახალგაზრდა. განუწყვეტლივ იზრდება მოსწავლე მუშათა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში, მუშფაკებში და საღამოს სკოლებში. უმაღლეს სასწავლებლებში კომკავშირელთა რიცხვი შეადგენს 17 პროცენტს. მუშფაკებში 71 პროც. ახალგაზრდა მუშაა. მაგრამ ჩვენ მაინც არ გვაკმაყოფილებს ეს ზრდა. ჩვენ ეხლა ვაყენებთ საკითხს იმის შესახებ, რომ შეიქმნეს საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედების ქსელი, როგორც ბაზა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისათვის.

ეხლა ჩვენ განზრახვა გვაქვს მთავრობის წინაშე აღვძრათ საკითხი იმის შესახებ, რომ მოზარდები გადაყვანილ იქნან ხუთი საათის სამუშაო დღეზე.

დახმარება მოზარდი უმუშევრობისათვის ძლიერდება. უმუშევრებს ეძლევა დახმარება, სწარმოებს მათი შეკავშირება არტელებსა და კოლექტივებში. დახმარება ეძლევა 18.000 მოზარდს.

შინასაკავშირო მუშაობაში, ბიუროკრატიზმის და მასებისაგან მოწყვეტის ფაქტებთან ერთად, ჩვენ ვხედავთ თვითმოქმედების საუცხოვო მაგალითს. ჩვენ ყოველგვარი საშუალებით ვუწყობთ ხელს ეგრედ წოდებულ საინიციატივო ჯგუფებს, ყოველგვარ ნებაყოფლობით საზოგადოებებს, ესპერანტისტების წრეებს, მოაგარაკე-კომკავშირელთა კონფერენციებს, ტურიზმის წრეებს და სხვა. ამავე დროს ჩვენ დაუნდობელ თვითკრიტიკას ვაწარმოებთ და ვსწმენდავთ ჩვენს რიგებს უვარგისი ელემენტებისაგან. კომკავშირის ხელმძღვანელობა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გამუშურდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის ცეკას შემადგენლობაში 91 კაციდან 70 მუშაა.

იზრდება მუშათა შემადგენლობა კომკავშირში და საგრძნობლად მატულობს კომკავშირის, როგორც პარტიის რეზერვის როლი. პარტიაში ახლად შესულ წევრთა შორის ერთი მესამედი კომკავშირელია. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პარტიაში გადაყვანილ იქნა 140.000 კომკავშირელი. ჩვენ ვამტკიცებთ ინტერნაციონალურ კავშირს საზღვარგარეთის კომკავშირთან და ყოველგვარი ღონისძიებით ვცდილობთ, რომ ვიყოთ ახალგაზრდათა კომინტერნის ერთ-ერთი საუკეთესო რაზმი მსოფლიო რევოლიუციისათვის ბრძოლაში.

კონგრესი დამთავრდება სამშაბათს (ადს).

რეზოლიუცია ამხ. მილჩაკოვის მოხსენების გამო

მოსკოვი, 17 სექტემბერი. ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესზე ამხ. მილჩაკოვის მოხსენების გამო ამხ. ბლენკლემ წარადგინა რეზოლიუცია ჩინეთის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, პოლონეთის, იტალიის, ჩეხის და შვეციის დელეგაციების სახელით. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„1. ახალგ. კომინტერნის მსოფლიო კონგრესი სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური კავშირის პოლიტიკურ ხაზს და მუშაობას.

2. მსოფლიო კონგრესი სიხარულით აღნიშნავს საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირ. წარმატებით მუშაობას ახალგაზრდათა მშრომელი მასების სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაში აქტიურად ჩაბმის საქმეში. ეს მუშაობა თავის გამოხატულებას განსაკუთრებით პოულობს კვალიფიციური მუშებისა და ტეხნიკური სპეციალისტების ახალი კადრების მომზადებაში და აგრეთვე ახალგაზრდათა შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ხაზის შემდგომ გატარებაში. მეხუთე კონგრესი ხაზს უსვამს საკავშირო ახალგ. ლენინური კომკავშირის წარმატებებს საბჭოთა კავშირის მშრომელ ახალგაზრდათა შორის კულტურული რევოლიუციის გატარების საქმეში, მის მუშაობას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და ამით ახალი სოციალისტური სოფლის შექმნისათვის, და აგრეთვე კავშირის თვალსაჩინო როლს თვითკრიტიკისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში.

3. კონგრესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირმა, რომელსაც თავის რიგებში ჰყავს 2 მილიონზე მეტი წევრი, მკაცრი პასუხი გასცა საკავშირო კომპარტიაში (ბ) არსებული ყოფილი ტროცკისტული ოპოზიციის თავდასხმებს. კავშირმა ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულება და ის, რომ იგი ყოველგვარი პირობის გარეშე იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ლენინურ ხაზს.

4. ახალგაზრდათა კომინტერნის მეხუთე მსოფლიო კონგრესი აღნიშნავს იმ დიდ მუშაობას, რომელსაც საკავშირო ახალგ. ლენინური კომკავშირი აწარმოებს კაპიტალისტური და კოლონიალური ქვეყნებისათვის მორალური და ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად, კონგრესი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ დიდ დახმარებას, რომელიც საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირმა აღმოუჩინა ჩინეთის რევოლიუციას და ჩინეთის კომკავშირს.

კონგრესი მეტად მნიშვნელოვან ამოცანად სთვლის ყველა ქვეყნის მუშა-ახალგაზრდობის და საბჭოთა კავშირის განთავისუფლებულ ახალგაზრდა პროლეტარების შორის კავშირის გაფართოებას და უფრო მეტად განმტკიცებას.

5. საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის უმთავრეს ამოცანას ამჟამად წარმოადგენს საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცება და მზადება იმპერიალისტური სახელმწიფოების თავდასხმის მოსაგერიებლად. კონგრესი დარწმუნებულია, რომ მშრომელი ახალგაზრდობის მასები საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის ხელმძღვანელობით გმირულად და ერთგულად დაიცავენ მუშათა სახელმწიფოს. იმპერიალისტური მტაცებლების თავდასხმისაგან საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეში საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირს ყოველმხრივ და ენერგიულ დახმარებას გაუწევს მთელი მსოფლიოს პროლეტარული ახალგაზრდობა. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელმაც თავისი მუშაობით და მეოთხე კონგრესის შემდეგ მიღებული გამოცდილებით განამტკიცა, რომ იგი ამაგრებს თავის რიგებს და მიდის წინ მშრომელი ახალგაზრდობის მიმხრობის გზაზე, ფიცს სდებს—ყველა ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობასთან მოუწოდოს დადგეს საბჭოთა კავშირის დაცვის სადარაჯოზე და ამ ბრძოლაში არ შეისვენოს იმ დრომდე, სანამ არ გაიმარჯვებს მსოფლიო ოქტომბერი“.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

პრესის დევნა ეგვიპტეში

ლონდონი, 16 სექტემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო ქაირიდან იუწყება, ეგვიპტის მთავრობამ შეაჩერა ვაფდისტების ჟურნალის „ბალაგ“-ის და ყოველკვირეული „როუზა-ელ-იუსეფ“-ის გამოცემა 4 თვით ისეთი ცნობების გამოქვეყნებისათვის, რომელნიც სინამდვილეს არ შეეფერებოდნენ, აგრეთვე არსებული რეჟიმის მიმართ მტრული წერილების მოთავსებისათვის.

აკრძალვის ოთხი სხვა ყოველკვირეული ჟურნალი ისეთი მასალის გამოქვეყნებისათვის, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი უშიშროებისათვის.

საზოგადოებრივი უშიშროების დეპარტამენტის დირექტორმა ამას წინად მოიწვია გაზეთის რედაქტორები და გააფრთხილა, რომ მთავრობა იძულებული იქნება ენერგიული ზომები მიიღოს მათ წინააღმდეგ, თუ ისინი არ „გამოსცვლიან თავიანთი გაზეთების კილოს, რომელიც სცილდება სამართლიანი კრიტიკის ფარგლებს“. (ადს).

„კრასინი“-ს მეორე რეისი

ცნობები „კრასინი“-ს მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 17 სექტემბერი. „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტმა მიიღო დეპეშა სამოილოვიჩისაგან, რომელიც იუწყება, რომ „კრასინი“ გრიგალში მოხვდა. ვინაიდან საშიშია ღუზის ჯაჭვის გაწყვეტა „კრასინ“-ის მანქანები გამუდმებით მუშაობენ. რომლებიც გრიგალი ჩადგა, „კრასინ“-ის ეკიპაჟმა გააკეთა ხიდი ჰიდროპლანის გემზე ასატანად. ჰიდროპლანი ნაპირზე გადიტანეს, მაგრამ ღამით მოულოდნელად ქარიშხალი ამოვარდა. ხიდი ტალღებმა დაამსხვრიეს, ხოლო ჰიდროპლანი ყინულის ნამსხვრევებით დაიფარა. ამ ცნობის გამო ამხ. უნშლიხტმა სამოილოვიჩს გაუგზავნა რადიოგრამა, რომელშიაც „კრასინ“-ს წინადადება ეძლევა ბაქანზე აიტანოს აეროპლანი, გაემართოს ფრანც იოსების მიწის მიმართულებით დაზვეროს რაიონი ლისმოტის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ფრანც იოსების მიწის ნაპირებზე. ამ რაიონის გამოკვლევის შემდეგ ძებნა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მოსახერხებელი იქნება, „კრასინ“-მა ფრანც იოსების მიწის ნაპირებზე უნდა დასტოვოს თავშესაფარი და სურსათი და შემდეგ გამოემართოს საბჭოთა კავშირისაკენ. თუ შესაძლებელი იქნება, ყინულისმჭრელი უნდა დაბრუნდეს აღმოსავლეთის მარშრუტით, მურმანსკზე. კომიტეტის ეს დირექტივები გამოწვეულია მეტეოროლოგიური პირობების გაუარესებით, ყინვის პერიოდის ადრე დადგომით და აგრეთვე იმით, რომ „კრასინი“ შპიცბერგენზე ვერ მიიღებს ქვანახშირისა და წყლის საკმაო მარაგს. (ადს).

რადიო „კრასინ“-იდან.

ყინულისმჭრელი „კრასინ“-ი, 17 სექტემბერი. ყინულისმჭრელმა „კრასინ“-მა აუშვა ღუზა და გასწია ალიხანდრის ჯგუფის საძებნელად. (ადს).

არც ერთი უცხოეთის გემი და თვითმფრინავი

ოსლო, 16 სექტემბერი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

საბჭოთა ყინულისმჭრელის „კრასინ“-ის გარდა, ყველა გემმა, რომელიც ძებნაში მონაწილეობას იღებდა, დასტოვა შპიცბერგენის წყლები. მარტიდან დაწყებული ეს პირველი შემთხვევაა, რომ კინგსბეიში არ მოიპოვება არც ერთი უცხოეთის გემი და თვითმფრინავი“.

ნორვეგიის ნაპირებისაკენ

რომი, 16 სექტემბერი სტეფანის სააგენტოს ცნობით, ნობილის ექსპედიციის მცურავი ბაზა „ჩიტა დი მილანო“ წავიდა კინგსბეიდან ნორვეგიის ნაპირებისაკენ. (ადს).

რადიო „კრასინ“-იდან

ყინულისმჭრელი „კრასინი“, 18 სექტემბერი. 15 სექტემბერს ყინულისმჭრელზე ავიტანეთ თვითმფრინავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. სემარი და მიდოლი თბილისში

16 სექტემბერს ბათომიდან თბილისში ჩამოვიდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. სემარი და საფრანგეთის რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის მდივანი ამხ. მიდოლი.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი ესაუბრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ამხ. სემარს და საფრანგეთის კომუნალური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს და საფრანგეთის რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის გენერალურ მდივანს ამხ. მიდოლს.

„პირველი, რაც დავინახეთ ჩვენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში ყოფნის დროს,—სთქვეს ამხ-ბმა სემარმა და მიდოლმა,—იყო ის რომ ამ რესპუბლიკებს შორის არსებობს ნამდვილი ძმური სოლიდარობა, დაფუძნებული საერთო ინტერესებზე.

ურთი-ერთ შორის მტრობის ადგილი ამჟამად დაიჭირა მჭიდრო ერთობამ.

რა თქმა უნდა, ჩვენ ეს ადრეც ვიცოდით, მაგრამ ეხლა უფრო დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირში კომუნიზმის თეორია განხორციელებულია.

ბურჟუაზიული პრესა გაჰკივის იმ უთანხმოების შესახებ, რომელიც თითქოს არსებობდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის, ნამდვილად კი ასეთს რამეს ადგილი არა აქვს.

ჩვენ, როგორც კომუნისტებმა, ვიცოდით ის დაბრკოლებანი, რომლებსაც განიცდის საბჭოთა კავშირი, მაგრამ იმან, რაც ვნახეთ, დაგვარწმუნა, რომ ეს დაბრკოლებანი უფრო დიდად გვქონდა წარმოდგენილი, ვიდრე სინამდვილეშია.

საბჭოთა კავშირის მიღწევები დიდია, ისინი უნდა აღინიშნოს და ეუწყოს საზღვარ-გარეთელ მასებს. თქვენს გაზეთებში კი ნაკლი უფრო ხშირად არის აღნიშნული, ვიდრე მიღწევა.

მოგზაურობის დროს დავრწმუნდით, რომ მუშათა განვითარების დონე მეტად მაღალია. ჩვენ გავატარეთ მათთან მრავალი საღამო და გვაოცებს მათი სიმწიფე და შეგნებულობა".

დასასრულ, ამხ. სემარმა და ამხ. მიდოლმა სთქვეს:

„ჩვენ მხურვალე სალამს ვუძღვნით საქართველოს მუშათა და გლეხთა მასებს და ვარწმუნებთ მათ, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი სავსებით თანაუგრძნობს მას.

ჩვენ მოხარულნი ვართ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა უკუ აგდეს ყოველგვარი რასიული და ნაციონალური ანტაგონიზმი და რომ ყველა ისინი გაერთიანებულნი არიან მშრომელთა დიდ კოლექტივში—საბჭოთა კავშირში, რომელიც გამარჯვებულად მიდის სოციალიზმისაკენ".

18 სექტემბერს დილით ამხ. სემარი და ამხ. მიდოლი, მოსკოვში გაემგზავრებიან. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

უთანხმოება ჩინელთა ხელისუფლებისა და უცხოელთა უბანს შორის

შანხაი, 16 სექტემბერი. უკანასკნელ ხანებში გაუარესდა დამოკიდებულება ჩინეთის ხელისუფლებისა და შანხაის საერთაშორისო უბანს შორის. ურთიერთობის გაუარესების მაჩვენებელია თავდასხმა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუროზე, რომლის საბოლოო ლიკვიდაცია დღემდე არ მომხდარა. საზოგადოებაში ძალიან დიდ უკმაყოფილებას იწვევს ძაღლების დოღის შემოღება. უცხოელთა უბნის ხელისუფლებამ ჩინელთა ხელისუფლებას ნება არ მისცა მოახდინოს მოსახლეობის აღწერა იმ ქუჩებში, რომლებიც უცხოეთის უბანს გარეშე იმყოფებიან, მაგრამ რომლებზედაც უცხოელთა უბანი თავის პრეტენზიებს აცხადებს. ზოგიერთი უცხოელთა ფაბრიკები, რომლებიც ჩინეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან, უარს აცხადებენ გადასახადების გადახდაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის, ბრიტანეთის და იაპონიის კონსულებმა ურჩიეს თავიანთ მოქალაქეებს, გადაიხადონ გადასახადი. ამის გამო და აგრეთვე ორი შეურაცხმყოფელი ფაქტის გამო, კვლავ პირველ რიგში სდგება უცხოელთა უბნის მდგომარეობის საკითხი (ადს).

პროტესტი ნანკინის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ

შანხაი, 16 სექტემბერი. შანხაის დიდმა პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს მოწოდება. ამ მოწოდებაში პროფკავშირები პროტესტს აცხადებენ ნანკინის მთავრობის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც იგი უთანასწორო ხელშეკრულებათა საკითხში ატარებს. მოწოდება გამოქვეყნებულია უთანასწორო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ ბრძოლის კვირეულის გამო, რომელსაც გომინდანი ატარებს და რომელიც მეტად ზანტად მიმდინარეობს. მოწოდებაში ნათქვამია:

„ნანკინის მთავრობა უკანასკნელ თვეებში დაადგა იმპერიალისტებთან კომპრომისის გზას. ხომ არ ამტკიცებს ეს გარემოება იმას, რომ ნანკინის მთაირობა, მილიტარისტების მაგალითის მიხედვით, ელაქუცება იმპერიალისტებს. საკუთარი სისხლის ფასით უნდა წავშალოთ უთანასწორო ხელშეკრულებათა სამარცხვინო ლაქა" (ადს).

საბჭოთა გამოფენა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. ბუენოს-აირეში (არგენტინა) გაიხსნა საბჭოთა კავშირის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც მოაწყო სახვაჭრობამ სამხრეთ ამერიკაში. გამოფენის გახსნას დაესწრნენ სასოფლო მეურნეობის მინისტრი, გერმანიის ელჩი არგენტინაში, სენატორები და არგენტინის მრეწველობის და ბანკების ხელმძღვანელნი. (ადს).

სიმაღლის რეკორდი

ბერლინი, 16 სექტემბერი. „ვოლფის" სააგენტო დესაუდან იუწყება:

„ინჟენერი შინცინგერი აეროპლანით აფრინდა 8830 მეტრის სიმაღლეზე. ამრიგად, მან 250 მეტრით გადააჭარბა წინანდელ მსოფლიო რეკორდს. ხსენებულ სიმაღლეზე სიცივე 50 გრადუსს უდრიდა. ხელსაწყოები და მფრინავის ტანისამოსი ყინულით შეიმოსა" (ადს).

ღამის ცნობები

რადიო-ცნობა „კრასინ"-იდან

ყინულისმჭრელი „კრასინ"-ი, 17 სექტემბერი. დღეს, დილის 4 საათზე, ყინულისმჭრელი „კრასინი" იმყოფებოდა ჩრდილოეთის განიდის 81 გრადუსზე და აღმოსავლეთის გრძიდის 19 გრადუსზე და 37 წამზე. ყინულისმჭრელს გეზი ჩრდილოეთისაკენ უჭირავს. მივიმართებით პოლიარულ ყინულში. ტემპერატურა უდრის 6 გრადუსს ნულს ქვემოთ. (ადს).

გერმანია და მოლაპარაკება ჟენევაში რეინლანდის შესახებ

ბერლინი, 17 სექტემბერი. რეინის ოლქის ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ გამართულ მოლაპარაკებას მეტად კრიტიკულად აფასებენ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში, სხვათა შორის „დასავლეთის ორიენტაციის" მომხრეებიც. გერმანიის დელეგაციის წრეებში იჭვის თვალით უყურებენ არსებული უთანხმოების ლიკვიდაციას. სხვადასხვაგვარ შიშს იწვევს აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები მონაწილეობას არ მიიღებს სარეპარაციო საკითხის განხილვაში. (ადს).

კომუნისტების გამარჯვება შვეციაში

სტოკჰოლმი, 17 სექტემბერი. შვეციის საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს არაჩვეულებრივი ინტენსიური საარჩევნო ბრძოლის პირობებში. კომუნისტებმა, რომლებმაც მოიპოვეს 6 მანდატი წინანდელი 4-ის ნაცვლად, შეინარჩუნეს 3 წინანდელი მანდატი, ერთი დაჰკარგეს და 3 ახალი მიიღეს. გეტებორგში კომუნისტებს დააკლდათ სულ 98 ხმა ერთი მანდატის მისაღებად. სულ დღევანდელამდე კომუნისტებმა მიიღეს 130.000 ხმა, წინანდელ არჩევნებთან შედარებით, მიღებულ ხმების რაოდენობა 100 პროცენტით გაიზარდა. (ადს).

ჯავშნოსნის აგების გარშემო

ბერლინი, 17 სექტემბერი. „მთავრობის მოამბის" დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თანახმაა ნება დართოს ხელის მოწერის გამართვას საყოველთაო კენჭის ყრის მოსაწყობად ჯავშნოსნის აგების საკითხის შესახებ. ხელის მოწერის ვადა 3 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრამდეა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარჰყო კომპარტიის წინადადება იმის შესახებ, რომ ხელის მოწერის ვადაში მოქცეულიყო სამი კვირა დღე, რათა კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღება გაადვილებოდათ იმ მუშებს, რომლებიც მუდმივი საცხოვრებელი ბინისაგან შორს მუშაობენ. (ადს).

ჩხრეკა და დაპატიმრება რიგაში

რიგა, 13 სექტემბერი. გუშინ პოლიციამ გაჩხრიკა რამდენიმე საავადმყოფოს სალარო იმ მიზეზით, ვითომც ამ სალაროების თანამშრომელთა ნაწილს „კავშირი ჰქონდეს ამ დღეებში დაპატიმრებულ თვალსაჩინო კომუნისტთან". დაპატიმრებულია 10 კაცი. (ადს).

ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები და ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება

ლონდონი, 17 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: კულიჯმა გადასწყვიტა ყურადღება არ მიაქციოს ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებას; სხვანაირად რომ ითქვას, შეთანხმება გაუქმდება. თუ არ გაუქმდება, ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები მაინც განაგრძობს თავის სურვილის მიხედვით იმ სამხედრო გემების აგებას, რომელთა აგების შეზღუდვას ეს შეთანხმება ცდილობს. (ადს).

საკანისის მისია ჩინეთში

შანხაი, 16 სექტემბერი. შანხაის ჩინელთა წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ იაპონიის გენერლის საკანისის მოულოდნელ მოსვლას. იგი ცნობილია როგორც უ-პეი-ფუს მეგობარი და ტანაკას მომხრე. თვით საკანისიმ კი განაცხადა: „ჩემი მისია, მხოლოდ ის არის, რომ შევაგროვო ცნობილი ძველი ჩინური სურათებით". ეს ჩინურ პრესას არა სჯერა და ისევ ბრალსა სდებს იაპონიას, რომ იგი ცდილობს გააძლიეროს შინაური ბრძოლა ჩინეთში. გაზეთების სიტყვით, ტანაკამ იაპონიის გენერალურ შტაბს 200.000 იენი მისცა მონღოლეთში სამუშაოდ. შემდეგ პრესა იუწყება: წინათ გაგზავნილი 300 ოფიცრის გარდა, ამჟამად მონღოლეთში გაგზავნილია მასწავლებლების სახით კიდევ 160 იაპონელი ოფიცერი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

კიევის მანევრები დასრულდა

მანევრები ბრწყინვალედ ჩატარდა

კიევი, 17 სექტემბერი. მანევრები დასრულდა. 16 სექტემბერს გაიმართა ბრძოლა, რომლითაც დასრულდა მანევრები. საოლქო პარტკომი, საოლქო აღმასკომი და საოლქო პროფსაბჭო მიესალმნენ წითელარმიელებს, მეთაურებს და არმიის პოლიტმუშაკებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ მანევრებში.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტს კიევის მანევრების შედეგების შესახებ შემდეგი აცნობეს:

„მანევრებმა დაამტკიცა ჩვენი წითელი არმიის სიმხნევე, წითელარმიელთა დიდი შეგნება და მეთაურთა შემადგენლობის დიდი ერთგულება. ნაწილების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა მაღალ დონეზე აღმოჩნდა. მანევრების დროს ბატონობდა რევოლიუციონური დისციპლინა და სიმწყობრე. ყველა ბრძანება სწორად და გადაუხრელად სრულდებოდა. წითელარმიელთა ნაწილებმა გვიჩვენეს სიმამაცე და მედგრობა და შეასრულეს ის სერიოზული სამხედრო ამოცანები, რომლებიც მანევრებს ჰქონდა დასახული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუშათა ბატალიონების მუშაობა, რომელმაც საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა. აგრეთვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი პოლიტიკური მუშაობა, რომელიც მანევრების დროს ჩატარდა. დიდი კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს კოოპერაციის, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების, წითელი ჯვრის და სხვა ორგანიზაციების მუშაობა მანევრების დროს. (ადს).

საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ბრძანება კიევის მანევრების შესახებ

კიევი, 17 სექტემბერი. კიევის მანევრების დამთავრების გამო გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ვოროშილოვი. ბრძანებაში ნათქვამია:

„მუშურ-გლეხური წითელი არმიის დიდი მანევრები დამთავრდა. მათი სამოსწავლო შედეგების შეფასება მომავლის საქმეა. მაგრამ უკვე ეხლა შეიძლება აღინიშნოს, რომ ის საპასუხისმგებლო ამოცანები სამხედრო პოლიტიკური მომზადების დარგში, რომლებიც დასმული იყო წითელი არმიის წინაშე სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს მიერ, სავსებით და მთლიანად არის შესრულებული. წითელი არმიის ძლიერება მარტო მის შინაგან შესაძლებლობათა განვითარებაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ საბჭოთა საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირის დამყარებაზედაც. მანევრებმა გვიჩვენა, რომ მშრომელთათვის მახლობელია წითელი არმიის ინტერესები. ამასთანავე მანევრებმა გვიჩვენა, რომ პროლეტარული საზოგადოებრიობა შეეჩვია მუშაობას სამხედრო ნაწილებისათვის საჭირო სამსახურის გასაწევად საველე პირობებში. მანევრების უდიდესი მნიშვნელობა—ნათქვამია შემდეგ ბრძანებაში,—იმაში მდგომარეობს, რომ მანევრების დროს მოხერხებულად და სწორად იყო გამოყენებული ტეხნიკური საშუალებები. ქვეითა ჯარი მტკიცედ მოქმედებდა, ხოლო ცხენოსანმა ჯარმა გვიჩვენა, რომ ქვეითადაც შეუძლია ბრძოლა. ავიაციის მოქმედებამ თავისი ფართო მასშტაბით და ხერთულით გადააჭარბა ყოველივე იმას, რაც ამ მხრივ წინა მანევრებზე გვქონდა. სამხედრო-საჰაერო ძალებმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავისი ამოცანები.

სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს სახელით—ნათქვამია დასასრულ ბრძანებაში—მადლობას ვუცხადებ წითელარმიელთა, მეთაურთა, პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ შემადგენლობას". (ადს).

საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს მოწოდება მუშათა, გლეხთა და ყველა მშრომელთადმი

კიევი, 17 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურმა საბჭომ მოწოდებით მიმართა კიევის, ვოლინის და ბერდიჩევის მუშებს, გლეხებს და მშრომელთ. მოწოდებაში ნათქვამია:

„პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უშუალო მონაწილეობა მიიღეს მანევრების საუკეთესოდ ჩატარების საქმეში და დაუფასებელი დახმარება გაუწიეს წითელ არმიას. მანევრების ყველა რაიონში მუშები და გლეხები სიყვარულსა და ყურადღებას იჩენდნენ თავისი არმიისადმი.

მანევრების დამთავრების შემდეგ, მუდმივ ბინებზე დაბრუნებისას, წითელარმიელები და მეთაურთა შემადგენლობა უღრმეს მადლობას და ძმურ სალამს უძღვნიან კიევის, ვოლინის და ბერდიჩევის ოლქების გლეხებს და აგრეთვე ყველა იმ ორგანიზაციებსა და მშრომელთ, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ მანევრებში" (ადს).

„სოვეტსკი სევერ"-ის პოვნა

სად იმყოფება ექსპედიცია

მოსკოვი, 17 სექტემბერი. თვითმფრინავის „სოვეტსკი სევერ"-ის დამხმარე კომიტეტმა მიიღო დეპეშა თვითმფრინავის უფროსის ვოლინსკისაგან იმის შესახებ, თუ სად იმყოფება ექსპედიცია.

მფრინავები ვოლინსკი და კოშელევი და აერო-ნავიგატორი როდზევიჩი იმყოფებიან ულენში, ექსპედიციის უფროსი კრასინსკი და ბორტ-მექანიკოსი ბორისენკო გაემართნენ თვითმფრინავისაკენ.

კომიტეტმა დაგზავნა დეპეშები იმის შესახებ, რომ შეწყვეტილ იქნეს ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობა ექსპედიციის ძებნის მოსაწყობად. (ადს).

თვითმფრინავის მდგომარეობა

მოსკოვი, 17 სექტემბერი. ჯერ არ მოსულა დაწვრილებითი ცნობები თვითმფრინავის „სოვეტსკი სევერ"-ის დაზიანების შესახებ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ გზის გაგრძელება განზრახული მარშრუტით შეუძლებელია, ვინაიდან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეს ნაპირები არ არიან ხელსაყრელი თვითმფრინავის შეკეთებისა და რემონტისათვის ადგილობრივი საშუალებებით. (ადს).

აფეთქება ქარხანაში

ბაქო, 16 სექტემბერი. 16 სექტემბერს დილის 8 საათზე შავ ქალაქში პიატაკოვის სახელობის ზეთის ქარხანაში ტემპერატურის შეცვლის გამო მომხდარ აფეთქებისაგან გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლი მალე მოედო ხის ნაწილებს, მაგრამ მეხანძრეთა რაზმებმა ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. აფეთქების დროს რამდენიმე მუშა მსუბუქად დაშავდა. შეუდგნენ ცეცხლისაგან მიყენებული ზარალის გამორკვევას.

ამხ. მიქოიანის სიტყვა

მუშათა მომარაგების კომისიის სხდომაზე

მოსკოვი, 17 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა მუშათა მომარაგების კომისიის სხდომა. სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მიქოიანმა.

„მოსავლის დაგვიანება და პურის დამზადების ნაგვიანებად განვითარება,—სთქვა, სხვათა შორის, ამხ. მიქოიანმა,—ვერ გამოიწვევდნენ მომარაგების გაძნელებას, თუ სავაჭრო ორგანიზაციები პურის ახალ კამპანიაზე გადავიდოდნენ პურის მნიშვნელოვანი გარდამავალი მარაგით. მაგრამ ეს მარაგი უმნიშვნელო იყო. ამიტომ ამოცანად უნდა დავისახოთ, რომ მთელი წლის გამავლობაში ვაგროვოთ მარაგი მომხმარებელ რაიონებში და უზრუნველვყოთ ეს რაიონები უფრო ხანგრძლივი ვადით. ცნობილია დამამზადებელი აპარატის დეფექტები, კერძოდ, კონკურენცია დამამზადებელთა შორის, მათი ნაკლები მომზადება და ნაკლები აქტივობა, რაც ხელს უშლის პურის დამზადების უფრო გაძლიერებულ განვითარებას. ჩვენ ყოველგვარ ზომას ვხმარობთ ამ დეფექტების თავიდან ასაცილებლად და დამამზადებელი აპარატის გასაუმჯობესებლად. ახლად დამზადებული პურის სწრაფად გამოყენებისათვის, დამამზადებელნი ყოველ ზომას ხმარობენ, რომ საჩქაროდ წაღებულ იქნას პური დასაგროვებელი პუნქტებიდან, ამოქმედდეს პურის საფქვავი მრეწველობა მარცვლეულის გადამუშავების გზით, რეგულარულად მომარაგდნენ მომხმარებელი რაიონები პურით, თანახმად მათთან დადებული ხელშეკრულებებისა. მომარაგების საქმის გაუმჯობესება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მარჯვედ და სწორედ გაუძღვებიან დამამზადებელი და სამომხმარებლო ორგანიზაციები თავიანთ ამოცანებს და თავიდან მოიშორებენ არსებულ დაბრკოლებებს.

შემდეგ ამხ. მიქოიანი შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც საჭიროებს სხვა პროდუქტებით მომარაგების საქმე. რადგან სხვადასხვა საქონლის ნაკლებობა არსებობს, მუშათა მომარაგების კომისიამ დაწვრილებით უნდა განიხილოს მომარაგების გაძლიერებისათვის საჭირო ზომები იმ ვარაუდით, რომ შემდგომ სესიაზე განხილულ იქნას მუშათა ყველა რაიონის პურით და სხვა პროდუქტებით მომარაგების წლიური გეგმები. დასასრულ, ამხ. მიქოიანმა აღნიშნა: ბაზრის მოსაწესრიგებლად, მეტადრე, როდესაც ესა თუ ის სიძნელე არსებობს, მუშათა ორგანიზაციები, განსაკუთრებით სამომხმარებლო კოოპერაციის სახით, ჩაბმულ უნდა იქნან იმ ღონისძიებათა აქტიურ განხილვასა და განხორციელებაში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მუშათა მომარაგების მოგვარების საქმესთან. ნამდვილად კი მუშებმა ხშირად არ იციან ამა თუ იმ საქონლის ნაკლებობის მიზეზები და ის ზომები, რომლებიც მიღებულია ხოლმე დაბრკოლებათა ასაცილებლად მომავალში.

ამხ. მიქოიანის მოხსენების შემდეგ კომისიამ განიხილა ამხ. ხინჩუკისა, ჩუხრიტისა და ხლოპლიანკინის მოხსენებანი სხვადასხვა საქონლის შესახებ და გამოიტანა სათანადო დადგენილებანი. კერძოდ, კომისიამ დამამზადებელი ორგანიზაციების ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ საჭიროა დამზადებული პურის მთლიანად გადატანა შესაფერ რაიონებში და მარცვლეულის დაფქვის დაჩქარება. საჭიროდ იქნა ცნობილი აგრეთვე პურის ცხობის გაფართოება და გამოსაცხობი პურის ღირსების გაუმჯობესება. იმ მიზნით, რომ სოფელი უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო საქონლით და ამით პურის დამზადების საქმე გაუმჯობესდეს, გადასწყდა მეტი სამრეწველო საქონლის შეტანა სოფლად პირველ კვარტალში. (ადს).

ტოლსტოის ხსოვნის საღამო

მოსკოვი, 17 სექტემბერი. 14 სექტემბერს პოლიტეხნიკურ მუზეუმში შესდგა მოსკოვის ვეგეტარიანთა საზოგადოების და ტოლსტოის მუზეუმის მიერ მოწყობილი საღამო ტოლსტოის ხსოვნის აღსანიშნავად. დამსწრეთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენდენ ტოლსტოის მიმდევრები. საღამოზე გამოვიდნენ ვეგეტარიანთა საზოგადოების თავმჯდომარე ჩერტკოვი, ტოლსტოის ყოფილი მდივანი, ამჟამად კი ტოლსტოის მუზეუმის დირექტორი გუსევი, გორბუნოვ-პოსადოვი და აპოსტოლოვი. (ადს).

10 სექტემბერს მოსკოვში გამართულ საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი: სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ)—სტეფან ცვეიგი, გრიგოლ რობაქიძე, მეოთხე—ბერნგარდ კელერმანი

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება

მეთამბაქოობის განმტკიცების შესახებ

მოსკოვი, 17 სექტემბერი. ყვითელი მეთამბაქოობის განმტკიცების მიზნით შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა: ჩრდილოეთ კავკასიისა, ყირიმისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე შეჩერებულ იქნეს მეთამბაქოეთა იმ დავალიანების იძულებით გადახდევინება, რომელიც გამოიწვიეს 1925-1926-1927 წლებში მიცემულმა ავანსებმა და სესხებმა, კერძოდ შეჩერებულ უნდა იქნეს სუსტ და საშუალო მეურნეობათა ქონების გაყიდვა საჯარო ვაჭრობით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა მიერ გამორკვეული იქნება, რომ დავალიანების დაფარვას თავს არიდებენ ბოროტი განზრახვით. ყველა ფულადი თანხა, რომელიც, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის 1927-28 წელს კრედიტების მიწოდების დარგში დამტკიცებული გეგმის თანახმად, უნდა მოხმარდეს მეთამბაქოობისათვის კრედიტის მიწოდებას, მაგრამ დღემდე არ არის გამოყენებული დანიშნულებისამებრ, მოხმარდეს მეთამბაქოეთა ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის გრძელვადიანი კრედიტების მიწოდებას.

მე-4-ე საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობა

16 სექტემბრის დილის სხდომა

ექ. ჰოლცმანის მოხსენება

დილის სხდომაზე თავმჯდომარეობს პროფ. **ფაინშმიდტი** (ხარკოვი). პროფ. ვორობიოვის ავადმყოფობის გამო, მოხსენებას ფილტვების ჭლექის კლასიფიკაციის შესახებ აკეთებს ექ. **ჰოლცმანი**. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენი ცოდნა ტუბერკულიოზის შესახებ ჯერ კიდევ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მეცნიერული, ერთიან პრინციპზე აგებული კლასიფიკაციის ჩამოყალიბება. წარმოდგენილი კლასიფიკაცია არის მხოლოდ პრაქტიკული მუშაობისათვის ნავარაუდევი სქემა. ამ სქემას საფუძვლად დაედო მე-2 სატუბერკულიოზო ყრილობაზე მიღებული **ტურბან შტოიარდტის** და **შტერნბერგის** სქემები. კომისიამ, რომელიც სპეციალურად მუშაობდა ფილტვების ჭლექის კლასიფიკაციის დუალისტურად ჩამოყალიბებაზე, ტუბერკულიოზური დაწესებულებების პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით შეიტანა მცირეოდენი შესწორებები და დამატებანი.

მე-2 ყრილობაზე მიღებული კლასიფიკაცია შეეხებოდა მხოლოდ ფილტვის ტუბერკულიოზს, მაგრამ შემდეგი დროის პრაქტიკულმა მუშაობამ დაგვანახვა, რომ ამ საქმეში საჭიროა შევიტანოთ აგრეთვე სხეულის სხვა ნაწილების (ორგანოების) ტუბერკულიოზიც.

მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და გაცხოველებული კამათი გამოიწვია.

კამათი

ექ. ჰოლცმანის მიერ წარმოდგენილი სქემის წინააღმდეგ ილაშქრებენ ექ. **ბერლინი** (მოსკოვი), რომელიც იცავდა თავის წინადადებას კლასიფიკაციის დუალისტურად ჩამოყალიბების შესახებ და ექ. **მაროზოვსკი** (ხარკოვი), რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ პრაქტიკულად მომუშავე ექიმების ფართო მასას ჯერ კიდევ ერთნაირად არ შეუთვისებია მე-2 ყრილობის მიერ შემუშავებული სქემაც კი, რომელიც გაცილებით ნაკლებ რთულია. დანარჩენმა ორატორებმა შეიტანეს ზოგიერთი დამატებები ტუბერკულიოზის ამოცანების სოციალური მომენტების შესახებ (**მაიმონი** და **სუხომლინოვი**).

პროფ. **კისელი** (მოსკოვი) შეეხო ბავშვის ჰასაკის ტუბერკულიოზის კლასიფიკაციას. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: ექ. **კაპრილოვსკიმ, ანდრეევმა, შიფმანმა** (მოსკოვი), პროფ. **მანუილსკიმ** (ნოვოჩერკასკი), **მენჩინსკიმ, ტროფიმოვმა, მეერსონმა, მარკუზონმა**, და სხვ.

თავმჯდომარე პროფ. **ფაინშმიდტი** ჯამს უკეთებს ორატორების ნალაპარაკევს და წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალება ყველა წარმოდგენილ წინადადებების განხილვა და კლასიფიკაციის საბოლოო რედაქციის შემუშავება.

არჩეულ იქნა კომისია 40 წევრის შემადგენლობით.

პრეზიდიუმის წინადადებით ყრილობამ ერთხმად დაადგინა მიღებულ კლასიფიკაციას მიეკუთვნოს განსვენებული პროფ. ა. ი. **შტერნბერგის** სახელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პირველ კლასიფიკაციას.

პროფ. ალტჰაუზენის მოხსენება

ფრიად საინტერესო და შინაარსიან მოხსენებას აკეთებს პროფ. **ალტჰაუზენი** (მოსკოვი): „ტუბერკულიოზი ძუძუმწოვარ ბავშვთა ჰასაკში"—მომხსენებელი დედობის და ბავშვთა დაცვის სახელმწ. სამეცნიერო ინსტიტუტის მასალის მიხედვით აშუქებს ბავშვთა ჰასაკის ტუბერკულიოზის საკითხებს. აღნიშნავს ბავშვთა ჰასაკის ტუბერკულიოზის თავისებურ კლინიკურ მიმდინარეობას. უფრო ხშირად ტუბერკულიოზი ბავშვთა ჰასაკში ბუდობს ბრონქიალურ ჯირკვლებსა და ფილტვებში. მომხსენებელი იმავე მასალის მიხედვით აღნიშნავს სურავანდიან ბავშვთა მცირე რიცხვს, რასაც ხსნის იმ გარემოებით, რომ სურავანდი წარმოადგენს ტუბერკულიოზის შედარებით კეთილთვისებიან ფორმას, რაც ისედაც იშვიათად გვხვდება ბავშვთა ჰასაკში. ძვლის ტუბერკულიოზი ამ ჰასაკში შედარებით კეთილსაიმედოთ მიმდინარეობს პროცესის გენერალიზაციის დროს უფრო ხშირად ავადდება ნერვული სისტემა—ე. წ. ტუბერკულიოზური მენინგიტის სახით.

რაც შეეხება მკურნალობას, მომხსენებელი დიდ მნიშვნელობას აძლევს ბავშვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, წესიერ კვებას, საკმაო საბინაო სივრცეს, სალი ჰაერით სარგებლობას, მზის სხივებით მკურნალობას და სხვა.

აღნიშნული მოხსენების გარშემო კამათი გადაიდო 20 სექტემბრის საღამოს სხდომისათვის.

16 სექტემბრის საღამოს სხდომა

პროფ. შტერნბერგის ხსოვნის აღსანიშნავად

სხდომას ხსნის თავმჯდომარე პროფ. **ფაინშმიდტი**, პირველი სიტყვა ეძლევა ლენინგრადის მუშების წარმომადგენელს ამხ. **ჩიჩულინს**. „მუშები იცნობენ და სათანადოთ აფასებენ ისეთ თავდადებულ მებრძოლებს სოციალურ სნეულებათა და კერძოთ ტუბერკულიოზის ფრონტზე, როგორიც იყო განსვენებული პროფ. შტერნბერგი. ლენინგრადის მუშათა მასები თქვენთან ერთად გლოვობენ იშვიათი ადამიანის უდროოდ დაკარგვას.

პროფ. ფაინშმიდტის სიტყვა

შემდეგ სიტყვა ეძლევა განსვენებული პროფ. შტერნბერგის თანამებრძოლს პროფ. ფაინშმიდტს, რომელმაც დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა და პიროვნება და აღნიშნა მისი უდიდესი ღვაწლი ტუბერკულიოზთან ბრძოლის საქმეში. განსვენებული პროფ. შტერნბერგი დაიბადა ღარიბ ოჯახში და გაჭირვებულ მატერიალურ მდგომარეობაში უხდებოდა მუშაობა, მაგრამ მიუხედავად ამისა 25 წელიწადი ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა მშრომელი ხალხის ამ უდიდესი მტრის—ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. მან ბევრი იმუშავა ტუბერკულიოზიან ავადმყოფთა აქტიურ და პასიურ იმუნიზაციის და ქიმიო-თერაპიის დარგში. მას ეკუთვნის ტუბერკულიოზის ამოცანების ახალი მეთოდების დამუშავება და ბოლოს მან ჩაუყარა საფუძველი ფილტვის ტუბერკულიოზის მეცნიერ და მიზანშეწონილ კლასიფიკაციას.

პრ. **ფაინშმიდტი** წინადადებას აძლევს ყრილობას ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებული ამხანაგის ხსოვნას. ყრილობამ ფეხზე ადგომითვე პატივი სცა განსვენებულ პროფ. **იანოვსკის** ხსოვნას, რომელსაც აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის ტუბერკულიოზის საკითხების გაშუქებაში.

შემდეგ მოსმენილი იქნა მთელი რიგი მოხსენებები ტუბერკულიოზური პროცესის ფორმების პათოლოგიურ ანატომიურ საკითხებზე: **შვაიცარი** (მოსკოვი)—„ფილტვის ტუბერკულიოზის სხვადასხვა ფორმების პატოლოგიური ანატომიური დახასიათება", **ვარიკი** (მოსკოვი) კითხულობს ორ მოხსენებას იმავე საკითხებზე; **ეინირი** (მოსკოვი)—„ტუბერკულიოზის კლინიკური ნიშნების ელემენტების შესახებ"; **ჩუკანოვი** (მოსკოვი)—„ფილტვების ტუბერკულიოზის კლინიკური და რენტგენოლოგიური გამოკვლევების შედარებითი დახასიათება"; **ხმელნიცკი** (ხარკოვი)—„ფილტვების ტუბერკულიოზის გამოაშკარავებული ფორმების, მიმდინარეობის, ამოცანების და მკურნალობის შესახებ"; **როზე**—„ტუბერკულიოზურ ჩირქოვან პლევრიტების შესახებ".

ამით თავდება 16 სექტემბრის საღამოს სხდომა.

17 სექტემბრის დილის სხდომა

თავმჯდომარეობენ **ხოლცმანი, მუნგლიტი** და **გოპაძე**.

გრძელდება კამათი წარსულ სხდომაზე მოსმენილ მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობას ღებულობენ პროფ. **მეერსონი** (ოდესა), პროფ. **ანდრიასი** (მოსკოვი), ექ. **სოსკიდი**, ექიმი **აქსიანცევი, ჰერცმანი** და სხვები.

კამათის დასრულების შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია განსვენებულ პროფესორის შტერნბერგის შესახებ. ყრილობამ დაადგინა საბჭოთა კავშირში საყოველთაოთ მიღებული ფილტვის ტუბერკულიოზის კლასიფიკაციას მიეკუთვნოს პროფ. შტერნბერგის სახელი.

დილის სხდომაზევე მოსმენილ იქნა მთელი რიგი მოხსენებები ტუბერკულიოზით დაავადების შესწავლის მეთოდების შესახებ. მოხსენებები წაიკითხეს შემდეგმა პირებმა: ექ. **მოროზოვსკიმ** (ხარკოვი); ექ. **შიფმანმა** (მოსკოვი); ექ. **იაკუბმა** (მოსკოვი) და ექ **ნეზლინმა** (მოსკოვი).

უკანასკნელის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ჭლექისაგან სიკვდილიანობა საბჭოთა სხვადასხვა ქალაქებში საერთოდ ძალიან დიდია, განსაკუთრებით მაღალია სიკვდილიანობის პროცენტი ჩრდილოეთში (არხანგელსკი), ჩრდ. აღმოსავლეთში (უფა და სვერდლოვსკი) და ვოლგის მხარეში (ყაზანი, სამარა), ლენინგრადში ჭლექისაგან სიკვდილიანობას უკავია პირველი ადგილი სიკვდილიანობის სხვა მიზეზებს შორის. აღნიშნული მოხსენებები დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და გაცხოველებული კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ექ. **კლებანოვმა** (იალტა), ექ **კუშნიკოვმა** (მოსკოვი), **სუკენიკოვმა** (ოდესა), **ლენჩინსკიმ** (ოდესა) და სხვებმა.

17 სექტემბრის საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს—ექ. გ. ელიავა.

სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები ექ. კალმეტის წესით ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო აცრის შესახებ. მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. **ლუბარსკი** (მოსკოვი), ექ. **ცეხნოვიცერი** (ხარკოვი), ექ. **იახნისი** (ხარკოვი). მომხსენებლები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო აცრა დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა, სრულიად უშიშარია და საჭიროა ფართოთ იქნას ჩატარებული ცდები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებში. აღნიშნულმა მოხსენებებმა მეტად ცხოველი კამათი გამოიწვიეს. მთელი რიგი ოპონენტებისა საჭიროდ სთვლიდა, რათა ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო აცრა გატარებული იქნას კლინიკურ პირობებში და მეტი სიფრთხილით მოეკიდონ მას. მოკამათეების აზრით საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ორი გარემოება—ერთის მხრივ ტუბერკულიოზის გამომწვევი ჩხირი და მეორეს მხრივ—თვით ადამიანის ორგანიზმის განსაკუთრებული თვისებები. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ექ. **კრიჩევსკიმ** (როსტოვი), პროფ. **მაჩანმა** (ლენინგრადი), ექ. **ვარიკმა** (მოსკოვი), პროფ. **ლენოვსკიმ** (ხარკოვი), პროფ. **კისელმა** (მოსკოვი), ექ. **კუშნიკოვმა** (მოსკოვი) პროფ. **მუნგლიტმა** (ოდესა), პროფ. **მატვეევმა** და სხვ.

აღნიშნული საკითხების შესახებ ყრილობამ დაადგინა არჩეულ იქნას სპეციალური კომისია, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის ამ საკითხს და თავის დასკვნას წარმოუდგენს ყრილობას.

ყრილობის ქრონიკა

დღეს ჩამოვა ამხ. სემაშკო

დღეს თბილისში ჩამოვა საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო მე-4 სატუბერკულიოზო ყრილობაზე დასასწრებლად და მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

პროფ. მეზერნიცკის ჩამოსვლა

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ჩამოვიდა პროფესორი პ. მეზერნიცკი.

დელეგატები მსოფლიო სატუბერკულიოზო ყრილობაზე

დღეს იტალიაში მსოფლიო სატუბერკულიოზო კონგრესზე დასასწრებლად მიემგზავრებიან: პროფ. ი. ფაინ-შმიდტი, პრივ-დოც. აბაკელია და ექიმი დავთიანი.

მისალმებანი ყრილობას

მიღებულია მისასალმებელი დეპეშა რომიდან პროფ. ვორობიოვისაგან, ბორჯომიდან—პროფ. ბოუკელისაგან და ექიმ კონიაშვილისაგან, ბელორუსიის ჯანსახკომისაგან, ლენინგრადიდან ამხ. ლაპშინისაგან, ყაზახისტანიდან და სხვა.

ყრილობის კომისიები

ყრილობაზე არჩეულია მთელი რიგი კომისიები და ქვე-კომისიები, რომლებიც ამუშავებენ მასალებს სხვადასხვა საკითხებზე და ადგენენ რეზოლიუციებს. უმთავრესი კომისიებია: ტუბერკულიოზისაგან სიკვდილიანობის, დაავადების, ჭლექით დაავადებულთა აღრიცხვის, ტუბერკულიოზურ დაწესებულებათა მუშაობის, ტუბერკულიოზის კლასიფიკაციის, ჭლექით დაავადებულთა კვების, ბავშვთა ტუბერკულიოზის, ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო აცრის, საგამოფენო, საორგანიზაციო და სხვა.

კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობენ ტუბერკულიოზის საკითხების სპეციალისტები: პროფ. **მუნგლიტი, ჰოლცმანი, კაცმანი, შიფმანი, მოროზოვსკი** და სხვები.

მახლობელ დღეებში ყრილობის დელეგატების ერთი ჯგუფი იწვევს სპეციალურ თათბირს საბჭოთა კავშირის ეროვნულ უმცირესობათა შორის ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების განსახილველად. თათბირი შეისწავლის აგრეთვე ზოგიერთ ერებში ჭლექისაგან სიკვდილიანობის მაღალი პროცენტის მიზეზებს. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ უმთავრესად ამიერ-კავკასიის, უზბეკისტანის, ყირიმის, ბელორუსიის და სხვა რაიონების ექიმები.

თათბირი

გუშინ გაიმართა თათბირი ტუბერკულიოზურ სამეცნიერო ინსტიტუტის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ინსტიტუტების წარმომადგენლებმა: საბჭოთა რუსეთის ჯანსახკომის ტუბინსტიტუტის—(მოსკოვი), სოციალურ სნეულებათა ინსტიტუტის (მოსკოვი), ტუბერკულიოზის პროფილაქტიკის და თერაპიის ინსტიტუტის (მოსკოვი), და აგრეთვე ლენინგრადის, ოდესის ხარკოვის, კიევის, სარატოვის, ჩრდილოეთ-კავკასიის, იალტის და ბელორუსიის ტუბდაწესებულებათა წარმომადგენლებმა.

სოციალური პათოლოგიის განყ. მუშაობა

გაიმართა საკავშირო სოციალურ პათოლოგიის განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი. მოსმენილ იქნა ვრცელი ინფორმაცია ამ განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

შემუშავებულ იქნა მეხუთე სატუბერკულიოზო ყრილობისათვის დღის წესრიგი სოციალურ საკითხების შესახებ. შემდეგი თათბირი მახლობელ დღეებში გაიმართება. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის სატუბერკულიოზო დისპანსერების წარმომადგენლები.

დელეგატი მუშების ექსკურსია ზაჰესში

დღეს გაიმართება ყრილობის დელეგატ-მუშების ექსკურსია ზაჰესში ყრილობის დანარჩენი დელეგატებისათვის ექსკურსია ზაჰესში გაიმართება 20 სექტემბერს.

დელეგატების ექსკურსია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში

ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართება დელეგატების ექსკურსია საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა კურორტებზე (ბორჯომ-აბასთუმანში, ბათომში, სოხუმში, და საქართველოს სამხედრო გზაზე). ამ მიზნით ყრილობასთან დაარსებულია საექსკურსიო ბიურო, რომელმაც თავისი ბაზები მოაწყო საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა ადგილებში.

გამოფენა

ყრილობასთან მოწყობილია გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია შემდეგი განყოფილებანი: ტუბერკულიოზით დაავადებულთა და ტუბერკულიოზისაგან სიკვდილიანობის შესახებ.

ყრილობის საორგანიზაციო ბიუროში

გამოვიდა მე-4 სატუბერკულიოზო ყრილობაზე წასაკითხათ მოხსენებების თეზისები და ავტორეფერატები, რომელიც გამოსცა ყრილობის საორგანიზაციო ბიურომ. საორგანიზაციო ბიურო უშვებს სპეციალურ ბიულეტენს ყრილობის მუშაობის შესახებ. ბიულეტენის პირველი ნომერი გამოვიდა ყრილობის გახსნის დღეს. ბიულეტენის მეორე ნომერი გამოვა დღეს. (18 სექტემბერს).

—:—

— საორგანიზაციო საკითხები, რომელიც უნდა მოსმენილიყო 17 სექტემბრის სხდომაზე ამხ. სემაშკოს ჩამოსვლის გამო, გადადებულია 19 სექტემბრის სხდომისათვის.

—:—

— დღეიდან სხდომების მუშაობა სწარმოებს შემდეგ საათებში: დილის 9-დან 2 საათამდე, საღამოს 5-დან 9 საათამდე.

—:—

— უკანასკნელი ორი-სამი დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა სათვისტომოების (უკრაინის, საბჭოთა რუსეთი და სხვა) თათბირები, რომლებზედაც განხილულ იქნა ყრილობის საორგანიზაციო საკითხები—ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების დაკავშირებით.

კომინტერნის დელეგატთა მეორე ჯგუფი თბილისში

17 სექტემბერს დილით აზერბეიჯანიდან თბილისში ჩამოვიდა კომინტერნის დელეგატთა მეორე ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: ჩინეთის კომუნისტური პარტიის ორი წარმომადგენელი—კომინტერნის აღმასკომის წევრი და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. სტრახოვი და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე იანციზი-კუა, სამხრეთ-სლავიის წარმომადგენელი ამხ. სკაგირი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური კომიტეტის წევრი ამხ. რობერი, ბულგარეთის წარმომადგენელი ამხ. შიითანოვი, შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის სამი წარმომადგენელი ამხანაგები ჯი ვოლხონი, ფარვერი (ზანგი) და ო,გრედი და გერმანიის კომუნისტური პარტიის სამი წარმომადგენელი ამხ. ფლიკი, მიულერი (ცენტრალური კომიტეტის წევრი) და ლოტა გერმანი.

მოსკოვიდან გამოსვლის შემდეგ დელეგატები პირველად გაჩერდნენ გროზნოში, საიდანაც გაემგზავრენ მახაჩ-კალასა და ბაქოში. ბაქოდან დელეგატები გაემგზავრენ განჯაში, სადაც ორი დღე გაატარეს.

თბილისში დელეგატებმა დაათვალიერეს ზაჰესი, ავჭალის წყალსადენი, რკინის გზის სახელოსნოები და სხვა.

დელეგატები განსაკუთრებით კმაყოფილი არიან აზერბეიჯანისა და, კერძოდ, განჯის ნახვით,

„ჩვენ არ ველოდით, რომ საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხეში ვპოვებდით მშრომელთა და საბჭოთა ხელისუფლების ასეთ გულწრფელ მთლიანობას.

ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ იმ შეხვედრას, რომელიც გაგვიმართეს ჩვენ აზერბეიჯანის დივიზიის ნაწილებმა. გაოცებული ვართ აზერბეიჯანის მშენებლობის მასშტაბით".

დასასრულ დელეგატებმა განაცხადეს:

„ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილებით შევყურებთ საქართველოს პროლეტარიატის მუშაობას ახალი ცხოვრების მშენებლობის ფრონტზე, მაგრამ უფრო მეტად აღსანიშნავია მისი გამარჯვებანი იდეოლოგიურ ფრონტზე. მრავალ ჩვენს დელეგაციისათვის ამ გამარჯვებებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვენი ბრძოლის ერთ-ერთ უძნელეს ეტაპს წარმოადგენს ბრძოლა ჩვენს მენშევიკებთან, სოციალ-დემოკრატებთან. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც, მაგალითად შეერთებულ შტატებში, მუშები ჯერ კიდევ მათ მიჰყვებიან, მაგრამ როდესაც საქმე მიდგება აშკარა ბრძოლაზე, გაფიცვებზე, მაშინ მუშები ჰხედავენ, რომ მათი ნამდვილი ხელმძღვანელები არიან მხოლოდ კომპარტიები". (ადს).

კომინტერნის დელეგატთა ჯგუფის გამგზავრება

საღამოს, 17 სექტემბერს კომინტერნის დელეგატთა ჯგუფი გაემგზავრა ერევანში. ერევნიდან დელეგატები გაემგზავრებიან ლენინაკანში, კარაკლისში, დელიჟანში და სხვ. დაბრუნებისას დელეგატები რამდენიმე დღეს გაატარებენ თბილისში. (ადს).

გერმანიის მეცნიერთა ჩამოსვლა

17 სექტემბერს საღამოთი თბილისში ჩამოვიდა სახალხო განათლების ყოფილი მინისტრი პრუსიაში გერმანიის მეცნიერებისათვის ხელის-შემწყობი და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ საზოგადოებათა თავმჯდომარე პროფესორი ოტო შმიდტი. პროფესორ შმიდტთან ერთად ჩამოვიდა აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ საზოგადოების გენერალური მდივანი დოქტორი იონასი. თბილისში შმიდტი და იონასი დარჩებიან რამდენიმე დღე და ბათომით გაემგზავრებიან სტამბულში. პროფესორ შმიდტისა და დოქტორ იონასის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის მიზანია კულტურული კავშირის გაფართოება და განმტკიცება ამ ორ ქვეყნის შორის. (ადს)

პარტიული ცხოვრება

მეტი ყურადღება პარტგანათლებას

1927—28 სასწავლო წელში პარტგანათლება წინა წელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, ეს საქმე ჯერ მაინც სუსტად არის დაყენებული, პარტიული მასების საგრძნობ ნაწილს დღემდე პირველ დაწყებითი პოლიტიკური ცოდნა არ მიუღია. ის ამხანაგები, რომლებიც წინად სწავლობდნენ პარტგანათლების სკოლებში, ისევ მომზადებას საჭიროებენ, რადგან პარტიამ უკანასკნელ წლებში მთელი რიგი ახალი აქტუალური ამოცანა წამოაყენა, რომლის შესახებ კომუნისტების დიდ ნაწილს გარკვეული წარმოდგენა არა აქვს.

ცუდი მდგომარეობაა დაბალი პარტაქტივის პარტსწავლის დარგშიც. ხსენებულ აქტივს მიღებული აქვს მხოლოდ პირველ დაწყებითი პოლიტიკური ცოდნა. მის შემდეგომ განათლებაზე კი ჩვენ ნაკლებად ვზრუნავთ. ნებაყოფლობით პარტქსელში—სხვადასხვა წრეებში ამ აქტივის ძლიერ მცირე პროცენტია ჩაბმული.

პარტიული განათლების ძირითად სისტემაში უნდა მოექცნენ პარტიის წევრები და კანდიდატები, რომლებსაც არა აქვს პირველდაწყებითი პოლიტმომზადება და აგრეთვე დაბალი პარტიული აქტივიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ გამონაკლისის გარდა, პარტორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პარტგანათლების საქმეს, ვერ აფასებენ მის მნიშვნელობას. პარტიულ განათლების შეუფასებლობა მომავალ სამოსწავლო წელში ძირიანად უნდა აღმოიფხვრას და ამ საქმემ პარტმუშაობის საკითხთა შორის თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს.

გასულ წელს პარტგანათლებას ხელი შეუშალა იმან, რომ არ ჩატარებულა წინასწარ მოსამზადებელი კამპანია. წელს, ვიდრე გვიან არ არის, ეს უდიდესი ნაკლი თავიდან უნდა ავიცილოთ. სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე (სადაც ჯერ არ დაწყებულა) ეხლავე უნდა დაიწყოს და ოქტომბრამდე დამთავრდეს.

პარტიის წევრები არ იმეცადინებენ პარტქსელში, თუ მათ არ განემარტა პარტგანათლების სხვადასხვა ფორმების ამოცანები, პარტქსელის ორგანიზაციული საკითხები და სხვა. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივა ამბობს, რომ პარტსწავლა სავალდებულოა მხოლოდ პარტიის კანდიდატებისათვის. ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ პარტიის წევრებმა ყველაფერი იციან და მათ სწავლა აღარ ესაჭიროებათ პარტიულებისათვის დაწესებულია პარტგანათლების ამა თუ იმ ფორმის (სკოლის, წრის) ნება-ყოფლობითი არჩევა. ისინი, რომლებიც სავალდებულო ქსელში არ მოექცევიან, უნდა ჩაიბან პარტქსელის ნებაყოფლობით ქსელში. ჩვენ უნდა დავაჯეროთ პარტიის წევრები, რომ მათთვის აუცილებელია პოლიტიკური ცოდნის გაღრმავება, მარქს-ლენინის მოძღვრების შესწავლა და უნდა განაგრძონ მეცადინეობა პარტგანათლების შესაფერ სკოლაში, წრეში ან თვითგანვითარების საშუალებით. ახსნა-განმარტება საჭიროა სწარმოებდეს უჯრედების სხდომებზე. ამ მოსამზადებელ მუშაობის გვერდით უნდა მოეწყოს სკოლების და წრეების მსმენელთა შემრჩევი და პარტქსელის ჩამომყალიბებელი კომისიები. სკოლების და წრეების შევსების დროს ყურადღება უნდა მიექცეს მსმენელთა მომზადების (ცოდნის ერთგვარობას. სამეცადინო პუნქტის არჩევას, სასწავლო ნივთების შეძენას, ხელმძღვანელის შერჩევას და სხვ. უჯრედებმა და თემკომებმა უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტქსელის შექმნაში, გაუწიონ მას ხელმძღვანელობა და მასთან მჭიდრო კავშირი დაიჭირონ.

პარტიული ქსელის მოსაწყობი მუშაობა გეგმიანად უნდა სწარმოებდეს ყველა მაზრაში, ყველა ოლქში. ამასთან საჭიროა ადგილობრივმა პარტორგანოებმა გამონახონ სახსარი და რაც შეიძლება სკოლების, მარქსისტული ლენინური და თვითგანვითარების წრეების მეტი რაოდენობა მოაწყოს. არ უნდა გამეორდეს გასული წლის მაგალითები, როცა ზოგიერთი დიდი მაზრა მხოლოდ იმ ორი მოძრავი სკოლის ამარა იყო, რომელიც მას პოლიტგანათლების მმართველობამ გაუხსნა. პარტგანათლების ქსელის მოწყობის დროს უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შეძენისათვის.

წელს, როგორც ქალაქში, ისე სოფლად ერთი ტიპის პირველ დაწყებითი პოლიტცოდნის სკოლა გვექნება. ამასთან დაბალ პარტაქტივისათვის მოეწყობა საღამოს პარტიული სკოლები, საგნობრივი წრეები და თვითგანვითარებითი მუშაობა. ყველა სკოლის და წრისათვის საჭიროა პროგრამები. წელს ახალი პროგრამები გამოიცემა, რომლებშიაც შეტანილი იქნება უკანასკნელი პარტიული ყრილობის და ცეკას პლენუმების მიერ გარჩეული საკითხები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პროგრამა და სახელმძღვანელოები თვითეულ მსმენელს ჰქონდეს. იქ, სადაც სახელმძღვანელოების უფასოდ მიწოდება არ მოხერხდება, ამხანაგებმა თვითონ უნდა შეიძინონ ისინი. უწიგნოდ და უპროგრამოდ მეცადინეობის პრაქტიკა უნდა მოვსპოთ.

პარტიული ქსელი უნდა უზრუნველყოფილ იქნეს მომზადებული ხელმძღვანელ-პროპაგანდისტებით აღსანიშნავია, რომ ჩვენი პროპაგანდისტთა კადრის შემადგენლობა, ახალგაზრდობაა და მისი კვალიფიკაცია ჯერ საერთოდ დაბალია. გასულ წლიდან დაიწყო მათი გადამზადება კურსების და აგრეთვე ინდივიდუალური თვითგანვითარების გზით. საჭიროა გადასამზადებელი კურსები პროპაგანდისტების მეტმა რიცხვმა გაიაროს. ამასთან უნდა მოეწყოს მათი კონსულტაციის და ინსტრუქტაჟის საქმე. პროპაგანდისტთა პოლიტიკურ და მეთოდიურ კვალიფიკაციის ამაღლება—ჩვენი მორიგი ამოცანაა.

წინა წლების ნაკლად ჩაითვლება ისიც, რომ პოლიტგანათლების ქსელი სრულიად მოკლებული იყო ცოცხალ ინსტრუქტაჟს. ცენტრიდან ხელმძღვანელობა ცირკულიარებით სწარმოებდა. მომავალ წლიდან ამ დეფექტს ადგილი აღარ ექნება.

წელს მუშაობის სიმძიმის ცენტრი მეცადინეობის შინაარსის, მისი ხარისხის აწევისაკენ უნდა გადაიხაროს.

უნდა გაუმჯობესდეს მეცადინეობის მეთოდები, დასწრება, მსმენელნი უნდა შევაჩვიოთ დამოუკიდებელ მუშაობას და გაუღვიძოთ მათ ინტერესი ამ მუშაობისადმი.

რას ასწავლიან, როგორ ასწავლიან პარტქსელში ჩვენი პროპაგანდისტები; როგორ ითვისებენ და იყენებენ პრაქტიკულ-საზოგადოებრივ მუშაობაში მსმენელები მიღებულ ცოდნას—აი რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება.

დ. ორაგველიძე.

მადა გახსნილი „კომუნისტი"

(საჭამიასერი, ოზურგეთის მაზრა)

გრიშა ჭკუასელი 1925 წლამდე საჭამიასერის თემაღმასკომის თავმჯდომარედ იყო. მაგრამ როგორც მოგეხსენებათ „დამსახურებულმა მუშაკმა" აღარ ისურვა სოფლად მუშაობა და წავიდა თბილისში, საიდანაც ის მალე ზესტაფონის კოოპერატივის გამგედ გაზავნეს. ამ ხნიდან ის ხსენებულ კოოპერატივში მსახურობს.

გრიშა ჭკუასელს, როგორც ეტყობა დავიწყებია კომუნისტური პარტიის წევრის მოვალეობანი და კერძო საკუთრების შეძენისათვის მიუყვია ხელი. ამ ორ წელიწადში მან ააშენა სახლი, რომელიც რამოდენიმე ათასი მანეთი დაჯდა, გააშენა ვენახი, რომელიც 5.000 მანეთი მაინც დაუჯდებოდა, ააგო მარანი ცემენტის საწნახელებით. საოჯახო ნივთებს კი ნულარ იკითხავთ. ეს „კომუნისტი" სხვისი შრომის ექსპლოატაციასაც ეწევა, მის ვენახში ყოველდღე რამდენიმე დაქირავებული კაცი მუშაობს. საჭამიასერის გლეხობა გაკვირვებულია: „საიდან შეიძინა მოსამსახურე კაცმა ამდენი ფული, რომ ოჯახი ასე მოაწყო"-ო?

საჭამიასერელი.

კომკავშირში

ხელს უწყობენ აღმშენებლობას

(ეკის თემი, სენაკის მაზრა)

ეკის თემში ერთი წელია, რაც აშენდა აგურკრამიტის ქარხანა, რომელიც საწარმოო საპაიო ამხანაგობის ხელში იმყოფება. ქარხანამ უკვე საკმაო ხანია დაიწყო მუშაობა. მაგრამ მისი მოწყობა ეხლაც არ არის დასრულებული.

ა. ლ. კ. კ. უჯრედმა ერთ-ერთ თავის კრებაზე გამოიტანა დადგენილება ქარხნისათვის შრომით დახმარების აღმოჩენის შესახებ. ერთ დღეს შეიკრიბნენ უჯრედის ყველა წევრები და ხსენებულ ქარხანაში შემდეგი სამუშაოები ჩაატარეს: გაწმენდილ იქნა ნედლი აგურის დასაწყობი მოედანი, შეაკეთეს ქარხნის ეზოს ღობეები, კომკავშირელმა-ოსტატებმა ჭურჭლეულობის საწყობში გამართეს თაროები და სხვ. კომკავშირელებთან ერთად უპარტიო ახალგაზრდებიც მუშაობდნენ. კომკავშირის უჯრედის ამ ნაბიჯმა კმაყოფილება გამოიწვია უპარტიო გლეხურ მასაში.

საჭიროა სხვა უჯრედებმაც მიბაძონ ეკის უჯრედის მაგალითს.

ნ. ხუბულავა.

ჩვენი ორგანიზაცია კულტურულ ფრონტზე

კომკავშირის ლეჩხუმის მაზრაში დიდი მიღწევები აქვს კულტურულ ფრონტზე. გლეხ ახალგაზრდობის კულტურული დონე საგრძნობლად უმჯობესდება. არ არის მთელ მაზრაში არც ერთი კომკავშირელი, რომელიც დაინტერესებული არ იყოს კულტურული საკითხებით. აქტიური კომკავშირლები ატარებენ მოხსენებებს კულტურული რევოლიუციის და სოფლის კოლექტივიზაციის საკითხებზე, რასაც გლეხობა დიდი აღფრთოვანებით ხვდება ა. ლ. კ. კ. უჯრედების ხელმძღვანელობით სოფლებში ეწყობა კინო-სურათების ჩვენება ან საღამოები, რომელსაც გლეხობის დიდი ნაწილი ესწრება, საღამოების შემოსავალი ხმარდება სასწავლებლების შეკეთებას და ღარიბ გლეხების კოოპერაციაში ჩაბმის საქმეს. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ლაილაშის თემის ორგანიზაცია. ის მაგალითის მიმცემია ყველა სხვა თემებისათვის.

ამ თემის ორგანიზაციის სამი უჯრედი ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულის ამხ. ვ. ქარსელაძის დაუღალავი მუშაობით იწერს „ახალგაზრდა კომუნისტს" 140 ცალს.

რასაკვირველია შეიძლება მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება მხოლოდ ამისათვის საჭიროა კომკავშირის უჯრედებს მეტი დახმარება გაუწიოს პარტიის უჯრედებმა.

ავდილო.

თბილისის საბჭოს სექციებში

განათლების სექციაში

გუშინ, განათლების მუშაკთა სახლში, საღამოს 6 საათზე შესდგა თბილისის საბჭოს განათლების სექციის სხდომა, რომელზედაც თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობისა და განათლების სექციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქაცარავამ.

სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის საქმე,—განაცხადა მომხსენებელმა,—მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. ამჟამად ქალაქში განათლების განყოფილებას აქვს 25 საბავშო ბაღი, რომელშიაც ირიცხება 3.000 ბავში. საბავშო ბაღების გარეშე დარჩენილთა რიცხვი კი უდრის რამოდენიმე ათეულ ათასს ბავშს.

განყოფილებას მიუხედავათ დიდი სურვილისა, არა აქვს საშუალება დააკმაყოფილოს ყველა მსურველთა მოთხოვნილება, რაც იწვევს ერთგვარ უკმაყოფილებას. განყოფილება ცდილობს ამ არანორმალურ მდგომარეობის მოსპობას და ამ მიზნით შესაძლებლობის ფარგლებში ღებულობს შესაფერ ზომებს. მაგალითად დამდეგ სასწავლო წლიდან თბილისში იხსნება 4 ახალი საბავშო ბაღი. გარდა ამისა განყოფილებამ გადასწყვიტა ამ საქმეში დაიხმაროს სათანადო ორგანიზაციებიც. განყოფილებამ მოიწვია დაინტერესებულ ორგანიზაციების თათბირი, რომელზედაც გამომუშავებული იქნა შესაფერი ღონისძიებები. მუშკოოპმა აღუთქვა განყოფილებას 4 ახალი საბავშო ბაღის გახსნა თავის ხარჯით, ამიერკავკ. სატრანსპორტო კოოპერატივმა 1 საბავშო ბაღის მოწყობა და სხ.

რაც შეეხება საშუალო და დაბალ განათლების საქმეს, ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით დამაკმაყოფილებელია. უფრო ფართოდ მუშაობის გაშლას აფერხებს ბინების სივიწროვე. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა განყოფილება დამდეგ სასწავლო წლიდან დამატებით ხსნის 67 ჯგუფს არსებულ სკოლებთან.

საყოველთაო სწავლის შემოღებასთან დაკავშირებით სწარმოებს შესაფერი მუშაობა როგორც საერთოდ სწავლების, ისე კერძოდ განზრახულია ახალი სკოლების გახსნა გარეუბნებში. ამ სკოლებს ექნება სათანადო ცხრაწლედების პარალელური სკოლების ხასიათი. დამდეგ წლიდან გადიდებული იქნება აგრეთვე ჯგუფების რიცხვი სპეცკურსებზე. პროფსკოლებში და სხ. რაც შეეხება მაზრას, იქ წელს გაიხსნება გლეხთა ახალგაზრდობის 3 ახალი სკოლა, 3 საბავშო ბაღი და სხვ. როგორც ქალაქში, ისე მაზრაში გადიდებული იქნება სკოლებთან ლაბორატორიების ქსელი, სახელოსნოების რიცხვი და სხვ. გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. ამ მიზნით ახალ სასწავლო წელში გაიხსნება ახალი პედაგოგიური კაბინეტები და მასწავლებლებთან იწარმოებს წმინდა პედაგოგიური ხასიათის მუშაობა. ამავე დროს შესაფერი ყურადღება მიექცევა აგრეთვე სკოლებში როგორც საერთოდ სწავლების, ისე კერძოდ ქართული ენის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა სექციის ამოცანებზე. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია სექციის ყოველმა წევრმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს განათლების დარგში. სექციამ ხელი უნდა შეუწყოს სკოლებთან არსებულ დამხმარე საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას და საერთოდ უშუალოდ ჩაებას სკოლის მუშაობაში.

სექციამ უნდა ითავოს მუშათა ექსკურსიების მოწყობა სკოლებში, მათში წარმოებულ მუშაობასთან ახლო გასაცნობად და შემჩნეულ დეფექტების გამოსწორების მიზნით.

მოხსენების მოსმენის შემდეგ სხდომამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციაში

თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში გუშინ შესდგა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის წევრთა სხდომა. საზოგადო სამუშაოების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მჭედლიშვილმა. მისი ცნობით თბილისში კომუნალურ მეურნეობისა და კეთილმოწყობის განყოფილებების მიერ მოწყობილ საზოგადო სამუშაოებს ხელმძღვანელობს შრომის ბირჟასთან არსებული სპეციალური ბიურო. საზოგადო სამუშაოების მოწყობის საქმის გამოკვლევის დროს აღმოჩნდა მრავალი დეფექტები და ნაკლოვანებანი. საერთოდ ამ მხრივ ყველაფერი არ არის რიგზე და ამ მოწოდების სიმაღლეზე. სხდომამ დაადგინა გაგრძელებულ იქნეს საზოგადო სამუშაოების მდგომარეობის გამოკვლევა და მიღებული იქნეს ზომები შემჩნეულ დეფექტების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

საფინანსო-სამრეწველო სექციაში

საფინანსო-სამრეწველო სექციის სხდომაზე რომელიც შესდგა გუშინ საღამოს 6 საათზე, აღმასკომის შენობაში, კომუნალურ ბანკის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბანკის თავმჯდომარემ რ. თომაძემ. კომუნალური ბანკი კრედიტებს აწევდის საბინაო მშენებლობას და კომუნალურ მშენებლობის საქმეს. 1927—28 წელში საგრძნობლად შემცირებულ იქნა დანარიცხები საბინაო მშენებლობისათვის გაცემულ კრედიტებზე. მიღებულია ზომები მომავალ წელში დანარიცხების კიდევ უფრო შესამცირებლად. წინასწარი ვარაუდით კომუნალურ და საბინაო მშენებლობისათვის საანგარიშო წელში აღმასკომისათვის კრედიტით უნდა მიეცა 1.500.000 მანეთი; ნამდვილათ კი მიიღო 3.420.000 მანეთი. შემდეგ მომხსენებელმა სხდომას გააცნო ბანკის საერთო მუშაობა და ბალანსი, რის შემდეგ სათანადო რეზოლიუციის გამომუშავება სხდომამ დაავალა სექციის ბიუროს.

სავაჭრო-კოოპერატიულ სექციაში

გუშინ პროფსაბჭოს მეორე დარბაზში შესდგა სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის სხდომა. ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. გავაშელმა სხდომას გააცნო თბილისის ბაზრების მდგომარეობა და მათი მოწესრიგებისათვის დასახული მიზნები.

სხდომამ აღნიშნა, რომ თბილისის ბაზრები სავსებით კერძო ვაჭრების ხელშია. სხდომამ მიზანშეწონილად სცნო აღმასკომის ვაჭრობის მოსაწესრიგებელ კომისიის ღონისძიებები თბილისის ბაზარზე შექმნილ მდგომარეობის მოსასპობად და მასვე დაავალა დააჩქაროს ბაზრების მოწესრიგების საქმე.

ხელი
ინდუსტრიალიზაციის ზ-სესხს!

როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია

თბილისში

სესხის რეალიზაცია კერძო ვაჭართა შორის

გუშინ თბილისის საქონლის ბირჟაში შესდგა კერძო ვაჭართა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენებები გააკეთა თბილისის ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ავაქოვმა და ამიერ-კავკასიის ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს გამგემ ამხ. საფარიანმა. მოხსენებების მოსმენის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა კერძო ვაჭართა შორის კამპანიის ჩასატარებლად დაარსებული იქნეს ცალკე კომისიები.

კრების დადგენილებით ქალაქი დაყოფილი იქნა 4 რაიონად, თვითეულ რაიონში კამპანიას ჩაატარებს ამ რაიონისათვის დაარსებული კომისია. ამ მიზნით კრებამ იქვე აირჩია 4 კომისია, თვითეულ კომისიაში შედის სამი კერძო ვაჭარი.

ქალაქი დაყოფილი იქნა შემდეგ რაიონებად: 1 რაიონად--კარლ მარქსის ხიდიდან ნაძალადევამდე, 2 რაიონი—კარლ მარქსის ხიდიდან—ავლაბარ-ნავთლუღამდე, 3 რაიონი—თავისუფლების მოედანი—წყნეთი, მეოთხე რაიონი—შუა ბაზრიდან—ორთაჭალამდე.

კამპანიის ჩასატარებლად პირველ რაიონში არჩეული იქნენ—სარქისოვი, როსტომოვი და ისააკიანი, მეორე რაიონში—ავეტისოვი, კარაპეტიანი და ჭრელაშვილი. მესამე რაიონში—ლალიძე, ყვანია და სმოლენსკი, მე-4-ე რაიონში--კასარიანი, ამიროვი და კიარიმოვი.

კომისიები უკვე შეუდგენ მუშაობას 17 სექტემბრიდან.

მეეზოვეებში

შესდგა მეეზოვეთა საქალაქო კრება, რომელზედაც დაადგინეს ობლიგაციების შესაძენად გადასდონ თითო თვის ხლფასი.

თამბაქოს ქარხანა № 1

ა. წ. 13 სექტემბერს შესდგა ს. მ. უ. ს. თუთუნის ქარხანა №3 პირველის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას 350 კაცი დაესწრო. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობის მოხსენებით გამოვიდა ამხ ცაბაძე. კამათში მონაწილეობა მიიღო 4 ამხანაგმა, რომლებმაც აღნიშნეს სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩატარების საჭიროება.

კრებამ დაადგინა, რათა ობლიგაციების შესაძენად გაღებულ იქნეს 1 თვის ხელფასი, რაც უდრის 24.000 მანეთს. ზოგიერთმა მუშამ 200 მან. მოაწერეს ხელი მუშა-ასლამაზოვმა ობლიგაციების შესაძენათ გადასდო 3 თვის ხელფასი.

ტუპარტო.

სახლების კომენდანტების კრება

შესდგა თბილისის ალმასკომის განკარგულებაში მყოფ სახლების კომენდანტების კრება, რომელზედაც სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, დაადგინეს ობლიგაციების შესაძენად გადასდონ თითო თვის ხელფასი. კომენდანტებს დაევალათ მდგმურებს შორის ჩაატარონ სესხის კამპანია, რისთვისაც მათ მიეცათ შესაფერი დირექტივა.

მილიციის თანამშრომლებში

თბილისის მე-7, მე-8, მე-9 მე-10 და მე-12 უბნის ქალაქის და საუეზდო მილიციის თანამშრომლებმა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენად გაიღეს ერთი თვის ხელფასი.

მილიციელი.

მაზრებში

სურამი, გორის მაზრა

5 სექტემბერს შესდგა სურამის პროფკავშირების წევრთა გაერთიანებული კრება. ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. თ. ფოცხიშვილმა. კრებამ ერთხმად დაადგინა კოლექტიურად შეიძინოს ობლიგაციები არა ნაკლებ თითო თვის ხელფასისა. კრებაზე სიტყვები წარმოსთქვა რამოდენიმე ამხანაგმა, რის შემდეგ მათ იქვე მოაწერეს ხელი თვენახევრისა და ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

თ. ფ—შვილი.

ს. ახალდაბა, გორის მაზრა

ამ დღეებში შესდგა ახალ-დაბის ხე-ტყის სახერხ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც დასმული იყო საკითხი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობისა და მისი განაღდების შესახებ. კრებამ ერთსულოვნად დაადგინა გადასდონ თითო თვის ხელფასი ობლიგაციების შესაძენად.

პალიკო.

ფოთში

სახელმწიფო ბანკში მიღებული ცნობით სესხის კამპანია ფოთში წარმატებით მიმდინარეობს. ფოთის რაიონში სულ გასაღებული იქნება 60.000 მ. ობლიგაციები.

ლანჩხუთი, (გურია)

10 სექტემბერს ლანჩხუთის რაიონის საბჭოთა და სავაჭროთა პროფკავშირის წევრთა საერთო კრებამ მოისმინა ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. შ. ჭავჭავაძის და სამაზრო კომისიის რწმუნებულის ამხ. გ. ჩიტაიშვილის საინფორმაციო მოხსენებები ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. რის შემდეგ ერთხმად დაადგინეს კავშირ. ყველა წევრებმა კოლექტიურად შეიძინონ თითო თვის ხელფასით უპროცენტო სესხის ობლიგაციები. თანხის საერთო ჯამი უდრის 3.226 მან. 35 კაპ.

ა. ქ—ძე.

ნიგოითი, (გურია)

11 სექტემბერს ნიგოითის თემში შემავალ მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა კრებამ ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ მოისმინა ამხ. ბ. თავდიშვილის მოხსენება. კრებამ ერთხმად დაადგინა ცალ-ცალკე კავშირებმა კოლექტიურად მოაწერონ ხელი სესხზე თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

ია.

ვარდისუბანი, (კახეთის მაზრა)

8 სექტემბერს შესდგა ვარდის უბნის თემში შემავალ გან. მუშაკთა საერთო კრება, ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ დაადგინა ყველამ შეიძინოს სესხის ობლიგაციები. აქვე აირჩიეს ფულის შემკრები კომისია. საერთო თანხა უდრის 807 მანეთს.

ბ. კ—შვილი.

რკინის გზის ხაზზე

სადგ. კასპი

ამას წინად შესდგა სადგ. კასპის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა საუბნო კომიტეტის ინსტრუქტორმა. კრებამ გამოიტანა დადგენილება ობლიგაციების შესაძენად გადასდონ ერთი თვის ხელფასი, რაც უდრის—18.500 მანეთს.

ი—ლი.

სადგ. უფლისციხე

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აზრუმელაშვილმა. მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდა 7 კაცი. კრება აღფრთოვანებით შეხვდა ინდ. მეორე სესხის გამოშვებას და კოლექტიურად ხელი მოაწერა ერთი თვის ხელფასზე.

დ. ხ. პ.

სადგ. ქარელი

სადგ. ქარელში სესხის რეალიზაცია დაიწყო ა. წ. 5 სექტემბრიდან. მუშა-მოსამსახურეთ დაურიგდათ სათანადო ლიტერატურა საერთო კრებამ დაადგინა გაიღოს ერთი თვის ხელფასი ობლიგაციების შესაძენად.

ტ—ლ.

სადგ. დიდუბე

სადგ. დიდუბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ლევან ბრეგუმელაშვილის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე. კრებამ დაადგინა, ობლიგაციების შესაძენად გადასდოს ერთი თვის ხელფასი.

ლიანდაგის შემკეთებელ მუშამ ამხ. ნონიაშვილმა, რომლის ჯამაგირი 60 მან. არ აღემატება, შეიძინა 200 მან. ობლიგაცია. ამას გარდა 6 მუშამ ხელი მოაწერა თვენახევრის ხელფასის რაოდენობით.

ივ—წე.

სადგ. ავჭალა

სადგ. ავჭალის მოძრაობის და ლიანდაგის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოსმენილი იქნა თბილისის საუბნო კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება ინდ. მეორე სესხის რეალიზაციის შესახებ. მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდა 10 კაცი. ისინი ერთსულოვნად შეხვდნენ მეორე სესხის გამოშვებას. კრებამ ერთხმად დაადგინა ობლიგაციები შეძენილ იქნეს ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით.

ჯა—ი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ა. კ. ტყეების განაწილება დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საგეგმო კომისიების მიერ წარმოდგენილი გეგმა ხე-ტყის მასალის დამზადების შესახებ.

მიღებული გეგმის თანახმად ამიერ-კავკასიის ტყეები დაყოფილია რაიონებად და განაწილებულია სათანადო დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის.

საქართველოში მთავარ დამამზადებლებად ცნობილია: საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის ტრესტი, ამიერ-კავკასიის რკინის გზების სატყეო განყოფილება, საკურორტო სამმართველო და გარდა ამისა, რაჭის, გორის და ახალციხის მაზრაღმასკომები, აფხაზეთში—აფხაზეთის ხე-ტყის მრეწველობის ტრესტი, აჭარისტანში—აჭარისტანის ხე-ტყის მრეწველობის ტრესტი და სამხრეთ-ოსეთში—სამხრეთ-ოსეთის ს. მ. უ. საბჭო, ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო და კოოპერატიული ნადი „ხტისი".

აზერბეიჯანში— აზერბეიჯანის სატყეო მრეწველობის ტრესტი და ამიერ-კავკასიაში რკინის გზა.

სომხეთში—სომხეთის სატყეო მრეწველობის ტრესტი, რკინის გზა და სატყეო სამმართველო.

პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნება მუდამ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროება.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს და ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ, გარდა ამისა, გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიაში დღემდე გამოკვლეული და მოწყობილია ტყეების მთელი რაოდენობის მხოლოდ ერთი მეოთხედი და აგრეთვე ის, რომ ტყეების რაციონალური ექსპლოატაცია კი შესაძლებელია მხოლოდ ტყეების დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ, და საჭიროდ სცნო ა.-კ. ტყეების გამოსაკვლევად 1928—29 წ. გადადებული იქნეს საკმაო თანხები.

საქ. სახკომსაბჭოში

საგადანაკვეთო პრემიების შეკრების წესი

სოფლის მოსახლეობისათვის სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის პრემიების (შესატანი თანხა) გადახდევინება 1928 წ. ოქტომბრის 1-დან დაეკისრა სათემო აღმასრულებელ კომიტეტს. პრემიების შეკრებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად დაწესებულ იქნა სათემო აღმასრულებელ კომიტეტის სასარგებლოდ თემის ფარგლებში შეკრებილი პრემიების ანარიცხი 4 პროცენტის რაოდენობით.

ნება მიეცა საქართველოს სახ. დაზღვევის სამმართველოს შეუთანხმდეს სათემო აღმასკომებს და თანაც დაუყოვნებლივ გადასცეს მათ სათანადო მასალები და გააუქმოს აგენტთა შტატი.

დაევალა აფხაზეთის და აჭარისტანის სახკომსაბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ცაკ-ს გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

სატყეო მეურნეობის გამომკვლევი კომისია

ა. კ. სატყეო მეურნეობის გამომკვლევი კომისიაში საქართველოს სახკომსაბჭოს წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ბაქრაძე.

წყალთა მეურნეობის კანონმდებლობის დამმუშავებელი კომისია

წყალთა მეურნეობის კანონმდებლობის დამმუშავებელ ა.-კ. კომისიაში სახკომსაბჭოს წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ლ. ასათიანი.

ხორცის ხარისხებად გაყიდვა ქ. თბილისში

სახკომსაბჭომ დაამტკიცა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი პროექტი ქ. თბილისში ხორცის ხარისხებად გაყიდვის შესახებ.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

მეორე კვირა

მეთოთხმეტე დღეა, რაც თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა.

ახალგაზრდობა ათასობით მოდის წითელი ჯარის რიგებში. აქ არიან ახალგაზრდა მუშები, მოსწავლენი, მოსამსახურეები, მრავალი სხვადასხვა პროფესიის მოქალაქენი და ახლად სოფლებიდან ჩამოსული გლეხები.

აქა-იქ მოსჩანს ახალგაზრდები, რომლებიც არ ეკუთვნიან მშრომელთა ოჯახს. ესენი სდგანან განცალკევებით და ელოდებიან თავის რიგს.

გამწვევ კომისიებს უამრავი სამუშაო აქვს. ექიმები ყოველ გასაწვევ ახალგაზრდას ყურადღებით სინჯავენ.

ერთი ახალგაზრდა, ჩამოსული სოფ. წავკისიდან. ეტყობა, რომ, იგი ეწევა ფიზიკურ შრომას, სახე დამწვარი აქვს მზეზე, კუნთებ განვითარებული გულ-მკერდი განიერი.

ექიმებმა გასინჯეს წავკელი ახალგაზრდა: სიმაღლე, წონა, მხედველობა, სმენა—საუკეთესოა; მხოლოდ ექიმმა შეამჩნია, რომ ახალგაზრდას თვალები ცოტათი დაწითლებული აქვს. გამოჰკითხა მიზეზი.

— სიწითლე არაფერია, ძალ კარგათა ვხედავ, თვალი საუკეთესოდ მიჭრის, კალოობას მტვერი იყო სოფელში და თვალები მაშინ დამიწითლდა. ახალგაზრდა სცდილობს როგორმე დაიყოლიოს ექიმები, რომ მათ იგი არ დაიწუნონ და გაგზავნონ არტილერიაში, რადგან გულით უნდა შეისწავლოს სროლა ზარბაზნიდან.

სოფლებიდან ჩამოსული ახალგაზრდები უფრო ჯანმრთელები არიან, ვიდრე ქალაქელები. ამიტომაც, ქალაქელები შურით შეჰყურებენ სოფლელების კუნთებს და მათ განიერ გულ-მკერდს. ქალაქელების შორისაც არიან კარგად მოყვანილი და კუნთებ განვითარებული ახალგაზრდები, ესენი ეკუთვნიან ფიზკულტურელებს.

იმ ოთახში, სადაც გასაწვევი ახალგაზრდები იხდიან ტანსაცმელს და ელოდებიან რიგს კომისიის სხდომის ოთახში შესასვლელად, სწარმოებს სჯა-ბაასი მომავალ ცხოვრებაზე წითელ არმიაში.

— მე თითქმის მთლიანად გავიარე უუზჩ. მის პირველი წლის კურსი,—ამბობს ერთი ახალგაზრდა,—წვევამდე მზადების დროს კარგად შევისწავლე სროლა, წესდებები და წითელი არმიელის მოვალეობა ჯგუფური მოქმედების დროს.

— წვევამდე მზადება კარგი რამეა,—ურთავს თავის შენიშვნას ბაასში დიმილი ახალგაზრდა,—თითქმის მომზადებული მიდიხარ ჯარში და არ გიძნელდება მეცადინეობა.

გამწვევი კომისიის წევრები დიდათ კმაყოფილნი არიან გასაწვევ ახალგაზრდების ყოფა-ქცევით, სამხედრო კომისარი ამხ. ხელაშვილი ამბობს, რომ წლევანდელი გაწვევა გაცილებით ნორმალურად და მწყობრად მიმდინარეობს, ვიდრე გასული წლების გაწვევა. ეს აიხსნება გასაწვევ ახალგაზრდების შეგნებით, მათი სერიოზული მოპყრობით თავისი მოვალეობისადმი.

ელ.

გაწვევა ადგილებზე

ქ. თელავი

ქ. თელავში დაიწყო 1906 წელში დაბადებულთა გაწვევა წითელი ჯარის რიგებში. შემდგარია გამწვევი კომისია, რომელშიაც შედიან ალმასკომის, პროფკავშირების, პარტკომის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყოველდღიურად კომისია ამოწმებს 50 კაცს.

ახალგაზრდობა სიხარულით მიდის წითელ ჯარში. სოფლებიდან გასაწვევნი ჩამოდიან ძალდაუტანებლივ, სიმღერით, წითელი დროშებით.

თელავის გასაწვევ წერტთან მოწყობილია ღამის გასათევი ბინა.

კარგად არის მოწყობილი და მორთული ლენინის კუთხე, მრავლად არის ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები და სხვადასხვა გასართობები.

გასაწვევი პუნქტის ეზოში ყოველ საღამოს ეწყობა კინო-სურათების ჩვენება.

გასაწვევთა შორის სწარმოებს პოლიტმეცადინეობა. საღამოობით, გამწვევი კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ იმართება საუბრები სხვადასხვა თემებზე. ექიმი აწარმოებს საუბრებს სანიტარულ საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ გასაწვევი ახალგაზრდობა გაცილებით მომზადებულია და განვითარებული, შედარებით წინა წლებთან.

ზ.

გაწვევის დღიური

19, 20, 21, 22 და 24 სექტემბერს იწარმოებს თბილისის მე-7-ე სამილიციო რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდების გაწვევა წითელი ჯარის რიგებში.

აღნიშნულ რაიონში მცხოვრები ახალგაზრდები უნდა გამოცხადდნენ თბილისის ძირითად გამწვევ კომისიაში.

19, 20, 21 და 22 სექტემბერს იწარმოებს თბილისის მე-12-ე სამილიციო რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდების გაწვევა. ეს ახალგაზრდები უნდა გამოცხადდნენ თბილისის მეორე დამატებით გამწვევ კომისიაში.

24 სექტემბერს დაიწყება თბილისის მაზრის ავჭალის უბანში (ავჭალის, მცხეთის და დიღომის თემები) მცხოვრებ ახალგაზრდების გაწვევა.

ამ უბანში მცხოვრებნი უნდა გამოცხადდნენ თბილისის მეორე დამატებით გამწვევ კომისიაში თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ წერტზე (სადგურის ქუჩა, № 24).

თბილისის მაზრის ალბულაღის უბანში (ალბულაღის, დუშანისის და ირაგის თემები) წითელ ჯარში გაწვევა იწარმოებს 21 და 22 სექტემბერს.

12.404.000 მან. საქართველოს მრეწველობისათვის

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ უკვე მიიღო და დაამტკიცა საქართველოში კაპიტალურ მშენებლობისათვის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით 1928—29 წელში საქართველოს მრეწველობის განსავითარებლად დაიხარჯება 12.404.000 მანეთი.

მაგრამ ვინაიდან საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს არ შეუძლია გადასდოს საქართველოსათვის 9.789.000 მანეთს მეტი, ამიტომ საკითხი დანარჩენი თანხების გაცემის შესახებ საკავშირო სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმმა აძრა საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საკავშირო შრომის და თავდაცვის საბჭოს წინაშე.

მომავალ წელში საქართველოს მრეწველობის საბრუნავი თანხებისათვის კრედიტები განსაზღვრულია 2.139.000 მანეთის რაოდენობით.

ამ თანხაში არ შედის ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობების დამუშავებისათვის და შაქრის ქარხნის ასაგებათ საჭირო თანხები. ეს თანხები ცალკე იქნება გაღებული საკავშირო ბიუჯეტით.

საქართველოს მრეწველობის საკონტროლო ციფრების მიხედვით ყველაზე უფრო დიდი თანხა გადადებულია სატყეო მრეწველობისათვის (2.230.000 მან.), შემდეგ საგრძნობი თანხები მოხმარდება საფეიქრო მრეწველობას, სამთო მრეწველობას და საამშენებლო სამუშაოებს.

აღსანიშნავია, რომ 1928—29 წელში საქართველოს მრეწველობისათვის გადადებული თანხები 1927—28 წელში გადადებულ თანხებს აღემატება 4,235.000 მანეთით.

კახეთის მაზრის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა გამოკვლევა

ამ დღეებში „სოფლის კავშირმა" დაასრულა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა გამოკვლევა კახეთის მაზრაში.

გამოკვლევა ჩატარდა, წითელ-წყაროს, ქვემო-მაჩხაანის, ჯუგაანის, ანაგის და ვარდისუბნის სას.-სამ. ამხანაგობებში.

წითელ წყაროს ამხანაგობა აერთიანებს 680 წევრს, გასულ წელთან შედარებით წევრთა რიცხვი გაიზარდა 22 პროცენტამდე. ამას გარდა ამხანაგობა ხელმძღვანელობს 4 კოლმეურნეობას, რომელშიაც ჩაბმულია 255 გლეხი.

ამხანაგობას სესხების სახით, გლეხობისათვის დახმარება მიუცია 58.230 მანეთი.

აღნიშნულ თანხიდან, მუშა-საქონლის შესაძენათ გლეხობას მიეცა 2.540 მან., ღარიბ-გლეხობას გაუნაწილდა—11.900 მან. ამას გარდა, ამხანაგობამ დაარიგა 6.635 მანეთის იარაღ-მანქანები.

წითელ წყაროს ამხანაგობა აწარმოებს ხორბლის დამზადებას, რომელსაც დაასრულებს ამ ერთ თვეში.

გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ამხანაგობას შეეძლო „სოფლის კავშირი"-სათვის დამოუკიდებლად დაემზადებინა 15.000 ფუთი თივა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამზადების საქმე მან მიანდო კახეთის ალმასკომ-ს ტრესტს. მომავალში ამას არ უნდა ექნეს ადგილი.

ამხანაგობის გასული წლის მოგება შეადგენს 2.817 მანეთს. აქედან ღარიბ გლეხობის კოოპერაციაში ჩასაბმელად გადაიდო 281 მ., რაც დღემდე გამოუყენებელი რჩება.

ქვემო მაჩხაანის საკრედიტო ამხანაგობაში წევრთა რიცხვი გასულ წელთან შედარებით 159 პროცენტით გაიზარდა. (ამჟამად ირიცხება 1455 წევრი).

ამხანაგობამ გლეხობას გრძელ ვადიანი კრედიტის სახით, მუშა-საქონლის, იარაღ-მანქანების შესაძენათ, ტრაქტორების შესაკეთებლათ, მოსახლეშენებათა და მევენახეობის განსავითარებლად, გლეხებს დაურიგდა 8704 მანეთი.

ამას გარდა, მოკლე ვადიანი სესხის სახით გლეხებს მიეცა: ტრაქტორების შესაძენათ—3.532 მან., ხორბლის შესაძენათ—21.898 მან., მებამბეობისათვის—3.839 მან., მეთამბაქოებისათვის—7.183 მან. და მევენახეობისათვის — 3.956 მან.

რაც შეეხება დანარჩენ ამხანაგობებს მათი მუშაობა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ კულტ. მუშაობისათვის გადადებული თანხები დღემდე გამოუყენებელი რჩება.

თივის დამზადების მოსაწესრიგებლად

საქონლის საკვების მწვავე კრიზისი საქართველოში დიდად აფერხებს მესაქონლეობის განვითარებას, ამ [illegible] ასაძლევად ყურადღება უნდა მიექცეს [illegible] კულტურულ მეურნეობას საბჭოთა მამულებში და აგრეთვე თივის კულტურული დამუშავების მეთოდებს.

საქმეს აბრკოლებს თივის დამზადების საქმის მოუწესრიგებლობა. თივის დამზადებას, შეუთანხმებლად აწარმოებენ სხვადასხვა ორგანიზაციები, რასაც არევ-დარევა შეაქვს დამზადების საქმეში. თივის დამზადება ერთი ხელიდან გადადის მეორეში და ამრიგად იქმნება მთელი რიგი ორგანიზაციები, რომელთა შენახვაც იწვევს თივის თვითღირებულების გაძვირებას.

საქ. მიწა-ტყის კავშირის პრეზიდიუმმა იქონია მსჯელობა ამ საკითხზე და საჭიროდ მიიჩნია, რომ უახლოეს დროში მიღებული იქნეს შემდეგი ღონისძიებანი თივის დამზადების საქმის მოსაწესრიგებლად.

1) მიღებულ იქნას ზომები მიწსახკომის საშუალებით სათიბების გასაუმჯობესებლად, ყურადღება მიექცეს სარწყავ ქსელის მდგომარეობას და მის სისწორით განაწილებას და სარგებლობას, რომ უახლოეს დროში მთელი სათიბი მინდვრები გადაიქცეს კულტურულ სათიბებათ.

2) მიღებული იქნეს ზომები სათანადო სპეციალისტებისა და მცოდნე პირების შესარჩევად თივის მოშენების და დამზადების საქმეში, სრულებით განდევნილ იქნეს ამ სამუშაოებიდან ძველი მოიჯარადრეები და კულაკობა (მაგ. ყარაიაზში), რომლებიც სახელმწიფო კრედიტით სარგებლობენ თავიანთ სავაჭრო საქმეებისათვის და არა თივის დასამზადებლად.

3) მიღებული იქნას ზომები, რომ თივის დამზადება გადაეცეს სახალხო მამულთა ტრესტს, როგორც ეს იყო წინათ, ვინაიდან სახ. მამულთა ტრესტი თივის დამზადებასთან ერთად აწარმოებს მის კულტურულ მოშენებას და გააცნობს ფართო გლეხობას მოშენების საქმეს.

4) ვინაიდან ცეკავშირი უშუალოდ თვითონ კი არ ამზადებს თივას, არამედ მოიჯარადრეების, საკრედიტო ამხანაგობების და ცრუკოოპერატივების საშუალებით. პრეზიდიუმი ასეთ მდგომარეობას დაუშვებლად სთვლის და საჭიროდ მიაჩნია მიღებული იქნეს ზომები ამ [illegible] ნაკლის გამოსასწორებლად.

ერთ დღეში თბილისიდან მოსკოვამდე

თუ დღეს ევროპასა და ამერიკაში ფართოდ არის გავრცელებული აეროპლანებით მიმოსვლა, საჰაერო მიმოსვლის მით უფრო ვრცელ განვითარებას მოითხოვს ჩვენი სინამდვილე, სადაც კულტურული სატრანსპორტო საშუალებანი ნაკლებათ მოგვეპოვება.

ამიერ-კავკასია მთაგორიანი ქვეყანაა და რკინის, ან გზა-ტკეცილის გაყვანა და შემდეგ მისი შენახვა ძალიან ძვირი ჯდება.

ამ მხრივ, აეროპლანების პრაქტიკულად გამოყენებას, პირველი ადგილი უჭირავს შედარებით ყველა არსებულ სატრანსპორტო საშუალებებთან. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველნაირად უწყობს ხელს საჰაერო მიმოსვლის განვითარებას.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ თავის სხდომაზე 30 აგვისტოს დაადასტურა საქართველოს და აზერბეიჯანის მთავრობების დადგენილებანი მოსკოვსა და ბაქოს შუა აეროპლანებით მოძრაობის გამართვის შესახებ. საფრენოსნო ხაზი გაივლის ხარკოვით-როსტოვ - კრასნოდარ-სოჭა - გაგრა - სოხუმ - ქუთაის-თბილისით.

ამ მიმართულებით, საშუალოდ, ამიერ-კავკასიას მოსკოვამდის უმოკლდება გზა ათასი კილომეტრით, შედარებით არსებულ რკინის გზის მანძილთან.

ჰაერის ხაზი გაივლის მჭიდროთ დასახლებულ რაიონებში, სადაც რკინის გზა არ არსებობს და, გეგმის მიხედვით, თბილისიდან გაფრენილ აეროპლანი ერთი დღის განმავლობაში ჩაფრინდება მოსკოვში.

ასეთ სისწრაფეს მგზავრთა და ფოსტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ეს ნაბიჯი დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ფრენოსნობის დარგში.

ამ საქმის მოწყობა დაევალა უკრაინის სამოქალაქო ფრენოსნობას „უკრვოზდუხპუტს", სადაც აქციონერად შედის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიც.

ოსო-ავიაქიმის საზოგადოებას და ადგილობრივ ალმასკომებს დაევალა, რომ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ „უკრვოზდუხპუტს" აეროდრომების მოწყობაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საინტერესო წამოწყებას მხურვალე თანაგრძნობით შეხვდება ყველა შეგნებული საბჭოთა მოქალაქე.

მფრინავი ბ. ქებურია.

სამეურნეო დახმარება ღარიბ გლეხობას

საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ იმ საერთო თანხიდან, რომელიც 1928-29 საბიუჯეტო წელში იქნება გადადებული (სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის ხაზით) ერთეულ გლეხურ მეურნეობათათვის კრედიტების მისაწოდებლად, არა ნაკლებ 40 პროცენტისა მიეცეს ღარიბ გლეხობას.

ღარიბ გლეხობისათვის კრედიტების მისაწოდებლად გადადებულ თანხებიდან გამოყოფილ უნდა იქნეს 50 პროცენტი, რომელიც მოხმარდება შეღავათიან კრედიტის ფონდის შექმნას. ამ ფონდიდან ღარიბ გლეხობას განსაკუთრებით შეღავათიან პირობებში მიეცემა კრედიტები საწარმოო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (მუშა-საქონლის და სასოფ.-სამეურნეო იარაღების შესაძენად და სხვ.).

კრედიტები შეღავათიან კრედიტების ფონდიდან ღარიბ გლეხობას მიეცემა მხოლოდ ოთხი პროცენტის ანგარიშით, წლიურად (ე. ი. ყოველ ას მანეთში სარგებლის სახით ღარიბ გლეხს წლიურად გადახდება არა უმეტეს 4 მანეთისა).

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცა ერთი თვის განმავლობაში გამოსცენ დადგენილებები ღარიბ გლეხობის ჯგუფების ჩაბმის შესახებ მუშაობაში, რომელიც დაკავშირებულია ღარიბ გლეხობისათვის კრედიტების მიწოდებასთან.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყველა ორგანიზაციებმა და დანარჩენი სახის კოოპერაციის სოფლად მომუშავე ყველა ორგანიზაციებმა ყოველწლიურად წმინდა მოგების 15 პროცენტი უნდა გადარიცხონ ღარიბ გლეხობის კოოპერატიულად გაერთიანების ფონდში.

სესხი ღარიბი გლეხობის კოოპერატიულად გაერთიანების ფონდების ანგარიშში გაცემულ უნდა იქნეს 3-5 წლის ვადით.

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს წინადადება მიეცა მიიღონ ზომები დაკლებული საფასურის დასაწესებლად ღარიბი გლეხობისათვის (გლეხობის სხვა ფენებთან შედარებით) გასაქირავებელ, ხორბლის საწმენდ და საგრილებელ პუნქტებით სარგებლობისათვის.

ღარიბი გლეხების განთავისუფლება სას.-სამეურნეო გადასახადისაგან

საკავშირო მთავრობამ თავის დროზე გამოსცა დადგენილება გლეხური მეურნეობის 35 პროცენტის განთავისუფლების შესახებ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. ეს შეღავათი ენიჭება მხოლოდ ღარიბ გლეხობას.

ამ მიზნით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემულ კანონის თანახმად დაწესებულია შემოსავლის ის მინიმუმი, რომელიც არ იბეგრება გადასახადით. დაუბეგრავი მინიმუმის მიხედვით სას.-სამეურნეო გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს ღარიბი გლეხობის 20 პროცენტი. დანარჩენი 15 პროცენტი კი უნდა განთავისუფლდეს შეღავათების მინიჭების წესით.

საკავშირო ფინსახკომის მიერ შეკრებილი წინასწარი ცნობებით ირკვევა, რომ ჯერ-ჯერობით კიდევ არ არის ყველგან შესრულებული მთავრობის დადგენილება ღარიბი გლეხობის განთავისუფლების შესახებ გადასახადისაგან.

ამის გამო საკავშირო ფინსახკომმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების ფინსახკომებს სისწორით შეასრულონ მთავრობის ის დადგენილება, რომელიც შეეხება გლეხური მეურნეობის არა ნაკლებ 35 პროც.-ის სრულ განთავისუფლებას სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

იმ შემთხვევაში, როცა დაუბეგრავ მინიმუმისა და გადაცემულ ფონდების მიხედვით შეუძლებელია გლეხურ მეურნეობის 35 პროცენტის სრული განთავისუფლება, ნება დართულია იმ ფონდების გადიდება, რომელთაც ადგილობრივი საგადასახადო კომისიები სტოვებენ ღარიბ გლეხობის გასანთავისუფლებლად გადასახადისაგან.

ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკების ფინსახკომებს წინადადება მიეცა — მთელი მუშაობა ღარიბ გლეხების გასანთავისუფლებლად სას.-სამ. გადასახადისაგან ისე მოაწყონ, რომ ცნობები გადასახადისაგან განთავისუფლებულ მეურნეობათა რიცხვისა და ჩამოწერილი გადასახადის რაოდენობის შესახებ საკავშირო ფინსახკომში წარდგენილი იქნეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1-ლი ოქტომბრისა.

საბჭოთა მეურნეობის გაფართოება აჭარისტანში

აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამთავრა საბჭოთა მეურნეობების გაფართოება მათთან ახლომდებარე კულტურული ნაკვეთების შეერთების საშუალებით. მიმდინარე ზაფხულზე საბჭოთა მეურნეობებს შეუერთდა 94 ნაკვეთი, რომელთა საერთო სივრცე 262 ჰექტარს უდრის, აქედან 121 ჰექტარია მანდარინის, ჩაის და სხვ. ნაკვეთები.

ქრონიკა

ა. კ. ცაკის სესია

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია შესდგება თბილისში მიმდინარე წლის 28 სექტემბერს.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქის კომენდატი მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 18 და 19 სექტემბერს დილის ექვს საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე (ორხევის ჩრდილოეთით ნავთლუღ-თელავის რკინის გზის გასწვრივ იწარმოებს სროლა ჯავშნიანი მატარებლის ტყვიისმფრქვეველებიდან.

საქ. თამბაქოს ტრესტის შესვლა საკავშირო სინდიკატში

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო თამბაქოს ტრესტის შესვლა საკავშირო სინდიკატში.

ტრესტს დაევალა 1 ოქტომბრამდე დაამთავროს საკავშირო სინდიკატთან შეერთების საქმე. შეერთების შემდეგ საქართველოში და აფხაზეთში არსებული თამბაქოს ქარხნები გადავა სინდიკატის განკარგულებაში.

პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო აგრეთვე საქართველოს ტყავის მრეწველობის ტრესტი შევიდეს საკავშირო ტყავეულობის მრეწველობის სინდიკატში იმ პირობით, რომ ადგილობრივ დამზადებულ ტყავეულობაზე ფასებს დააწესებს საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი.

ტყავეულობის შემოტანა

საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა 1928—29 წელში ტყავისა და ფეხსაცმელების შემოზიდვის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით მომავალ წელში საქართველოში შემოტანილი იქნება 1.300.000 მანეთის ტყავი და 3.900.000 მანეთის ფეხსაცმელები.

ქვანახშირი და ბარიტი

საქ. სახ. მეურნ. უმ. საბჭომ წინადადება მისცა სამთო მრეწველობის ტრესტს შეიმუშაოს ბარიტის დამზადების ახალი გეგმა საკავშირო ბაზრის მოთხოვნილებასთან შეფარდებით.

ამავე ტრესტს დაევალა შეიმუშაოს ტყიბულის ქვანახშირის დამზადების გეგმა 1928—29 წლისათვის.

თბილისის ალმასკომში

◆ სახ. უნივერსიტეტსა და სახ.-სამ. ინსტიტუტს შორის დამთავრდა ტრამვაის ხაზის გაყვანა. ჯერ-ჯერობით მოძრაობა სწარმოებს ერთ ხაზზე. უკვე დაწყებულია მუშაობა მეორე ხაზის გასაყვანად.

სახალხო განათლება

◆ ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკში მეცადინეობა დაიწყო გუშინ,

◆ მოძრავ პოლიტ-სკოლების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად გაიხსნა ერთ თვიანი კურსები.

ფეხბურთი

კვირას, 16 სექტემბერს „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართა „დინამოს ა"-ს და პროფკავშირების ნაკრებ გუნდის შეჯიბრება ფეხბურთში. შეჯიბრება დამთავრდა 3:1 პროფკავშირების ნაკრებ გუნდის სასარგებლოდ.

სხვადასხვა

◆ **თამბაქოს კონტრაქტაცია.** საქართველოში თამბაქოს კონტრაქტაციის ჩასატარებლად გადადებულია 700.000 მ.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ტრაპეზუნდიდან—ქართველიშვილს, ახალსენაკიდან—ეიზეს, ზმეინოგორსკიდან—ბოლქვაძეს, ხაშურიდან—მალარაძეს, ბორჯომიდან— ყუბანეიშვილს, სურამიდან—რუსიას.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტის დეპეშაში შემდეგი შეცდომა გაიპარა: მეორე ტელეგრამას სათაური—„როგორი არ უნდა იყოს თვითკრიტიკა", უნდა იყოს კი—„როგორი არ უნდა იყოს შეხედულება თვითკრიტიკაზე".

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ რუსთაველის თეატრთან არსებულ ექსპერიმენტალურ სტუდია-სახელოსნოში მისაღები გამოცდები შესდგება კვირას, 23 სექტემბერს, დღის 12 ს. განცხადებების მიღება სწარმოებს რუსთაველის თეატრის კანტორაში.

◆ „ელისო". დღეიდან კინოებში აპოლო, მინიონი და სოლეი (საზამთრო შენობაში) დაიწყება სახკინმრეწვის ახალი სურათის —„ელისოს" ჩვენება. დადგმა ნ. შენგელაიასი.

შემთხვევები

შეპყრობა

15 სექტემბერს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ბაბა იაკობის ძე ბადალოვი, რომელმაც მოქ. გეურქ მარქაროვს ამოართვა საფულე.

დაჭრა

15 სექტემბერს დიმიტრი ალექსის ძე კორკაშოვმა თავის დუქანში (ხიდის ქ. № 1) ხანჯლით მძიმეთ დასჭრა ხრისტოფორ მარტიროსიანი, რომელიც გადააგზავნეს საავადმყოფოში. დამნაშავე შეიპყრეს.

გვამის პოვნა

15 სექტემბერს მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე სახლში (№ 16) იპოვეს ამოტ ალექსანდრეს ძე კაჰაროვის გვამი. სწარმოებს ძიება კაჰაროვის გარდაცვალების მიზეზის გამოსარკვევათ.

ჯიბგირობა

ჟორესის და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში სახ. უნივერსიტეტის პროფ. პოლიექტოვა ტრამვაის ვაგონში ამოაცალეს საათი;—ამავე დღეს ვალერიან ვლასაურს ბაზარში ამოართვეს 42 მ.

გაძარცვა

თურქეთიდან ახლად ჩამოსული ნიკოლოზ შუმატოვს პირაგოვის ქუჩაზე, ორმა უცნობმა წაართვეს 60 მ. ფულად და ფაფახი.

ხანძარი

პირველ ალაზნის ჩიხში (№ 3) მდებარე სახლის სარდაფში 15 სექტ. დღით გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი უდრის 750 მანეთს.

როგორც გამოირკვა ცეცხლი გაჩენილა შემდეგი მიზეზით: იმავე სახლში მცხოვრებ ამირხანოვის 5 წლის ბავშვს სარდაფში ცეცხლი წაუკიდებია ბურბუშელასათვის, რის შემდეგ გამოუხურავს კარები და ქუჩაში გასულა სათამაშოთ. მეხანძრეთა მიერ მიღებულ ენერგიულ ზომებით სახლი გადარჩენილ იქნა სავსებით დაწვისაგან.

ქურდობა

15 სექტემბერს ავლაბრის ქ. № 14 გაქურდეს ეკატერინე შამოიანის ბინა;—ამავე დღეს მორგებული გასაღების საშუალებით ვერცხლის ქ. № 49 გაქურდეს ავეტიქ აბუდატოკის ბინა;—კონდრატი ჩახმახაძის ბინიდან მოპარეს 115 მ. ნივთები.

უბედური შემთხვევა

სოფ. ძეგვში 16 სექტემბერს დატვირთულ ურმიდან გადმოვარდა ნინა იოსების ასული როსტიაშვილი, (4 წლის) რომელსაც გადაუარა ბორბლებმა და იქვე გარდაიცვალა.

რკინის გზებზე

საბარგო მატარებლის დამტვრევა

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მოთავსებული გვქონდა ცნობა, რომ 15 სექტემბერს. საღამოს 9 საათზე და 20 წუთზე ავჭალა-დიღუბეს შუა დაიმტვრა თბილისისაკენ მომავალი საბარგო მატარებელი № 109—მ.,.

როგორც დანამდვილებით გამოირკვა, მატარებლის მოძრაობის დროს შემადგენლობის ერთ-ერთ ვაგონს გაუტყდა ღერძი, ღერძის გატეხა კონდუქტორებმა ვერ შეამჩნიეს დროზე, რის გამო ლიანდაგს ასცდა 11 ვაგონი და ოთხი ვაგონი გვერდზე გადავარდა.

კატასტროფის დროს მოკლულია კონდუქტორი ჩიხლაძე.

მოძრაობა აღდგენილ იქნა 11 საათსა და 40 წუთის შემდეგ. კატასტროფის გამო ბათომიდან მომავალი მატარებლები თბილისში დაგვიანებით მოვიდა.

კლდის მოწყვეტა

16 სექტემბერს საღამოს 5 საათსა და 27 წუთზე თბილისიდან ერევანში მიმავალმა სამგზ. მატ. № 9—ს, კალაგერან-შაგალს მარცხი შეემთხვა.

მე 131-ე კილომეტრზე, მატარებლის გავლის დროს მოსწყდა კლდე. უზარმაზარი ლოდი დაეჯახა ორთქლმავალს. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორთქლმავალი ლიანდაგს ასცდა.

სამგზავრო ვაგონები საგრძნობლად დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია. სანაინიდან და ლენინაკანიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებლები.

მთავარი ხაზის გაწმენდა დაიწყო გუშინ ღამით.

მატ. № 9 მგზავრები გადასვეს მეორე მატარებელში.

16 ივლისს, ღამით დაიწყო მოსაქცელი ხაზის გაყვანა. მუშაობა დამთავრდა გუშინ დილის 8 საათზე.

შემთხვევა ზესტაფონში

16 სექტემბერს ზესტაფონის დეპოდან გამოსულ ორთქლმავალს მეისრე ბარბაქაძემ ისარზე გავლის დროს ბორბლებს ქვეშ გადაუყვანა ისარი. ორთქლმავალი ლიანდაგს ასცდა და დაიკავა დეპოსთან მისასვლელი ყველა გზები.

ამ შემთხვევის გამო მოხსნილ იქნა მატარ. № 108. სამგზავრო მატარ. № 14 დაიგვიანა 1 საათ. და 30 წუთით, და № 12-მა—50 წუთით.

საბჭოთა საქართველო

წერილები

რელიგიასთან ბრძოლა და უღმერთოთა წრეები

რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლა კულტგანმანათლებელ ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შეადგენს. სანამ მშრომელ მასებში სავსებით არ აღმოიფხვრება რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის გავლენა, მანამდის კულტურული რევოლუციის განხორციელება შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რელიგიას ნაკლები გავლენა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ-ჯერობით მაინც აუცილებელია.

რეპრესიებით რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ მოგვცემს დადებით ნაყოფს, აქ საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს პროპაგანდა აგიტაციის საკითხებს. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ უღმერთოთა წრეებმა. ასეთი წრეები უნდა ჩამოყალიბდეს როგორც წარმოება-დაწესებულებებში ადგილკომებთან, ისე სოფლად.—დღემდის უღმერთოთა წრეების შექმნას თითქმის არავინ არ აქცევდა სერიოზულ ყურადღებას. სადაც არსებობდნენ ასეთი წრეები, უმრავლეს შემთხვევაში ისინიც არაფერს აკეთებდნენ.

უღმერთოთა წრეების ასეთი უმოქმედობა მით არის გამოწვეული, რომ როგორც პარტორგანიზაციებს, ისე ფაბქარკომებს და პარტიულ ამხანაგებს ასეთი წრეების მუშაობა სულაც არ მიაჩნიათ საჭიროთ. ეს უსათუოდ დიდი შეცდომაა. თუ მუშა-მოსამსახურე იმდენად არის გათვითცნობიერებული, რომ ის განთავისუფლებულია რელიგიის გავლენისაგან, ასევე არ შეიძლება ითქვას მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე და მშრომელ გლეხობის ერთ ნაწილზე. მათში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია რელიგიის გავლენა. ოჯახის დიასახლისს ეს გავლენა გადააქვს მოზარდ ახალგაზრდობაზეც. აქ საჭიროა დიდი უნარის გამოჩენა, რომ ისინიც განთავისუფლდენ რელიგიის მავნე გავლენისაგან.

რა გზით არის ეს შესაძლებელი? ჯერ ერთი თვითეული შეგნებული მუშა-მოსამსახურე და პარტიული ამხანაგი უნდა გახდეს თავის ოჯახში ერთგვარი პროპაგანდისტი. მათ უნდა განუმარტონ ოჯახის წევრებს რელიგიის და ცრუმორწმუნეობის მავნებლობა. ამასთან ერთად ყველგან უნდა ჩამოყალიბდეს უღმერთოთა წრეები და მათ უნდა მოაწყონ რელიგიის საწინააღმდეგო საღამოები. ასეთ საღამოებზე რაც შეიძლება ბლომად უნდა მოიზიდონ ოჯახის წევრები. შინაარსიან მოხსენების წაკითხვასთან ერთად საჭიროა შესაფერი ანტირელიგიური პიესების დადგმა. სამღვდელოების თვალთმაქცობის გამომჟღავნება და სხ.

ასეთი ზომები უსათუოდ მოგვცემს დადებით ნაყოფს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლი.

—:—

გლეხკომის უკანონო მოქმედება

სოფ. დიღომი, თბილის მაზრა

დიღომის სათემო გლეხკომმა მიიღო თბილისიდან ფული უსახლკარო გლეხობისათვის დასახმარებლად. ამ ფულით მათ უნდა აეგოთ საცხოვრებელი ბინები. როცა გლეხობამ გაიგო ფულის გადმოგზავნის შესახებ, მიმართეს გლეხკომს, რომ თავის დროზე განაწილებიათ თანხები და თვითონ ხალისით შეუდგნენ მუშაობას დახმარების მიღების მოლოდინში. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, მაგრამ გლეხობა ამ ფულის მიღებას გლეხკომიდან ვერ ეღირსა. გლეხკომში მოკალათებული პირები გლეხობის შეკითხვის დროს ასე გაიძახიან. ეს ფული ჩვენია, რათ ვერ გაიგეთ, რომ ჩვენთვის არის გამოგზავნილიო.

აუცილებლად საჭიროა გამოირკვეს, მართლა გლეხკომის წევრებისათვის არის ფული გამოგზავნილი, თუ უღარიბეს გლეხობის დასახმარებლად. ხოლო ამის შემდეგ პასუხი უნდა მოეთხოვოს მათ.

კოლტა.

—:—

ტყის გამგის ოინები

ს. გლდანი, თბ. მაზრა

სოფ. გლდანში არსებული სატყეო განყოფილების ტყის გამგეს 2 აგვისტოს დანიშნული ჰქონდა საჯარო იჯარობა ცხვარიჭამიის და ლელუბნის აგარაკებში უნებართვოდ მოჭრილ და გლეხებზე ჩამორთმეული დაახლოებით 5 საჟენი შეშის გასაყიდათ.

ამის შესახებ გამგეს მოქ. დავითულიანს თვალსაჩინო ადგილებზე ჰქონდა გამოკრული განცხადებები, რომ ვაჭრობა უნდა მომხდარიყო დილის 9 საათზე, მაგრამ ტყის გამგე დანიშნულ დღეს წაბრძანდა საქეიფოდ ვანო ჩიტიშვილის ბაღში, საიდანაც საღამომდე არ დაბრუნებულა. ვაჭრობის ადგილზე ბლომად შეგროვდა გლეხები და ელოდებოდნენ ტყის გამგეს. მესამე დღეს ტყის გამგემ ღამის ათ საათზე მოახდინა აღნიშნულ შეშის გაყიდვა უმალ, სადაც შეშა დარჩათ ისევ იმ პირებს, რომლებსაც ჩამოერთვათ.

ასეთი უკანონო მოქმედებისათვის დავითულიანს უნდა მოეთხოვოს პასუხი.

გლდანელი.

გამოუსადეგარი მასწავლებელი

ონტოფოს თემი, სენაკის მაზრა

ონტოფოს თემის შვიდწლედიან შრომის მასწავლებლად სხვათა შორის ითვლებიან ქ-ნი ნადარეიშვილი და ლიდა ბელაკი. პირველს თავისი თანამდებობა სხვათაშორისოდ მიაჩნია და მას ატარებს მხოლოდ ფორმალობისათვის. ჯერ ერთი რომ სკოლაში მისი პედაგოგიური მუშაობა ძალზე სუსტია და ვერ ეგუება ახალი სკოლის პრინციპებს და მოთხოვნილებებს, ხოლო რაც მთავარია, მას შერჩა მთლიანად ძველი სკოლის კარიერა; სკოლის მოწაფეებს სისტემატიურად პირად საქმეებისათვის იყენებს. არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სკოლაში მეცადინეობა მოწაფეებს მისი კარნახით შეუწყვეტია და მასწავლებლის ოთახი ურეცხია ან და წისქვილიდან ფქვილი მოუტანია.

გლეხობის დაჟინებით მოთხოვნით ამას ყურადღება მიაქცია ხელისუფლების ორგანოებმა, მაგრამ რეალურ შედეგს მაინც ვერ ვხედავთ.

ასე რომ, მასწავლებელ ნადარეიშვილის ხელში მომავალშიც მოზარდი თაობის დატოვება—ეს უდიდესი დანაშაულია ჩვენს პირობებში. დიდი და პატარა მას ფეოდალ ქალის განსახიერებას უწოდებს. სახლში ყავს ხელზე მოსამსახურე გოგო, რომლის მდგომარეობა უდრის „დარეჯანის" ხელქვეით გოგოების მდგომარეობას, „ქალბატონი"-ს მეტ სხვა სახელს ის არ იკადრებს ხელზე მოსამსახურესაგან.

რაც შეეხება მეორეს—ბელაკის ქალს, ის უნდა ითქვას, რომ ნამდვილი ზარმაცი, უინტერესო მასწავლებლის ტიპია, რომელსაც მიმდინარე ცხოვრებაზე ელემენტალური წარმოდგენაც კი არა აქვს და არც არის იმედი, რომ ამ მხრივ ოდესმე წინ წაიწევს. მის მუშაობას სკოლაში აქვს სრულიად პასიური ხასიათი, სამუშაო საათების ხშირი გაცდენა მისი დამახასიათებელი თვისებაა, რის გამო არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს.

სკოლის გამგე, რომელმაც ყველაფერი ეს კარგად იცის, შიშსა და მოკრძალებას იჩენს მათ წინაშე და არავითარ ზომებს არ იღებს. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

გამვლელი.

—:—

უსამართლოდ იქნა დათხოვნილი

ლაშე-ღვერკის თემი, შორ. მაზრა

ლაშე-ღვერკში არსებობს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლასთან შეერთებული ოთხწლედი სასწავლებელი. ამავე სკოლაში 1920 წ.-დან მასწავლებლად იყო ამაშუკელის ქალი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის მუდამ დაუზარებლად და პირნათლად ასრულებდა ნაკისრ მოვალეობას.

წელს, რვა აგვისტოს, როცა სწავლის დაწყება უკვე მოახლოვებული იყო, ამაშუკელის ქალმა მიიღო განათლების განყოფილებიდან ცნობა, რომ ის პირველი აგვისტოდან მოხსნილია სამსახურიდან. მომართვა დაწერილია სამ აგვისტოს. მისი დათხოვნა უნდა მიეწეროს სკოლის გამგე აპოლონ კვიციკაძის ინტრიგებს. მან დაარწმუნა თემაღმასკომის თავმჯდომარე და ზოგიერთი ამხანაგები ვითომც ამაშუკელის ქალი უვარგისი მასწავლებელია. ნამდვილად კი კვიციკაძეს სურს მის ადგილზე მიიყვანოს თავისი ბიძაშვილი.

საჭიროა ასეთ ინტრიგებს ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო. განათლების კომისარიატმა თავის ადგილზე უნდა აღადგინოს ცხრა წლის ნამსახური განათლების მუშაკი.

მუშკორი შხამიანი.

—:—

ვენეროლოგიური რაზმის მუშაობა

დ. თიანეთი. თბილისის მაზრა.

ივლისის ბოლო რიცხვებში თიანეთში ჩამოვიდა თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ გამოგზავნილი ვენეროლოგიური რაზმი. ჩამოსვლის პირველ დღიდანვე რაზმი გულმოდგინედ შეუდგა მოსახლეობაში ფართე სანგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებას. რაზმის ხელმძღვანელ ექიმ ჩოხელმა წაიკითხა ლექციები ვენერიულ და გადამდებ სნეულებების შესახებ. ლექციებს აურაცხელი ხალხი ესწრებოდა და დიდის ყურადღებით უსმენდენ ექიმს, რომელიც გასაგები ენით განმარტავდა ვენერიულ სნეულებათა მავნებლობას და მიუთითებდა გამაფრთხილებელ ზომებზე. ლექციის შემდეგ ექიმმა გლეხობას დაურიგა უფასოდ ბროშურები სხვადასხვა სნეულებების შესახებ.

გლეხობა უამრავ შეკითხვებს აძლევდა ლექტორს, რაზედაც ამომწურავ პასუხს იღებდენ ექიმისაგან. ექიმი ჩოხელი ნამდვილი ექიმი—პედაგოგია. რაც ასე იშვიათია ჩვენს სინამდვილეში.

თიანეთის რაიონის გლეხობა დიდი მადლობით იხსენიებს თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებას, ვენეროლოგიურ რაზმს და მის [illegible]ბანელ ექიმ ჩოხელს ასეთი სასარგებლო მუშაობისათვის.

გოგო.

მუშათა ცხოვრება

ჯერი ფაბქარხადგილკომებზეა

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა პროფკავშირების წევრთა და მათი ოჯახების სათეატრო ბილეთებით შეღავათიან ფასებში უზრუნველყოფის შესახებ. 13 სექტემბერს კულტგანყოფილებაში გამართულ თათბირმა გამოიტანა დადგენილება აკადემიურ თეატრებში მუშათა ზოლის ნაცვლად შემოღებულ იქნას სააბონენტო სისტემა, აბონიმენტ. შესაძენად ძალზე ხელსაყრელი პირობებია დაწესებული, აბონემენტების კოლექტიურად შემძენი, ბილეთებს ეთმობათ 50 პროც. ფასდაკლებით, ხოლო ინდივიდუალურად შემძენს 40 პრ. შეღავათით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აბონემენტის ღირებულების გადახდის ვადათ დაწესებულია 6 თვე. მთელი აბონემენტის უმცირესი ღირებულება უდრის 2 მანეთს, ხოლო უმაღლესი ღირებულება აღწევს 17 მან. 50 კაპ. ასე, რომ ექვსი თვის განმავლობაში აბონემენტის შემძენს სრულიად ადვილად შეუძლია მისი გადახდა, რითაც საშუალება ექნება დაესწროს ათ წარმოდგენას.

ამ დადგენილების განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს მუშა-მაყურებლის და მათი ოჯახის წევრების თეატრთან დაახლოების საქმეს. ეხლა ფაბქარხადგილკომების უნარიანობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ფართოდ შესძლებენ ისინი მუშა-მოსამსახურეთა აბონემენტებით მომარაგების საქმეს.

როგორც ვიცით, წარსულ წელში ფაბქარკომები ურიგებდნენ მუშა-მოსამსახურეებს შეღავათიან ბილეთებს, მათვე ჰქონდათ დაკისრებული ბილეთების ფულის შეკრება. ხშირად ბილეთების მიღების დროს მუშას ფული არ ჰქონდა. ადგილკომის მდივანი იძულებული იყო ადგილკომის ფონდიდან გადაეხადა სალაროსათვის, ხოლო მას შემდეგში უნდა შეეკრიბა ფული მუშებიდან. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთებზე დღესაც ირიცხება ბილეთების დავალიანება, ამიტომ დღეს ფაბქარხადგილკომები მაინცადამაინც ხალისიანად არ ეტანებიან მუშა-მოსამსახურეების აბონემენტებით მომარაგების საქმეს.

ასეთი გულგრილობა რა თქმა უნდა დაუშვებელია, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებლად საჭიროა აბონემენტ. შემძენს კუთვნილი გადასახადი ყოველთვიურად გამოუხაროს თვით ადმინისტრაციამ ჯამაგირების დარიგების დროს და შეგროვილი თანხა გადასცეს ადგილკომის მდივანს, ან კულტკომისიის ხელმძღვანელს თეატრის სალაროში წარსადგენად.

ეს ზომა საშუალებას მისცემს ფაბქარკომებს უფრო მეტი რაოდენობით გაავრცელონ მუშა-მოსამსახურეთა შორის აბონემენტები და მეორეს მხრით ძალზე გაუადვილებს მათ თეატრების დირექციის წინაშე ნაკისრ ვალდებულების შესრულებას. ფაბქარკომებმა ახლავე უნდა მიიღონ ზომები აბონემენტების დროზე შესაძენად.

მუშა.

—:—

სასაკლაოს კედლის გაზეთი „სასაკლაოს ხმა"

აღნიშნული კედლის გაზეთი თბილისში ერთ-ერთ საუკეთესო გაზეთად ითვლება როგორც გარეგნულად, აგრეთვე შინაარსის მხრივაც, სათანადო სიმაღლეზეა კარიკატურებიც.

როგორც გამოკვლევიდან გამოირკვა მუშკორის დევნას და ფსევდონიმის გამოჟღავნებას უწინ ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეხლა ეს ნაკლი გამოსწორებულია. დადებით მხარეთ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე, ის, რომ კედლის გაზეთის ირგვლივ შემოკრებილ მუშკორებს მჭიდრო კავშირი აქვთ საწარმოო თათბირის მუშაობასთან.

გაზეთში წერილები იწერება სამ ენაზე, ხოლო ერთს რომელიმე ენაზე დაწერილი შენიშვნა, უკეთუ იგი ძალიან საინტერესოა, ითარგმნება მეორე ენაზედაც.

გაზეთი გამოდის ყოველ-თვიურად და ჰყავს 30 მუდმივი თანამშრომელი. ადმინისტრაციასთან არსებობს კარგი დამოკიდებულება და ყველა შენიშვნაზე ადმინისტრაცია ეხმარება.

გაზეთს მრავალ მიღწევებთან აქვს ნაკლიც. მუშკორთა წრეზე სისტემატიურად არ სწარმოებს ხელმძღვანელობა და მეცადინეობა, აგრეთვე გაზეთს სათაურზე არა აქვს წარწერა, თუ აღნიშნული გაზეთი რომელ მუშა-მოსამსახურეთ ეკუთვნის.

საერთოდ გაზეთი დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. მან თბილისის კედლის გაზეთების გამოფენაზე მიიღო ჯილდო. იმედია გაზეთის ხელმძღვანელები მომავალშიაც ენერგიულად განაგრძობენ მუშაობას.

ნ. მ—ლი.

ქეჩა-ნაბდეულობის ქარხანაში

ტყავ-ტრესტის წარმოებასთან არის ქეჩა-ნაბდეულობის ქარხანა, რომელიც ყველაზე უფრო შემოსავლიანად ითვლება. ქარხანა ამჟამად ამუშავებს ომის დრომდე უფრო მეტ პროდუქციას. მოთხოვნილება ნაწარმოებზე ძალიან დიდია. ქარხანაში მუშაობა სწარმოებს სამ ცვლად. მაგრამ მაინც ვერ აუდის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ნედლი მასალის სიმცირის გამო.

ტრესტის ადმინისტრაცია დროზე თავს არ აუხებს ამ ქარხნის ნედლი მასალით დაკმაყოფილებისათვის.

ქარხანაში მუშაობს 120 კაცამდე. ქარხანას აქვს აგრეთვე მატყლის სარეცხი განყოფილება. აქაც 20 კაცი მუშაობს. ყველა მუშები ენერგიულად ასრულებენ მოვალეობას.

ქარხნის დირექტორი ამხ. ს. აუშტროვი ქარხნის წინმსვლელობისათვის თავის შრომას არ ზოგავს.

სამწუხაროდ აქაც არის ერთი მუშა, რომელმაც არამც თუ ადგილობრივ მოაბეზრა თავი მუშებს თავისი ზარმაცობით, არამედ ქიძებიც აღარ უჭერიან მას. ეს გახლავთ ხალილ მამედ-ზადე. კოლექტიურ მუშაობაში იგი არ ვარგა, და ამრიგად სრულიად ტყვილად მიაქვს სხვისი ნაოფლარი, რაც დასაშვები არ არის.

20 სექტემბრიდან დაიწყება მატყლის მიღება. შარშან ტრესტმა 1.500 მანეთამდე მისცა ტრესტის „დამამშვენებლებს" მიკაელიანს და ნიკოღოსოვის ბიძას—აბრამოვს მატყლის გადმოტანაში, ხოლო მატყლის ნამდვილად მიმღებ ტრესტის მუშებს ტრამვაის ფულიც არ მისცეს. რა გააკეთა აბრამოვმა? იქირავა ავტომობილები. განა ამას ტრესტი ვერ იზამდა. ან და ის მუშები, რომლებიც ნდობაში იყვნენ აღჭურვილი და აბრამოვის მატყლს ისინი სწონიდნენ? თუ კი ამ მუშებს იმდენი სწავლა ჰქონდათ, რომ მატყლის ათასი ფუთობით აწონ-დაწონვას, მიღებას, გადმოგზავნას აწარმოებდენ, ალბად იმდენსაც შესძლებდენ, რომ ტრანსპორტი ექირავათ, ან თუ არა რას აკეთებს ზავხოზი?

საჭიროა წელს მაინც არ გადაყარონ 1500 მანეთი და თვითონ იკისრონ ტრანსპორტის შოვნა. საერთოთ საჭიროა ამ ქარხნისათვის მეტი ყურადღების მიქცევა, რადგან რაც დრო გადის, ქარხანა წინ მიიწევს მისი ნაყოფიერი მუშაობით.

თაიგული.

—:—

საჭიროა დელეგატების გადარჩევა

შრომის ინვალიდები ათასობით ირიცხებიან დამზღვევ სალაროს კმაყოფაზე ინვალიდები მოკლებულნი არიან იმ შეღავათებს, რომლებითაც სარგებლობენ მუშა-მოსამსახურეები წარმოება-დაწესებულებებში, როგორიცაა მაგალითად მუშკოოპიდან ნისიათ საქონლის მიღება და სხვა. ინვალიდებს ყავთ რჩეული დელეგატები, რომელთა მოვალეობას შეადგენს მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. მაგრამ როგორც ვიცით დელეგატები სულაც არ იწუხებენ თავს დაკისრებული მოვალეობის განხორციელებისათვის.

რამდენიმე წელიწადია შრომის ინვალიდების კრება არ ყოფილა მოწვეული. დღეს ჩვენს წინ წამოჭრილია მრავალი საკითხები, რომლებიც მოითხოვს მოგვარებას. ამიტომ საჭიროა და აუცილებელიც ინვალიდების საერთო კრების მოწვევა, ყოველივე კითხვების მოგვარება და უმოქმედო დელეგატების გადარჩევა.

რაჭველი ვანო.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

მდგმურებს არ გვასვენებს. სადგ. ნავთლუღის რკ. გზ. 1-ლ საცხოვრებელ სახლში სცხოვრობს ვინმე პაპიაშვილი, რომელსაც მუდამ ჩხუბი აქვს გამართული თავის ცოლთან. ამის გამო მდგმურებს მოსვენება არა აქვთ. როდის მოეღება ბოლო ასეთ მდგომარეობას ?

გ. ებდოკიშვილი.

დასაჯეთ დამნაშავე. (სადგ. ხაშური). 11 სექტემბერს მუშა-მატარებელი, რომელიც მოვიდა სადგ. გომში 8 საათზე, გავიდა 5 საათის დაგვიანებით, რამაც გამოიწვია მუშა-მატარებლის ორი დღით გაცდენა. ეს დაუდევრობა გამოიწვია ხაშურის დს—მ. საჭიროა ამ საქმის გამორკვევა და დამნაშავის დასჯა.

ბახელი.

ნაცნობების ექსკურსია. (ქსანი). ქსანის აგურ-კრამიტის ქარხნის ადგილკომმა მოაწყო ექსკურსია ბორჯომში, მაგრამ ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მიუცია მუშებისათვის. ადგილკომის მდივანმა შეაგროვა თავისი ნაცნობი ქალიშვილები, რომელთაც ქარხნის კარები არც კი იციან და წაიყვანა საექსკურსიოთ. ექსკურსიის შესახებ მუშებმა მხოლოდ შემდეგ გაიგეს, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ნემსი.

სასამართლო

„ხუმარა" ხალხის გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი)

გუშინ საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კლუბში მე-4 უბნის სახალხო სასამართლო შეუდგა ძმ. ოგანეზოვების და მუსტაფიანის საჯარო გასამართლებას.

საქმის შინაარსს მკითხველები იცნობენ.

გასულ წელს მილიციელი დანელია შევიდა ოგანეზოვების ფეხსაცმელების სახელოსნოში და ითხოვა გაეკერათ მისთვის ჩანთა, რომელიც შემთხვევით გახეოდა.

ამ დროს ოგანეზოვები და მათი კარგი ნაცნობი მუსტაფიანი ხუმრობის (!) ხასიათზე იყვნენ.

მომზადებული ჰქონდათ სტუმრის მისაღებათ სკამი, რომელსაც ქვევიდან შერჭობილი ჰქონდა გრძელი ნემსი. ნემსი მიმაგრებული იყო გრძელ ძაფზე. ძაფის გამოწევა საკმარისი იყო, რომ სკამზე დამჯდარ მოქალაქეს დაჰკარგოდა ჯდომის ხასიათი და მწარე ტკივილის გამო ზეზე წამოვარდნილიყო.

ასეთი „ხუმრობით" შეხვდენ ოგანეზოვები მილიციელ დანელიას. მიიპატიჟეს და თხოვეს დამჯდარიყო ამ სკამზე. მილიციელი დაჯდა. მოქალაქე მუსტაფიანმა „გაიხუმრა", მოსწია ძაფი და დანელიას სხეულში შეერჭო ნემსი და დაიმალა.

ამის შემდეგ დანელიას სხეულიდან ამ ნემსის ამოღება შეუძლებელი გახდა. დაასიეს ექიმები, მიიღეს ყოველივე ზომები, მაგრამ არაფერმა უშველა, ნემსი დღესაც სხეულში აქვს მოქ. დანელიას. მან დაჰკარგა შრომის უნარი და მისი ჯანმრთელობა დღესაც სახიფათო მდგომარეობაშია.

სასამართლოს მიერ ოგანეზოვების ქონებაზე დადებულია ყადაღა 5.000 მანეთის უზრუნველსაყოფად რომელიც დასჭირდება დაზარალებულის მკურნალობას.

ბრალდებულები თავს არ სცნობენ დამნაშავედ და ლაპარაკობენ, თითქოს ეს მათ ხელქვეით მუშების მიერ მოწყობილი „ხუმრობა", რომლისთვისაც ისინი არ არიან პასუხისმგებელი. ამ გზით უნდათ თავი დააძვრინონ პასუხისმგებლობას.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. **თათარაშვილი**, ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **ამირაგოვი, შურღაია და დავ. ტატიშვილი.** სამოქალაქო მაძიებლებად გამოდიან: **მ. ღვამიჩავა და მ. ტატიშვილი.**

—:—

ოლღა კურჩენკოს საქმე

წიღარიბეში აღიზარდა ოლღა კურჩენკო. თავისი შრომით ინახავდა თავსაც და დედინაცვალსაც, რომელთანაც ის ცხოვრობდა.

ახალგაზრდა ოლღა მოეწყო შიკრიკად რკინისგზათა სამმართველოში.

მშვიდათ ცხოვრობდა ოლღა კურჩენკო, სანამ მისი სულიერი ცხოვრება არ აფორიაქა მოქ. ანტონ საველიევმა, რომელიც მოანგარიშეთ მსახურობდა იმავე სამმართველოში.

შეუჩნდა საველიევი კურჩენკოს ქალს, გინდა თუ არა ჩემი უნდა გახდეო. შეუჩნდა და აღარ მოეშვა. აღუთქვამდა ყოველივე სიკეთეს, ოღონდ გაჰყოლოდა ცოლად.

არ დაივიწყოთ, რომ ანტონ საველიევს ცოლ-შვილი უკვე ჰყავს. ეს, რასაკვირველია, არ იცის ოლღამ.

დიდი ფიცისა და მუდარის შემდეგ საველიევი აღწევს მიზანს. იწყებს ცხოვრებას ოლღა კურჩენკოსთან უკანასკნელის დედინაცვალის ბინაზე.

თავისი ცოლ-შვილი ფოთში ჰყავს საველიევს გაგზავნილი, ასე, რომ მან არაფერი იცის ქმარის მეორე „ქორწინების" შესახებ.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ანტონი და ოლღას დედინაცვალი აიშალენ. დაუწყეს ერთმანეთს ლანძღვა-გინება. ყოველდღე ისმოდა მათ შორის უწმაწური სიტყვები.

ანტონ საველიევმა დასტოვა ცოლიც, მისი დედინაცვალიც და თავის საკუთარ ბინაზე გადავიდა. ჩამოიყვანა ფოთიდან პირველი ცოლ-შვილი და დაიწყო ძველებურად ცხოვრება, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო.

არ გასულა ერთი კვირა. ანტონმა ისევ ფოთში გაისტუმრა ცოლ-შვილი და დაუბრუნდა ოლღა კურჩენკოს. მოინანია ცოდვები, სთხოვა პატიება ოლღას დედინაცვალს, ხოლო ოლღა დააჯერა უსაზღვრო სიყვარულში.

ოლღას გულში კიდევ არ ამოფხვრილიყო სიყვარულის გრძნობა ანტონისადმი და მანაც სიხარულით მიიღო უკანვე დაბრუნებული ქმარი.

მიუხედავად დედინაცვალის წინააღმდეგობისა, ანტონმა კურჩენკოს ქალი თავის ბინაზე გადაიყვანა.

იცხოვრეს ერთად 7 თვე. ამ ხნის განმავლობაში იშვიათი იყო ისეთი დღე, რომ უკმაყოფილებას არ ჰქონოდა ადგილი ოლღასა და საველიევს შორის.

აღარ უნდა ანტონს ოლღასთან ცხოვრება და განშორების წინ ასე დაიწყო „ჭიკჭიკი".

— ამ დღეებში ჩვენს დაწესებულებაში ჩატარდება შტატების შემცირება. დარწმუნებული უნდა იყო, რომ ან შენ, ან მე შემამცირებენ. გაგვიჭირდება ცხოვრება და ამიტომ უმჯობესია აქედანვე გავშორდეთ ერთმანეთს.

მობეზრდა ქალს ამდენი ალიაქოთი და დავიდარაბა. დასტოვა ანტონი და წავიდა დედინაცვალთან.

წავიდა, მაგრამ ანტონი თავის „უფლებას" მაინც არ ჰკარგავს მასზე. დასდევს ოლღას, არ აძლევს სხვებთან გავლის უფლებას. ეჭვიანობს (!).

ა.-წ. ივნისში ანტონმა „მოსალაპარაკებლად" დაიბარა ოლღა თავის სახლში. ლაპარაკი უნდა შეხებოდა მათი ურთიერთობის გამორკვევას. ეს იყო 19 ივნისს, საღამოს (კიზლიარის შეს. № 5). იმ ღამეს ქალი ტკბილი საუბრით შეიქცია ანტონმა და ურთიერთობის გამორკვევა (!) დილისათვის გადასდო.

— სამსახურიდან რომ დავბრუნდები, მაშინ გეტყვი ჩემს უკანასკნელ სიტყვას,—უთხრა დილით ანტონმა, დაიხურა ქუდი და წავიდა.

ხუთი საათი იყო, როცა ანტონი ჩქარი ნაბიჯით შევიდა ოთახში და ოლღას თავისი უკანასკნელი სიტყვა მოახსენა.

— მე ვუბრუნდები პირველ ცოლს. ეხლა მივდივარ ბაზარში, ცოტა რამ საჩუქრები უნდა წავიღო, ამაღამვე მატარებლით გავემგზავრები.

— ამისათვის რაღად მიბარებდი. მე ხომ ჩამოცილებული ვიყავი. შენ ალბად იმიტომ ჩადიხარ ამას, რომ გსიამოვნებს ჩემი დამცირება!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! გარეთ გაეთრიე ეხლავე. მაგვიანდება. ჩქარა!

— დაუყვირა ანტონმა ქალს და მუჯლუგუნი გაჰკრა.

შეურაცხყოფილმა ქალმა სტაცა ხელი სადილო დანას და ორჯერ დაჰკრა საველიევს.

დაჭრილი საველიევი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც იგი მალე განიკურნა.

ოლღა კურჩენკო გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ და მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაუნიშნა ერთი წელი.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე რ. კალანდაძე, სახალხო მსაჯულები: შანიძე, თურმანიძე, მდივანი—თ. მერკვილაძე.

ვერ.

რადიო-გადაცემა

დღეს თბილისის ოთხ კილოვატიან რადიოსადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემულ იქნება: მორზეს ანბანი (ახსნა-განმარტება) ქართულ ენაზე, საგლეხო გაზეთი—ქართულ ენაზე, საუბარი „დასაჭურისება და მისი შედეგები"—ქართულ ენაზე, მოხსენება „საბინაო საკითხი თბილისში"—რუსულ ენაზე, ტექნიკური კონსულტაცია, გაზეთი „პროლეტარი"—სომხურ ენაზე, გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე, პროგრამის გადაცემა 19 სექტემბრისათვის—რუსულ-ქართულად, კონცერტი და ტრანსლიაცია ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ცნობა რუსულ-ქართულად. მოხსენებებს შორის შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

ა.-კ. რკინის გზების დამზღვევ სალაროში

პენსიების და დახმარების გათანასწორება ხელფასის სატარიფო ზოლთან

ამიერ-კავკასიის რკინის გზები ხელფასის მხრივ უბნების მიხედვით დაყოფილია სატარიფო ზოლებათ. ასევე ზოლების მიხედვით ხდება პენსიების და დახმარებათა გაცემა მაგრამ მთელ რიგ უბნებში არის განსხვავება ხელფასის სატარიფო ზოლსა და დახმარებათა გაცემაში. რომ მომავალში ამას ადგილი არ ჰქონდეს, განზრახულია მოხდეს ამ ზოლების გათანასწორება. აღნიშნული საკითხი სათანადო შუამდგომლობით საბოლოო დასკვნის გამოსატანად გადაეცა საგზაო ცენტრ. დამზღვევ სალაროს სამმართველოს.

ოცდაოთხი ადგილი კისლოვოდსკში

ზამთრის საკურორტო სეზონში საგზაო ცენტრ. დამზღვევ სამმართველომ ამიერ-კავკასიის რკინის გზებს კისლოვოდსკში დაუთმო 24 ადგილი, რაც სალაროს კომიტეტის პრეზიდიუმმა ეს ადგილები საუბნო სალაროებს შემდეგნაირად გაუნაწილა: თბილისს შვიდი, ხაშურს—ორი, სამტრედიას—ორი, ბათომს—ერთი, განჯას—სამი, ბაქოს—ოთხი, ლენინაკანს—ორი, ხოლო სამი ადგილი დატოვებულია სათადარიგო ამიერ-კავკასიის დამზღვევ სალაროს სამმართველოსათვის.

ხელშეკრულების დადება შრომის ინვალიდების შესანახათ

ამიერ-კავკასიის დამზღვევი სალარო ხელშეკრულებას სდებს საქ. სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან შრომის ინვალიდების აყვანის შესახებ სრულ კმაყოფაზე სანევალიდო სახლებში. ხელშეკრულების ძალით დამზღვევი სალარო უფლებას იტოვებს პერიოდულად სისტემატიურად გამოიკვლიოს, თუ როგორ უვლიან შრომის ინვალიდებს, ხელშეკრულების ყველა მუხლზე მოხდა შეთანხმება. ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება მხოლოდ ინვალიდების შესანახ თანხებზე.

მეცნიერება და ტეხნიკა

„ბუნების მეგობართა" ყრილობა ციურიხში

(ციურიხში (შვეიცარია) შესდგა „ბუნების მეგობართა" მორიგი ყრილობა. ამ საზოგადოებას, რომელიც ბუნების შესწავლას ისახავს მიზნად, მრავალი მიმდევრები ჰყავს გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, უნგრეთში და სხვა ქვეყნებში. ყრილობას დაესწრო 24 დელეგატი, მათ რიცხვში 5 კომუნისტი, რომელნიც ყრილობის მემარცხენე ფრთას ხელმძღვანელობდნენ. თავის გამოსვლების დროს მემარცხენე ფრთა მოითხოვდა, რომ საზოგადოებას გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ბურჟუაზიული ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან და დაახლოებოდა კომკავშირს.

ბეწვიანი რეზინა

უკანასკნელ ხანებში ბეწვეულის ფაბრიკატებმა უმჯობესად აღიარეს ბეწვიან ტყავების გამოშვება არა ბუნებრივი სახით, არამედ დამუშავების შემდეგ. ეს დამუშავება შემდეგში მდგომარეობს: ტყავს ბეწვებიანი გვერდით ათავსებენ წყალში და ყინავენ. შემდეგ ტყავს სჭრიან მახვილი დანით ისე, რომ ბეწვები რჩება ყინულში. შემდეგ ყინულიდან ამოშვერილ ბეწვებზე ასხამენ განსაკუთრებულ რეზინის ხსნარს, რომელზედაც (გამაგრების დროს) ეკვრის ბეწვები. ყინულის გადნობის შემდეგ რჩება ახალი „ბეწვიანი რეზინა", რომელიც უფრო გამძლეა, ვიდრე ბუნებრივი ბეწვეული. მას ვერაფერს აკლიბს ჩრჩილი და ლპობა.

ავტობუსი მატარებლის წინააღმდეგ

ინგლისის სარკინისგზო კომპანიები სერიოზულ მეტოქეს ჰხედავენ ავტობუსებში და ავტომობილებში. უკანასკნელებთან ბრძოლის მიზნით სარკინისგზო კომპანიებმა შეამცირეს სამგზავრო ბილეთების ფასი იმ ანგარიშით, რომ ლონდონის ახლო მდებარე ადგილებში მგზავრობა მატარებლით არ დაჯდეს იმაზე ძვირი, ვიდრე ავტობუსის ბილეთი ღირს.

ჰიდროსადგურები იტალიაში

ამჟამად იტალიაში შენდება ჰიდრო-ელექტრო-სადგური, რომელთა სიმძლავრე უდრის 1 ნახ. მილიარდ კილოვატს.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 54

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სს რ. სახ. კომისართა საბჭოსი

შრომის გმირთა შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შრომის გმირის წოდება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც წარმოებისა, სამეცნიერო მოღვაწეობისა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურის სფეროში განსაკუთრებული დამსახურებანი მიუძღვის და რომელსაც დაქირავებით უმუშავნია არა ნაკლებ 35 წლისა.

შენიშვნა 1: ეს დადგენილება ვრცელდება აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელ არმიის სამხედრო მოსამსახურეებზედაც.

შენიშვნა 2: დაქირავებით მუშაობის სტაჟის გამოანგარიშების დროს მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გატარებული დრო არ გამოირიცხება.

2. შრომის გმირის წოდების მინიჭება მოხდება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარდგენისამებრ. შუამდგომლობა შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ აღიძვრის საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინაშე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ინიციატივით.

შენიშვნა 1: სამხედრო მსახურთათვის შრომის გმირის წოდების მინიჭება მოხდება ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სამხედრო ტერიტორიალურ სამართველოს წარდგენით. რაც უნდა წარიმართოს ს. ს. რ. კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

შენიშვნა 2: შრომის გმირს შეიძლება ჩამოერთვას ეს წოდება მხოლოდ იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც მას შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

3. შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ აღძრულ შუამდგომლობას საფუძვლად უნდა დაედვას:

ა) სახალხო მეურნეობის ინტერესებისა და სახელმწიფო მმართველობისათვის განსაკუთრებით სასარგებლო მოღვაწეობის ფაქტი, როგორიცაა: სახალხო ქონების (ფაბრიკა-ქარხნებისა, საწყობებისა, განსაკუთრებული ღირებულების ქონებისა და სხვ.) დაღუპვისა ან გატაცებისაგან გადარჩენა და შენახვა, თავისი მაგალითით მასებში შრომის სურვილის აღძვრა, საერთო-სასარგებლო ნაგებობათა აშენების საქმეში თაოსნობის გამოჩენა, მეტად სასწრაფო და მნიშვნელოვან სამუშაოს შესრულება და სხვა;

ბ) მრავალ წელთა განმავლობაში, განუწყვეტლივ, დაკისრებული საქმის ისეთი ენერგიით, დისციპლინით, სისწორითა და სისწრაფით შესრულება, რაც თვალსაჩინოდ აღემატება ჩვეულებრივ დონეს და სამაგალითო იქნება სხვა მომუშავეთათვის და სხვ.;

გ) მნიშვნელოვანი მიღწევანი ტეხნიკურსა, ეკონომიურსა და ადმინისტრატიულ დარგებში, ტეხნიკური გაუმჯობესება, გამოგონება, საწარმოო პროცესების რაციონალიზაციის განხორციელება და სხვა;

დ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ბეჭდვითი და ლაბორატორიული ნაშრომები, გამოგონება და სხვ. მეცნიერებისა, ლიტერატურის ან ხელოვნების დარგში;

ე) სახელმწიფო, პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დიდი სამსახურის გაწევა მუშების ან გლეხებისათვის ფართო დახმარების აღმოჩენის საქმეში (ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, ინჟინრები, კოოპერატორები, ტეხნიკოსები, ფერშლები და სხვ.).

4. შუამდგომლობა შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ შეიძლება აღიძრას მხოლოდ ისეთი მუშაკის მიმართ, რომელიც შეესაბამება ამ დადგენილების მე-3 მუხლის მოთხოვნებს და რომელსაც დაქირავებით უმუშავნია არა ნაკლებ 35 წლისა.

შენიშვნა. შუამდგომლობის აღძვრა შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ ისეთი პირისათვის, რომელსაც არა აქვს ამ მუხლში აღნიშნული შრომის სტაჟი შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში: ამასთანავე აუცილებლად საჭიროა რომ იმ პირს მეტად მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვოდეს შრომის ფრონტზე.

5. შრომის გმირს, რომელსაც დაქირავებით უმუშავნია არა ნაკლებ 35 წლისა, სოციალური დაზღვევის ორგანოთა მიერ მიეცემა პენსიად სრული სამუშაო ხელფასის სამი მეოთხედი, შრომის უნარისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. უკეთუ შრომის გმირი განაგრძობს დაქირავებით მუშაობას, მას ეძლევა აღნიშნული პენსიის ნახევარი.

შრომის გმირს, რომელსაც 35 წელიწადზე ნაკლები უმუშავნია დაქირავებით, პენსია აღნიშნული რაოდენობით, ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად მიეცემა იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ინვალიდთა პირველ სამ ჯგუფ შორის ერთ-ერთ ჯგუფშია ჩარიცხული.

შენიშვნა 1. შრომის გმირის პენსიის გამოანგარიშების დროს საფუძვლად მიიღება მისი სრული საშუალო თვიური ხელფასი იმ სამი საკალენდრო თვისა, რაც წინ უძღოდა მისთვის შრომის გმირის წოდების მინიჭებას, ან დაქირავებით მუშაობის სამი უკანასკნელი თვისა, უკეთუ შრომის გმირის წოდების მინიჭების დროს ეს პირი დაქირავებით აღარ მუშაობს.

შენიშვნა 2. უკეთუ შრომის გმირი სამხედრო მსახურთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელზედაც ვრცელდება 1926 წ. მარტის 19-ის დებულება „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო უფროსთა შემადგენლობის სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფის შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრებ. 1926 წ. მე-20 №-რი, მუხ. 131), მას აქვს პენსიაზე—ისეთივე უფლება, რაც მინიჭებული აქვს 30 და უფრო მეტ წელს ნამსახურევ პირს (დებულების მე-11 მუხლის მესამე ნაწილი), იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი ხანი მსახურობდა აღნიშნული შრომის გმირი მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში.

6. უკეთუ შრომის გმირი გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს, რომელნიც ჩამოთვლილ არიან „შრომის ინვალიდებისა და გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ დაზღვეულ შრომის ინვალიდების ოჯახის წევრთა სოც. დაზღვევის წესით უზრუნველყოფის შესახებ" 1925 წ. აგვისტოს 28-ს თარიღის შესახებ"—1925 წ. აგვისტოს 28-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრებ. 1925 წ. 57 №-რი, მუხ. 429) დებულების მე-4 მუხლში, მიეცემათ პენსიად: უკეთუ უზრუნველსაყოფია სამი ან მეტი პირი,—შრომის გმირის სრული პენსიის ორი მესამედი; უკეთუ ორი—პენსიის ნახევარი და უკეთუ ერთი პენსიის ერთი მესამედი.

ასეთივე რაოდენობის პენსია მიეცემათ აგრეთვე იმ გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლ. დაკარგულ შრომის გმირების ოჯახის წევრებს, რომელთაც ეძლეოდათ ნახევარი პენსია ან და იგი სრულიად არ ეძლეოდათ.

7. შრომის გმირს სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადი არ დაედება, უკეთუ მისი შემოსავალი არ აღემატება 6.000 მან. წელიწადში, ხოლო, უკეთუ შემოსავალი ამ თანხას აღემატება, დასაბეგრავ შემოსავლიდან უნდა გამოირიცხოს 6.000 მან.

პენსია, რომელსაც შრომის გმირი იღებს, **არ დაიბეგრება ერთიანი სასოფლო-სამეურ**ნეო გადასახადით. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხა, გაწერილი ისეთ მეურნეობაზე, რომელშიაც შრომის გმირი შედის, შემცირებულ უნდა იქნეს 20 პროც.

8. უკეთუ შრომის გმირი დაქირავებით არ მუშაობს და მას პენსიის გარდა, სხვა არავითარი შემოსავალი არა აქვს, იგი ბინის ქირას გადაიხდის მუშა-მოსამსახურეთა თანაბარი განაკვეთით; ამასთან ამ ქირის გამოანგარიშების დროს ვარაუდში მიიღება შრომის გმირის პენსიის 75 პროც.

შენიშვნა. უკეთუ შრომის გმირი განაგრძობს დაქირავებით მუშაობას, იგი ბინის ქირას იხდის თავისი ხელფასის მიხედვით; ამასთანავე მისი პენსია ანგარიშში არ მიიღება.

9. უკეთუ შრომის გმირისა და მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრების მიერ დაჭერილი საცხოვრებელი სივრცე იმ ნორმას აღემატება, რაც „საცხოვრებელი სადგომების" შესახებ მოქმედი კანონითაა დაწესებული, შრომის გმირი ამ ზედმეტ სივრცეში, იმისდა მიუხედავად, დიდია ეს სივრცე თუ პატარა, ქირას მხოლოდ ერთმაგი რაოდენობით იხდის.

10. შრომის გმირის გამოსახლება სახლიდან ადმინისტრატიული წესით, განაგრძობს იგი დაქირავებით მუშაობას, თუ არა, შეიძლება კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მას მიეცემა საცხოვრებელი გამოსადეგი თავისუფალი სივრცე და სატრანსპორტო საშუალება ახალ ბინაზე გადასასვლელად.

11. შრომის გმირს და მისი ოჯახის წევრებს:

ა) შეუმცირდებათ კომუნალური მომსახურეობისათვის დაწესებული სასყიდელი, სახელდობრ: წყლისა და განათების სასყიდელი შეუმცირდებათ 25 პროც. იმ ნორმასთან შედარებით, რაც დაწესებულია მუშა-მოსამსახურეთათვის.

ბ) ეძლევათ ყველა სახის საექიმო და საკურორტო დახმარება დაზღვეულთა და მათ ოჯახის წევრთა თანაბარ პირობებში.

12. შრომის გმირის შვილები და ყველა ის პირი, რომელიც მის კმაყოფაზე იმყოფება, სასწავლებლებში მიღების დროს მიეთანაბრებიან ფიზიკური შრომის პირთა შვილებს და განთავისუფლდებიან სწავლა-აღზრდისათვის გადასახადის სასყიდლისაგან.

13. შრომის გმირის შენობას, სატრანსპორტო საშუალებას (ცხენი, ველოსიპედი და სხვ.) და ოთხფეხ საქონელს ადგილობრივი გადასახადი არ დაედება, უკეთუ ამ შენობას, სატრანსპორტო საშუალებას და საქონელს მოიხმარებენ მარტოოდენ შრომის გმირი და მისი ოჯახის წევრები, ხოლო არ გამოიყენებენ საექსპლოატაციოდ დაქირავებით ან სხვა გვარად.

14. შრომის გმირს და მის კმაყოფაზე მყოფ პირთ უფლება აქვთ სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში (ინვალიდთა სახლები და სხ.) რიგს გარეშე იყვნენ მიღებულნი.

15. ამა დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები და უპირატესობანი გავრცელდება იმ პირზედაც, რომელიც ცნობილია შრომის გმირად ამა დადგენილების გამოცემამდე, ხოლო, უკეთუ მას დაემტკიცება შრომის გმირის წოდება ამა დადგენილების მე-2 მუხ. პირველი ნაწილის წესით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. ივანოვ-კავკასკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ივლისის 11.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატისა 1928 წლის სექტემბრის 15

„8 ნოემბრის უქმე დღეთ და 20 სექტემბრისარა სამუშაო დღეთ გამოცხადების შესახებ".

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 111-ე მუხლისა და ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. აპრილის 20-ს თარიღით და № 1-თ გამოცემული განმარტებისა, საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახ. კომისარიატი ადგენს:

1. საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1927 წ. ნოემბრის 11-ს თარიღით და 18-№-თ „1928 წ. უქმე და დასასვენებელ განსაკუთრებულ დღეების შესახებ" გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის ა) განაყოფის მე-8-ე წერტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „7 და 8 ნოემბერი—ოქტომბრის რევოლიუციის დღეები".

2. 1-ლ მუხლის ბ) განაყოფიდან ამოშლილი იქნეს დასვენების განსაკუთრებულ დღეებს რიცხვიდან—„8 ნოემბერი".

3. 1-ლ მუხლის ა) განაყოფის უქმე დღეთა რიცხვიდან ამოშლილი იქნეს 20 სექტემბერი-26 კომუნარების დღე და გამოცხადებული იქნეს იგი არა სამუშაო დღეთ.

შენიშვნა: 20 სექტემბრის წინა დღეს სამუშაო დღე არ უნდა შემოკლდეს.

საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ათოევი.**

შრომის დაც. გან. გამგის მაგ. **ჯაბადარი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

„26" ბაქოელი კომუნარის დახვრეტიდან 10 წლის თავის შესრულების გამო მუშათა კლუბებში მოხსენებების ჩასატარებლად საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი 19 სექტემბრისათვის, საღამოს ექვს საათზე მობილიზაციის წესით იწვევს შემდეგ ამხანაგებს: თოდრია (მუშათა ახალი კლუბი), ვანო სტურუა (ორჯონიკიძის სახელობის კლუბი), ბეჭხადიანი (ტყავტრესტის კლუბი), ხვედელიძე (ავტოკლუბი), ვარძიელი (მედსანშრომის კლუბი), ლევანდოვსკი (პლეხანოვის სახელობის კლუბი), ავაქოვი (მშენებელთა კლუბი), მათიკაშვილი (სახალხო კავშირის კლუბი), ვანო ბოლქვაძე (ტრამვაის კლუბი), შირვანსკი (ნარიმანოვის სახელობის კლუბი) გერმანე მგალობლიშვილი (ორახელაშვილის სახელობის კლუბი ნავთლუღში), გენკინი (ხელოვნების კავშირის მუშაკთა კლუბი), ლისოვსკი (საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კლუბი). 20 სექტემბრისათვის, საღამოს ექვს საათზე: ყურულაშვილი (მუშათა ცენტრალური კლუბი).

—

საქართველოს ლენ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საკონფლიქტო კომისია იუწყება, რომ ოთხშაბათს, 19 სექტემბერს საღამოს ხუთ საათზე საკონფლიქტო კომისიის შენობაში (რუსთაველის პრ., 20) შესდგება საკონფლიქტო კომისიის მორიგი სხდომა. საკონტროლო კომისიის ყველა წევრის და მიმაგრებულ საწარმოო მუშაკთა დასწრება სავალდებულოა.

სხდომაზე გაირჩევა შემდეგი ამხანაგების საქმეები: სერგო მარკოზოვის, ვერა შედანიასი, ბაბო ჯაჯანიძის, შოთა მანაგაძის, აბგარ გუშიანის, არტემ მასოევის, გიორგი გენკენის, შალვა სალუქვაძის, პავლე გიორგაძის, ბიძინა ცვერედიანის.

შენიშვნა: აღნიშნული ამხანაგების მაზრებიდან გამოცხადება სავალდებულო არაა.

—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილების სააღრიცხვო ქვეგანყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. კონსტანტინე კრმილს ძე კოკალიშვილს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკაში, ოთახი № 43, ამხ. კვირკველიასთან.

დღეს, 18 სექტემბერს, ცეკას აგიტპროპ. ბეჭდვითი განყოფილების მდივანთან ამხ. კოდუასთან უნდა გამოცხადდეს პ. ინგოროყვა.

—

დღეს, 18 სექტემბერს, შუადღის 12 ს. შესდგება საქ. კომპ. (ბ) ც. კ. და ტ. კ. პარტიის საბჭოს სხდომა. (ც. კ. შენობა, მესამე სართული, ოთახი № 27), საბჭოს წევრების—ამხ. ფ. მახარაძის, ალ. ყორყაშვილის, ლ. სუხიშვილის, ჯავახიძის (ახკომკავშირიდან) და საქ. პროფ. კავშირის საბჭოს წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა. სხდომაზე მოწვეულნი არიან რევ. მუზეუმის და ცენტრო არქივის წარმომადგენლები.

—

ა. წ. 18 სექტემბერს დილის სრულ რვა საათზე ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი, ტოროშელიძე, სულაქველიძე, სალუქვაძე, ბედია, ცხაკაია და გურგენიძე.

—

დღეს, 18 სექტემბერს საღამოს სრულ ექვს საათზე ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყ. გამგის ამხ. ჭამულიას კაბინეტში შესდგება თათბირი, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი დ., ტოროშელიძე, სალუქვაძე, სულაქველიძე, გეგეჩავა (პროლეტკულტ.) პაპავა (სოფ. ეკონ. ფაკ.), კიკაბიძე, გვაზავა და კანდელაკი ვ. (ზაკსოიუზ.).

—

ამხ. კონსტანტინე კოკალიშვილი ევალება გამოცხადდეს ორი დღის განმავლობაში საქ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. № 24 ოთახი № 4).

—

ყოფ. ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე ც. ბიურო ამით იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 19 სექტემბერს, სრულ 5 საათზე პროფ. საბჭოს მცირე დარბაზში შესდგება ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტთა აქტივის საქალაქო თათბირი. დასწრება ყოფ. ახ. მარქსისტთა აქტიური მუშაკებისა სავალდებულოა დაუგვიანებლად.

გულდათუთქული მშობლები: ქეთევან და გიორგი კეშელავა, დიდედა ვარვარა და ქოცია, ბაბუა—საშა ჩხეიძე, მამიდა—დორა აბაშიძისა, დეიდა—მარიამი და ბიძა ვახტანგი უღრმეს მწუხარებით აუწყებენ—უსაყვარლეს პატარა

ლეილას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 სექტემბერს თბილისში. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—ევანგულოვის ქუჩა 8 საღამოს 5 საათზე. (9)

დამწუხრებული ძმა პანტელეიმონი ელიზბარის-ძე, მეუღლე ნინა ნიკოს ასული ბოხუა შვილებით და დედა ევა ცაგარელისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მასწავლებელი

ნინა ელიზბარის ასული ბოხუა

რომლის გამოსვენება არამიანცის სახელობის საავადმყოფოდან მოხდება დღეს, სამშაბათს, 18 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 4204

სახელმწიფო საოპერო თეატრი

1928—29 წ. სეზონი

სწარმოებს აბონემენტების გაყიდვა

წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ:

სოპრანოები:
აფრამეევა ვ. მ.
ვარშავსკაია ს. ი.
სპეკტორ-ზაბარსკაია რ. ზ.
სტეპანოვა ე. ა.
სიროვაცკაია ნ. ვ.
კოზარიოვა ა. ი.

მეცო-სოპრანოები:
ველტერი ვ. ა.
კიტაევა მ. ა.
მუხტაროვა ფატმა
ნეჟეზოვა ნ. გ.

ტენორები:
ალექსეევი ა. ი.
დროზდოვი ა. ა.
კანსხური ზ. მ.
კიპარენკო-დამანსკი ი. ხ.
კოზლოვსკი ი. ს.
ქუმსიაშვილი ნ. გ.

ბარიტონები:
ბრაგინ ა. მ. (დამს. მსახ.)
გოლოვინი დ. დ.
ინაშვილი ა. ი.
ქაჯაკაშვილი ვ.
მიგაი ს. ი.
პავლოვსკი გ. მ.
სლივინსკი ვ. რ.

ბასები:
ისეცკი ლ. ნ.
ნიკოლსკი ვ. ა. (დამს. მსახ.)
პიროგოვი გრ. სტ.
სუხოდოლსკი ს. ი.

პრიმა-ბალერინები:
ა. ი. აბრამოვა
ვ. ქ. მელხაბინა
ნ. პ. იარიგინა

ბალეტის პრემიერები:
ი. ა. ბაბანინი
მ. მ. გაბოვიჩი
ვ. დ. პავლოვი

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი **ნ. ნ. ბოგოლიუბოვი**

დირიჟორები:
პავლოვ-არბენინი ა. პ. (დამს. მსახ.)
ფალიაშვილი ი. პ. (სახ. მსახ.)
შეფერი ვ. ლ.

მხატვრები:
ე. ა. ახვლედიანი
ირ. გამრეკელი
ნ. ი. იოანოვი
ნ. კ. პელენკინი

ბალეტმეისტერები:
გ. ი ბალანოტი
ს. ი სერგეევი

ყოველი აბონემენტი იძლევა 10 წარმოდგენაზე დასწრების უფლებას 1928—29 წლის სეზონში.

10 სააბონენტო წარმოდგენის რიცხვში შედის:

4 ახალი დადგმა, 4 განახლებული დადგმა, 2 ბალეტი

ყოველი აბონემენტის წარმოდგენებში სეზონის განმავლობაში ძირითადი შემადგენლობის გარდა მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის დიდი თეატრის, ლენინგრადის ყოფ. მარინის და სხვა სახელმწიფო აკადემ. თეატრების არა ნაკლებ 6 მომღერალისა ქვემოდასახელებული პრემიერებიდან: კოზარიოვა ა. ი., მუხტაროვა ფ., სტეპანოვა ე. ა., ბრაგინი ა. მ., (დამს. მსახ.), ვიქტოროვი ვ. ი., გოლოვინი დ. დ., კიპარენკო-დამანსკი ი. ხ., კოზლოვსკი ი. ს., მიგაი ს. ი., პიროგოვი გრ. სტ., სლივინსკი ვ. გ., პრიმა-ბალერინა და მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი აბრამოვა ა. ი. და გაბოვიჩი მ. მ.

აბონემენტები იყიდება 40% დაკლებით ჩვეულებრივ ფასებთან შედარებით. პროფკავშირების წევრთათვის გადახდის ვადა გაგრძელებულია 6 თვით

ხელის მოწერის დროს შეტანილ უნდა იქნეს აბონემენტის ღირებულების 10%. კოლექტიური ხელის მოწერის დროს ადგილკომების საშუალებით (არა ნაკლებ 10 კაცისა) დაკლებული იქნება 50%.

აბონენტს, რომელიც ვერ დაესწრება წარმოდგენას, მისი აბონემენტისათვის გამოცხადებულ დღეს, შეუძლია ამის შესახებ განცხადება თეატრის სალაროში წარმოდგენის დღეს არა უგვიანეს 2 საათისა და მას მიეცემა ერთდროული ტალონი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა წარმოდგენისათვის მთელი სეზონის განმავლობაში, მხოლოდ თავისუფალ ადგილზე; ამასთანავე ადმინისტრაცია მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ აბონენტი შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებულ იქნეს თანასწორფასოვანი ადგილით.

აბონემენტების გაყიდვა სწარმოებს ყოველ დღე დილის 10-დან 2 ს.-მდე და საღ. 6-დან 9 საათამდე თეატრის საბონემენტო სალაროში.

დაწვრილებით აფიშებში

ბ. 1590

საქართველოს სახკინმრეწვის სურათი

კირა ანდრონიკაშვილი
ციცილია წუწუნავა
ალექსანდრე იმედაშვილი
კოხტა ყარალაშვილი

სეზონის საუკეთესო სურათში

ელისო

რეჟისორი ნიკო შენგელაია
ოპერატორი ვ. კერესელიძე

დღეს და ყოველდღიურათ

საზამთრო კინოების **აპოლო-მინიონი-სოლეიში გახსნაზე**

ბ. 1593

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	სეზონის საუკეთესო სურათი	მორევი
აპოლო სოლეი მინიონი	სეზონის საუკეთესო სურათი	ელისო რეჟისორი ნ. შენგელაია ოპერატორი ვ. კერესელიძე საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
ეთერი	დადგმის მე-2 კვირა	ნეპტუნი
დარბაზი	გრანდიოზული სურათი	პოეტი და მეფე
პალასი	დადგმის მე-2 კვირა	სპარტაკი
პროლეტარი ავლაბარი	დუგლას ფერბენკსი საუკეთესო სურათი	რობინ გუდი

0—14

განათლების სახალ. კომისარიატი

იხსნება

ანგარიშმცოდნეობის (საბუღალტრო) ერთწლიანი კურსები

- ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე

სრულიად ახლად გამომუშავებულ სასწავლო გეგმით. კურსების მიზანია მოამზადოს ანგარიშმცოდნე ბუღალტერები და მუშაკები, რომელნიც თავისუფლად და დამოუკიდებლად შესძლებენ **სავაჭრო-სამრეწველო** და **საბანკო-საფინანსო** საწარმოებსა და დაწესებულებებში ანგარიშწარმოებას.

კურსები მოთავსებულია ლორის-მელიქოვის ქუჩ. № 12, სამრეწველო ტეხნიკუმის შენობაში.

განცხადებების მიღება და ყოველგვარ ცნობების გაცემა სწარმოებს კურსების კანცელარიაში საღ. 5—7 საათ.

ბ. 1579 2—2

ზაჰესის საექსპლოატაციო სამმართველო აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

ტინობის საყრდენობ კედლის და ერთი მუშათა ქვის სახლის აგებაზე ზაჰესის უბანზე.

საჯარო ვაჭრობა ჩატარებული იქნება ოთხშაბათს 19 სექტემბერს დღის 1 საათზე ზაჰესის საექსპლოატაციო სამმართველოში (კომინტერნის ქ. № 6).

წინადადებები დახურულ პაკეტებში შემოტანილ უნდა იქნას 17 სექტემბერს დილის 10 საათამდის

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ყოველდღე დილის 9 საათიდან 2 საათამდის სამმართველოში.

4190 2—2. **ზაჰესის დირექცია.**

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთან არსებული კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოს

„საკონდიტრო ნაწარმოებთა" კოლექტივი

რუსთაველის პრ. № 12

იღებს შეკვეთებს ყოველგვარ საკონდიტრო ნაწარმოებთ დასამზადებლად, როგორც მაგალითად: ტორტები, სხვადასხვა ნამცხვრები, შოკოლადის, კონფეტის და სხ. საკონდიტრო ნაწარმოები.

ფასები კონკურენციის გარეშე.

ბ. 1592

ქ. თბილისის გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. მეგრელიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 20 სექტემბერს 1928 წ. დილის 2 საათზე სახლში № 3 ფაბრიკის ჩიხში გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** მამედ ხალილოვის მოძრავ ქონებას: ლამპას თავის აბაჟურით, მაგიდებს, ექვს ვენურ სკამს და სხვ. შეფასებულს 105 მანეთად, ზაკკრედიტბიუროს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსგან 11 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, № 2172 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 4207

ექიმი

ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზის მკურნალობა

დებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.

ტელეფონი —11—78. 25—1

მიხეილ გედევანიშვილის.

სახელობის **სამკურნალო,** საწოლებით **ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.
25—1

ექიმი

გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.

ტელ. 4—82. 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპა"-ს (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩიდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ

ტელეფ.—1267. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე

სათვალეების შერჩევა

— და —

მათი სწორი დაყენება სპეციალისტ ექიმის მიერ

უფასოდ

სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმა

ს. ი. ვოლოხვა

განაახლა ავადმყოფთა მიღება (ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი 5—90. 25—1

ექიმი

თოდაძე

დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). ცისტოსკოპია, დიატერმია. თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19. ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

დაჰკარგა: კავშირის წიგნაკი № 100382, საანგარიშო წიგნაკი, არმენაკ ვართანოვის სახელზე, ჩ. გ. 4198

დაჰკარგა: რკინის გზის პროფკავშირის წიგნაკი და ერთდროული რკინის გზის სამგზავრო ბილეთი ბათომიდან თბილისამდე, ასლან გიტოს-ძე ჩხაიძის სახელზე, ჩ. გ. 4199

დაჰკარგა: მეტრიკული ამონაწერი გაცემული ნიკოლოზ ნესტორის-ძე გარდაფხაძის სახელზე, ჩ. გ. 4200

დაჰკარგა: პარტიული ბილეთი № 0868814, გაცემული თბილისის მე-3-ე რაიკომიდან, ალექსანდრე როსტიაშვილის სახელზე, ჩ. გ 4201

დაჰკარგა: განქორწინების მოწმობა გაცემული მმაჩიდან მარიამ ვართანის ასული ხუციევის სახელზე, ჩ. გ.

დაჰკარგა: შრ. სკოლის მე-2 საფეხურის 1-ლი კონცენტრის, დაბადების, სოციალური მდგომარეობის, კომკავშირის და ჯანმრთელობის მოწმობები, გაცემული ანტონ პორფილეს-ძე ანდღულაძის სახელზე, ჩ. გ. 4206

დაჰკარგა: თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის მიერ გაცემული მატრიკული № 1609, ნიკოლოზ ბუღეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4205

დაჰკარგა: თბ. სახ. უნივერსიტეტიდან მოწმობა აგრონომიულ ფაკ. დასრულების, მებაღ-მევენახეობის სტუდენტობის მოწმობა; პროფკავშირის წიგნაკი და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა ფ. № 4, სიმონ მარგველაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4208

დაჰკარგა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 194 აკაკი პავლეს-ძე კაკულიას სახელზე, ჩ. გ. ბ. 1595

დაჰკარგა: „პრავეზიონი" რკ. გზ. ბილეთი № 079 1004 ალექსანდრე გეგაშვილის სახელზე ჩ. გ. 4207

დაჰკარგა: სამხედრო ნამსახურობის წიგნაკი № 56 გრიგოლ ალექსის-ძე მანჯგალაძის სახელზე, ჩ. გ. 420

პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.